ასტრიდ ლინდგრენი

ბიულერბიუელი ბავშვები

მე ლიზი მქვია. გოგო ვარ, თუმცა ამას, ალბათ, ისეც მიხვდით, ლიზი ხომ გოგოს სახელია. შვიდი წლისა ვარ, მაგრამ მალე რვისა გავხდები. ზოგჯერ დედა მთხოვს ხოლმე:

_ ლიზი, უკვე დიდი გოგო ხარ, გაამშრალე, შვილო ჭურჭელი!

ლასე და ბოსე კიდე მეუბნებიან:

_ პატარებს ინდიელობანას არ ვათამაშებთო!

ჰოდა, ველარ გამიგია მაინც როგორი ვარ, დიდი თუ პატარა, ჩემი აზრით, ზოგი თუ დიდად მთვლის და ზოგი პატარად, რამხელაც საჭიროა, სწორედ იმხელა ვარ.

ლასე და ბოსე ჩემი ძმებია, ლასე ცხრა წლისაა, ბოსე _ რვის. ლასე ძალიან ღონიერია და ჩემზე ჩქარა დარბის. მე და ბოსე კი ერთნაირად დავრბივართ. როცა უნდათ, უჩემოდ წავიდნენ სადმე, ლასე მიჭერს, ბოსე კი მირბის. მერე ლასე ხელს შემიშვებს და თვითონაც მოკურცხლავს. ჰოდა, ველარ ვეწევი, რა თქმა უნდა, გული მწყდება, მარტო ძმები რომ მყავს, და კი _ არა, ბიჭები ხომ ძალიან მავნეები არიან.

ჩვენ სოფელ ბიულერბიუში ვცხოვრობთ. პაწაწინა სოფელია, სულ სამი სახლი დგას, ისიც გვერდიგვერდ. შუა სახლი ჩვენია.

მეორე სახლში ერთი ბიჭი ცხოვრობს _ ულე. იმას არც დები ჰყავს და არც ძმები, ამიტომ მუდამ ლასესთან და ბოსესთან თამაშობს. ულე რვა წლისაა და ისიც მაგრად დარბის.

მესამე სახლში ორი გოგო ცხოვრობს. ისე მიხარია, რომ იქ ბიჭები არ ჰყავთ! გოგოებს ერთს ბრიტა ჰქვია, მეორეს _ ანა, ბრიტა ცხრა წლისაა, ანა ჩემი ტოლია. მე ორივე ძალიან მიყვარს, ანაც და ბრიტაც, მაგრამ ანა ცოტათი, ერთი ბეწოთი მაინც მირჩევნია.

მეტი ბავშვი ჩვენს სოფელში არაა. სულ ექვსნი ვართ: ლასე, ბოსე და მე, ულე, ბრიტა და ანა.

ძმებთან ძნელია შეგუება

წინათ ლასეს, ბოსეს და მე ერთ ოთახში გვეძინა. ის ოთახი მარჯვნივ იყო სხვენზე. ახლა კი საკუთარი ოთახი მაქვს სხვენის მარცხენა მხარეს. იმ ოთახში ოდესღაც ბებია ცხოვრობდა, მერე გიამბობთ იქ როგორ გადავსახლდი.

ისე ლასესთან და ბოსესთან ერთად ცხოვრება მომწონდა კიდეც, ოღონდ ყოველთვის არა, კარგი იყო, როცა საღამოობით ლოგინში ჩაწოლილები საშინელ ამბებს ვყვებოდით, თუმცა კი შიშით ვკანკალებდი. ლასემ ისეთი საზარელი ამბები იცის მოჩვენებებზე, რომ საბანს თავზე ვიფარებ და ცხვირის გამოყოფა მეშინია. ბოსე ასეთ ამბებს არა ყვება. მარტო იმ ფათერაკებს იგონებს, რაც დიდობაში გადახდება თავს. ის ხომ ამერიკაში გამგზავრებას და ინდიელების ბელადობას აპირებს.

ერთხელ ლასემ და ბოსემ ისე დამაშინეს, კინაღამ მოვკვდი. ლასე მოჩვენების ამბავს ყვებოდა, რომელიც თურმე სახლში შედიოდა და ავეჯს აქეთ-იქით დგამდა. ჩვენს ოთახში ბნელოდა, ჩემი საწოლი კი ლასეს და ბოსეს საწოლების მოშორებით იდგა. უცებ სკამი ახტა-დახტა! ვიფიქრე, მოჩვენებაა-მეთქი და ავღრიალდი. მაგრამ უცებ ლასეს და ბოსეს ხითხითი გავიგონე. იცით, რა გააკეთეს? სკამს ორი თოკი მოაბეს აქეთ-იქიდან. ხან ერტი ქაჩავდა, ხან _ მეორე და სკამიც ხტოდა. ისინი ასეთი ოინების ოსტატები არიან! მე ჯერ ძალიან გავბრაზდი, მერე კი გამეცინა.

თუ ძმებთან ერთად ცხოვრობ ოთახში და ის ძმები შენზე უფროსები არიან, ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებენ. ჩვენთან, მაგალითად, ლასე უფროსობდა. მუდამ თვითონ წყვეტდა, როდის ჩაექრო შუქი. თუ ლოგინში ზღაპრებს ვკითხულობდი, ის აცხადებდა, შუქი უნდა ჩავაქროთ და საზრელი ამბები მოვყვეთო. თუ შუქის ჩაქრობა და დაძინება მინდოდა, ლასე და ბოსე მაშინვე რაიმე თამაშს წარმოიწყებდნენ ხოლმე.

ლასეს შუქის ჩაქრობა ლოგინიდან წამოუდგომლად შეუძლია. მან მუყაოსაგან ეშმაკური რაღაც გააკეთა და გამომრთველს მიამაგრა, ზედ მიბმული ზონარი კი _ საწოლს. მშვენიერი გამოგონება იყო, მაგრამ ვერ აგიხსნით, როგორ მოაწყო, იმიტომ, რომ ლასესავით ინჟინრობას არ ვაპირებ. ლასე სულ იმას ტრაბახობს, ეშმაკური მოწყობილობების ინჟინერი გამოვალო. მე კარგად არ მესმის, ეს რას ნიშნავს. ლასეს რომ ჰკითხო, ეშმაკური მოწყობილობების ინჟინრობა ჩინებული პროფესიაა და ასეთ ინჟინრობას მხოლოდ ის შესძლებს, ვისაც გამომრთველთან მუყაოს მიმაგრება შეუძლია.

ბოსე ინდიელების ბელადობას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, წინათ ასე ამბობდა. ამ ცოტა ხნის წინ კი გავიგონე, დედას ეუბნებოდა, ორთქლმავლის მემანქანე მინდა გამოვიდეო. მაშასადამე, ინდიელების ბელადობა გადაუფიქრებია. მე არ ვიცი, რა გამოვალ,

ალბათ, დედა. ძალიან მიყვარს პატარა ბავშვები. შვიდი შვილი მყავს _ შვიდი თოჯინა. მალე კი იმდენად დიდი ვიქნები, რომ თოჯინებთან თამაშის შემრცხვება. რა მოსაწყენია დიდობა!

ჩემს ყველაზე ლამაზ თოჯინას ბელა ჰქვია. ოქროს დალალებიანია, ცისფერთვალა, თოჯინის ლოგინში წევს, ქვეშ დედას შეკერილი ვარდისფერი ზეწარი უფენია, ზემოდან ისეთივე საბანი ახურავს. ერთხელ მივედი ბელასთან და რას ვხედავ! თოჯინას წვერები და ულვაშები აქვს, თურმე ლასემ და ბოსემ მიახატეს ნახშირით. კიდევ კარგი, ახლა საკუთარი ოთახი მაქვს.

ლასეს და ბოსეს ოთახის ფანჯრიდან ულეს ფანჯარაში შეიძლება შეჭყეტა. ისიც ხომ სხვენის ოთახში წევს, ჩვენი სახლები კი გვერდიგვერდ დგას. მამა ხუმრობს ხოლმე, შორიდან რომ შეხედო, გეგონება, სახლები მუჯლუგუნებს ჰკრავენ გვერდში ერთმანეთსო. მისი აზრით, სახლები ასე ახლო-ახლო არ უნდა აგვეშენებინა. მაგრამ ლასე, ბოსე და ულე არ ეთანხმებიან. მათ მოსწონთ ასე გვერდიგვერდ ცხოვრება.

ჩვენსა და ულეს სახლს შუა დაბალი მესერია. მის გვერდზე ხეა ატოტვილი. მამა ამბობს, ცაცხვიაო. ტოტები ერთ მხარეს ლასეს და ბოსეს ფანაჯრას სწვდება, მეორე მხარეს _ ულეს ფანჯარას. როცა ლასეს, ბოსეს და ულეს სასწრაფო საქმე უჩნდებათ, ცაცხვზე გაცოცდებიან და ასე გადადიან ერთმანეთთან. ეს გზა უფრო მოკლეა, ვიდრე ჩამოხვიდე კიბეზე, გამოხვიდე ერთ ჭიშკარში, შეხვიდე მეორეში და ისევ ახვიდე კიბეზე. ერთხელ ჩვენმა მამებმა ცაცხვის მოჭრა გადაწყვიტეს, ოთახებს აბნელებსო, მაგრამ ლასემ, ბოსემ და ულემ ისეთი ღრიალი ატეხეს, რომ ცაცხვს ხელი აღარ ახლეს და ახლაც იქა დგას.

როგორ მაჩუქეს ოთახი

დღესასწაულებიდან ყველაზე მეტად ჩემი დაბადების დღე მიყვარს. ყველაზე კარგი დაბადების დღე კი შვიდი წლისა რომ შევსრულდი, მაშინ მქონდა.

დილაადრიან გავიღვიძე. იმდ როს ლასე, ბოსე და მე ერთ ოთახში ვცხოვრობდით. იმათ ეძინათ. მე ავტეხე საწოლის ჭრიალი, სხვანაირად ვერ გავაღვიძებდი, დაბადების დღეზე ხომ თავი უნდა მოიმძინარო, სანამ საწოლში არ მოგართმევენ საუზმეს და საუჩქრებს. ლასე და ბოსე არ იღვიძებდნენ. ეტყობა, არც ვაგონდებოდი. ვაჭრიალე და ვაჭრიალე საწოლი. როგორც იქნა, გაეღვიძა ბოსეს, წამოჯდა ლოგინზე და თმა აიჩეჩა. მერე

ლასე გააღვიძა, ორივენი ფეხაკრეფიტ გავიდნენ ოთახიდან და კიბეს დაბლა ჩაუყვნენ. მე კი ვიწექი, მესმოდა სამზარეულოში ჭურჭლის წკრიალ-ზრიალი და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ფეხზე არ წამოვმხტარიყავი.

მაგრამ აი, გაისმა კიბეზე ფეხების ტყაპუნი. თვალები მაგრად დავხუჭე, ბრახ! _ ხმაურით გაიღო კარი და ოთახში მამა, დედა, ლასე, ბოსე და აგდა, ჩვენი მოახლე, შემოვიდნენ. დედას ხელში ლანგარი ეჭირა, ზედ ეწყო ყვავილები, ერთი ფინჯანი კაკაო და ღვეზელი, რომელზეც ეწერა: «ლიზი შვიდი წლისაა». ღვეზელი აგდამ გამოაცხო. სხვა საჩუქრები არა ჩანდა. ეს რა უცნაური დაბადების დღე მაქვს-მეთქი! _ გამიელვა თავში, რომ უცებ მამამ მითხრა: _ ჩქარა დალიე კაკაო და წავიდეთ, მოვძებნოთ, იქნებ რამე საჩუქარი ვიპოვოთო.

მაშინ კი მივხვდი, რომ სიურპრიზი მელოდა, და კაკაო უცებ გადავყლურწე. დედამ თვალები პირსახოცით ამიკრა, მამამ რამდენჯერმე დამატრიალა, ხელში ამიყვანა და სადღაც წამიყვანა. სად მივყავდი, ვერა ვხედავდი, მაგრამ მესმოდა ლასე და ბოსე ჩემს გვერდით რომ მორბოდნენ. არა, კი არ მესმოდა, ვგრძნობდი, იმიტომ, რომ ორივენი ქუსლებზე მიღიტინებდნენ და მეუბნებოდნენ:

_ აბა, გამოიცანი, სადა ხარ?

მამამ დაბლა ჩამიყვანა და დიდხანს დავყავდი ოთახიდან ოთახში, ეზოშიც გამატარ-გამომატარა, მერე ისევ რომელიღაც კიბეს აუყვა. ბოლოს და ბოლოს, დედამ მომხსნა თვალებიდან სახვევი. ყველანი ვიყავით ოთახში, რომელიც მანამდე არასოდეს მენახა. ყოველ შემთხვევაში, მე თავიდან ასე მომეჩვენა. მაგრამ ფანჯარაში რომ გავიხედე, ბრიტას და ანას სახლი დავინახე. ისინი ფანჯარასთან იდგნენ და ხელს მიქნევდნენ. მაშინღა მივხვდი, რომ ბებიას ყოფილ ოთახში ვიყავი და მამამ განგებ მატარა აქეთ-იქით, რომ დავებნიე. ბებია ჩვენთან მაშინ ცხოვრობდა, როცა მე პატარა ვიყავი. მერე ფრიდა დეიდასთან გადავიდა საცხოვრებლად. მას შემდეგ იმ ოთახში დედას საქსოვი დაზგა იდგა, რომელზეც იატაკის საფენებს ქსოვდა ხოლმე. ახლა ოთახში დაზგა აღარ ჩანდა და ოთახი ისე შეცვლილიყო, რომ გაოცებულმა ვიკითხე, აქ ჯადოქარი ხომ არ ყოფილა-მეთქი? დედამ, როგორ არაო, მითხრა. ის ჯადოქარი მამაჩემი აღმოჩნდა და ამიერიდან ამ ოთახში ვიცხოვრებ. ეს იყო ჩემი სადღეობო საჩუქარი. ძალიან გამეხარდა. ჩვენებს ასე არც ერთ დაბადების დღეზე არ დავუსაჩუქრებივარ. მამამ მითხრა, გრძნეულებაში დედაც მეხმარეობდა, ეს ლამაზი თაიგულებიანი შპალერი მე გაგიჩინე, დედამ კი _ ფარდებიო. თურმე მამა ყოველ საღამოს მიდიოდა თავის სახელოსნოში და იყენებდა გრძნეულების

უნარს. ასე გაჩნდა კამოდი, მრგვალი მაგიდა, ეტაჟერი და სკამები. მერ ეყველაფერი თეთრად შეღება. დედამ მოქსოვა იატაკის მწვანე და ყვითელზოლიანი საფენები და იატაკზე დააფინა. ვხედავდი ზამთარში ამ საფენებს რომ ქსვოდა, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ჩემთვის იყო. იმასაც ვხედავდი, მამა რომ ავეჯს აკეთებდა. მაინც ვერაფერს მივხვდი. ზამთრობით ყოველთვის ასე იქცეოდა _ ავეჯს იმათთვის აკეთებდა, ვისაც თვითონ არ ეხერხებოდა ეს საქმე.

ლასემ და ბოსემ მაშინვე გადაათრიეს ახალ ოთახში ჩემი საწოლი. მერე ლასემ მითხრა:

_ საღამოობით მაინც მოვალთ შენთან საშინელი ამბების მოსაყოლად.

მე ლასეს და ბოსეს ოთახში გავიქეცი და ჩემი თოჯინები წამოვიღე. პატარა თოჯინებს სახლი გავუმართე ეტაჟერზე. ბელას საწოლი ჩემი საწოლის გვერდით დავდი, თოჯინების ეტლი კი, რომელშიც ჰანსი და გრეტა იწვნენ, მეორე კუთხეში. ოთახი კიდევ უფრო გალამაზდა.

მერე ისევ ლასესთან და ბოსესთან გავიქეცი და იმათი კამოდიდან ჩემი კოლოფები და სურათები წამოვიღე. ბოსეს ძალიან გაუხარდა.

_ შეხედე, რამდენი ადგილი დარჩა ჩიტების კვერცხებისათვის.

ჩემი წიგნები და ჟურნალები ეტაჟერზე დავალაგე. უკვე ცამეტი წიგნი მაქვს. გვერდით პრიალასურათებიანი კოლოფები დავაწყვე. ამ სურათებს გოგოები შესვენებაზე ვუცვლით ხოლმე ერთმანეთს. სურათები ბევრი მაქვს. იმათგან რამდენიმეს, ძალიან რომლებიც მიყვარს, ჩემს სიცოცხლეში არავის გავუცვლი. ყველაზე საყვარელი სურათია ვარდისფერკაბიანი პრინცესა.

ასეთი საჩუქარი მომიმზადეს დაბადების დღისათვის, მაგრამ ჩემი დაბადების დღე ამით არ დასრულებულა.

დაბადების დღის გაგრძელება

ნასადილევს ბიულერბიუელი ბავშვები მესტუმრნენ. ალბათ, გახსოვთ, რომ სულ ექვსნი ვართ. დავსხედით ჩემს ახალ ოთახში მრგვალი მაგიდის გარშემო და მივირთვით ჟოლოს მორსი და ღვეზელი, რომელზეც ეწერა: «ლიზი შვიდი წლისაა». და კიდევ ორი ღვეზელი, ისინიც აგდას გამომცხვარი. ახალი საჩუქრებიც მომიტანეს: ანამ და ბრიტამ _

ზღაპრების წიგნი, ულემ _ შოკოლადი. ულე ჩემს გვერდით იჯდა და ლასე და ბოსე გვაბრაზებდნენ:

_ ნეფე და დედოფალი! ნეფე და დედოფალი!

ისინი ასე იმიტომ გვაბრაზებენ, რომ ულე გოგოებთან თამაშს არ ერიდება. ყურადღებასაც კი არ აქცევს იმათ დაცინვას. გოგოებთანაც თაამშობს და ბიჭებთანაც. ლასეს და ბოსეს თავი ისე უჭირავთ, თითქოს ვერ იტანენ გოგოებს, თუმცა მათთან თამაშზე ზოგჯერ არც თვითონ ამბობენ უარს. თან მეტი რა გზა აქვთ! როცა სოფელში ექვსი ბავშვია, ძალაუნებურად უწევთ ერთმანეთთან თამაში, სულ ერთია, ბიჭები არიან თუ გოგოები. იიტომ, რომ ექვსი ბავშვი ერთად უფრო კარგად გაერთობა, ვიდრე სამი.

ბიჭები რომ დანაყრდნენ, ბოსეს შეგროვილი ჩიტის კვერცხების კოლექციის სანახავად წავიდნენ, გოგოები კი თოჯინებს მივუსხდით. და უცებ ისეთი ეშმაკური რამე გამოვიგონე, ლასესას არ ჩამოუვარდებოდა.

დიდი ხნის წინ გრძელი, გრძელი ბაწარი ვიპოვე, მაგრამ არ ვიცოდი, რაში გამომეყენებინა. ახლა კი მივხვდი, რისთვის ივარგებდა. თუ ამ ბაწარს მივაბამდი ასეთსავე გრძელ ბაწარს და ჩვენი ფანჯრიდან ანას და ბრიტას ფანჯრამდე გავჭიმავდი, შეიძლებოდა სიგარის კოლოფით ერთმანეთისთვის წერილები გაგვეგზავნა.

ყველაფერი ჩინებულად გამოვიდა!

ბრიტა და ანა შინ გაიქცნენ და დავიწყეთ წერილების გაგზავნ-გამოგავნა. სიგარის კოლოფი მსუბუქად მისრიალებდა თოკზე. ჯერ უბრალო წერილებს ვწერდით; «როგორა ხარ. მე კარგად ვარ». მერე კი თამაში მოვიგონეთ, ვითომ ციხე-კოშკებში გამომწყვდეული პრინცესები ვიყავით და არ შეგვეძლო კოშკებიდან გამოსვლა, იმიტომ, რომ შემზარავი ურჩხულები გვდარაჯობდნენ. ბრიტა და ანა მწერდნენ: «ჩვენი ურჩხული ამაზრზენია! შენი? პრინცესა ანა და პრინცესა ბრიტა».

მე კი ვპასუხობდი: «ჩემი ურჩხულიც ამაზრზენია, თუ კოშკიდან გამოსვლა დავაპირე, მკბენს. რა კარგია, რომ მიწერ-მოწერა მაინც შეგვიძლია ერთმანეთთან! პრინცესა ლიზი».

მერე დედამ ქვევით დამიძახა. სანამ დავბრუნდებოდი, ჩემს ოთახში ლასე, ბოსე და ულე მოვიდნენ. ნახეს ჩვენი წერილები და ლასემ გოგოებს ასეთი წერილი მისწერა:

«პრინცესა ლიზი ცხვირის მოსახოცად წავიდა, სამაგიეროდ, ბლომად არიან პრინცები პრინცი ლარს ალექსანდრ ნაპოლეონი».

ბრიტამ და ანამ უპასუხეს, ეს უკვე სისულელეაო.

მე ძალიან მიხარია, ჩვენი ფანჯრები რომ ერთმანეთს უყურებს. ისევ ვგზავნით წერილებს აქეთ-იქით. ზამთარში კი, როცა წერილების გაგზავნა მოუხერხებელია, ჯიბის ფარანი გვეხმარება. თუ ფარანი სამჯერ ავანთე, ეს ნიშნავს, რომ ვეუბნები: «ჩქარა მოდით ჩემთან! მე საინტერესო რამე მოვიგონე!».

დედამ გამაფრთხილა, ოთახი თვითონ უნდა დაალაგოო. მეც ძალიან ვცდილობ, ხანდახან ძირისძირობამდე ვალაგებ. იატაკის საფენებს ეზოში პრიდაპირ ფანჯრიდან ვყრი და მერე აგდა მაბერტყვინებს. ვაპრიალებ კარის სახელურებს, ვწმენდ მტვერს, ლარნაკში ახალ ყვავილებს ვაწყობ, თოჯინას თეთრეულს ვუცვლი. ისეც ხდება, რომ ოთახის დალაგება სულ თავიდან გამომვარდება ხოლმე და მაშინ დედა ფეთხუმს მეძახის.

როგორ გვაჩუქეს კატის კნუტები

ახლა გიამბობთ, როგორ ვმარგლავდით თალგამს. რა თქმა უნდა, ყველა ერთად ვმარგლავდით, ცალ-ცალკე მოგვწყინდებოდა. ოღონდ მუხლები რომ არ გვტკენოდა, ტილოს გრძელი წინსაფრები შემოვიკარით წელზე.

დედამ, ეგებ მოგწყურდათო, და მორსით სავსე ბიდონი მოგვცა. მართლაც, მივედით თუ არა ბოსტანში, მაშინვე წყურვილმა დაგვახრჩო. ავიღეთ გრძელი ჩალის ღერი, ჩავიმუხლეთ ბიდონის გარშემო და დავიწყეთ ბიდონიდან მორსის წრუპვა. იმდენი ვიცინეთ, იმდენი, რომ ვერც შევამჩნიეთ, როგორ ამოვწრუპეთ მთელი მორსი. ლასემ ბიდონს სტაცა ხელი, წყაროზხე გაიქცა წყლის მოსატანად. წყლის წრუპვაც სასაცილო იყ, მაგრამ მორსს უფრო კარგი გემო ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, ულე ზურგზე დაგორდა და გვითხრა:

_ უსმინეთ, როგორ მიბუყბუყებს მუცელი!

მართლაც, მუცელში ბუყბუყი გაჰქონდა წყალს. ახლოს მივედით და ყური მივუგდეთ.

მერე შევუდექით თალგამის მარგვლას, თან ათასნაირ ამბებს ვყვებოდით. ლასემ მოჩვენებებზე დაიწყო მოყოლა, მაგრამ როცა მზე ანათებს, მოჩვენების არავის ეშინია. ეს რომ არ გამოუვიდა, მოდით, გინებაში შევეჯიბროთ ერთმანეთსო, თქვა. გოგოებმა უარი ვთქვით ამ სულელურ შეჯიბრებაზე, იმიტომ, რომ მასწავლებელი ამბობს, მარტო ძალიან

სულელი ადამიანი იგინებაო. ლასემ დაიწყო გინება, მაგრამ მარტო გინება მოსწყენია და გაანება თავი.

პირველ დღეს ძალიან გვეხალისებოდა მარგვლა, მეორე დღეს _ ისე აღარ, მაგრამ მაინც ვმუშაობდით. რა უნდა გვექნა, თალგამი აუცილებლად უნდა გაგვემარგლა. უცებ ლასე ეუბნება ულეს:

_ ოხრახუშ სალდო ბუმ-ბუმ.

_ კოლიფინკ, კოლიფინკ, _ პასუხობს ულე.

ახლა ბოსე ამბობს:

_ მოისი, ფოისი ფილიბუმ არარტ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვკითხეთ, რას ამბობთო. ლასემ გვიპასუხა, განსაკუთრებული ენაა, რომელიც მარტო ბიჭებს გვესმისო.

_ გოგოებისთვის ეს ენა ძალიან რთულია, _ დაუმატა ამაყად.

_ ხა-ხა-ხა! _ აგვიტყდა სიცილი. _ თქვენ თვითონაც არ გესმით!

_ ძალიან კარგად გვესმის! _ შემედავა ლასე. _ მე, მაგალითად, ვთქვი: «დღეს კარგი ამინდია-მეთქი». ულემ მიპასუხა: «რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა». ბოსემ კიდევ თქვა; «რა კარგია, გოგოებს რომ არ ესმით ჩვენი ენაო».

მიბრუნდნენ და დაიწყეს თავიანთ ენაზე საუბარი. ბრიტა არ ჩამორჩა. ჩვენც გვაქვს საკუთარი ენა, რომელიც მარტო გოგოებს გვესმისო. და დავიწყეთ ჩვენს ენაზე საუბარი. მთელი დილა ასე სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით. მე მეჩვენებოდა, რომ ენები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, მაგრამ ლასემ შორს დაიჭირა ეს ამბავი, სულაც არა, თქვენი ენა რაღაც სულელურიაო, მითხრა.

_ კოლიფინკ, კოლიფინკ, _ ისევ თქვა ულემ.

ჩვენ ცოტა-ცოტა უკვე ვისწავლეთ ბიჭების ენა და ვიცოდით, რომ ეს ნიშნავდა: «რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა». ახლა მე, ბრიტა და ანა ულეს კოლიფინკს ვეძახით.

მესამე დღეს, როცა ქვებზე სასაუზმოდ ჩამოვსხედით, ცა მოულოდნელად მოიქუფრა, ატყდა ჭექა-ქუხილი და დასცხო სეტყვამ. ისეთი სეტყვა იყო, ირგვლივ თოვლივით გადაათეთრა ყველაფერი, გავიქეცით, მაგრამ სეტყვის ამრცვლებზე ძალიან ძნელი იყო სირბილი. ჩვენ ხომ ფეხშიშველები ვიყავით.

_ კრისტინთან გავიქცეთ, აქვეა! _ წამოიძახა ლასემ.

ასეც მოვიქეცით. ლასეს თითქმის ყოველთვის ვუჯერებთ.

კრისტინი ბოსტნებთან პატარა წითელ სახლში ცხოვრობს. გავიქეცით იმასთან, საბედნიეროდ, შინ დაგვხვდა. ის ძალიან მოხუცია და ცოტათი ჩვენს ბებიას ჰგავს. იცით, როგორი კეთილია! ამიტომ ხშრიად დავდივართ სტუმრად.

_ ოქრო სტუმრები მეწვივნენ, ოქრო სტუმრები! _ წამოიძახა კრისტინმა და ტაში შემოკრა. მერე, რომ დაინახა, გალუმპულები ვიყავით, დაამატა: _ უიმე, შვილებო, რასა ჰგავხართ! _ და მაშინვე ცეცხლი გააჩაღა კერიაში, რომელსაც ოთახის ლამის ნახევარი უჭირავს. სწრაფად გაივხადეთ სველი ტანსაცმელი და ფეხეიბ ცეცფხლს მივაფიცხეთ. კრისტინამ ვაფლი გამოგვიცხო ძველ სავაფლეში. იმ სავაფლეს პირდაპირ ცეცხლში ფლავდა ხოლმე. კიდევ ყავა მოგვიხარშა ნაკვერცხლებზე დადგმულ სამფეხა ქვაბში.

კრისტინს სამი კატა ჰყავს. ერთს კნუტები დაყარა. ოთხივენი კალათში იწვნენ და სოცადავად კანოდნენ. რა კარგები იყვნენ. კრისტინმა თქვა, სამი ვინმეს უნდა მივცე, თორემ კატები ისე მოგვიმრავლდა, მალე ჩემთვის აღარ დარჩება ადგილიო.

_ შეიძლება ჩვენ წავიყვანოთ? _ ჰკითხა ანამ.

_ როგორ არ შეიძლება! _ უპასუხა კრისტინმა, _ მაგრამ დედები ხომა რ გაგიჯავრდებიან, უნებართვოდ რომ მიუყვანოთ?

_ არა პირიქით, გაუხარდებათ, _ დაამშვიდა ბრიტამ. _ კნუტები ყველას უყვარს.

შევეხვეწეთ კრისტინს გაეტანებინა კნუტები. ბიულერბიუს ყოველ სახლს თითო კნუტი შეხვდა. ჩვენთვის ლასემ აირჩია ზოლიანი, შუბლზე თეთრი ნიშნით. ბრიტამ და ანამ _ ქათქათა თეთრი კნუტი აირჩიეს, ულემ _ შავზე შავი.

ტანსაცმელი რომ გაგვიშრა, კნუტები შინ წავიყვანეთ. კიდევ კარგი, კატას ერტი კნუტი მაინც დარჩა, თორემ ცოდო იყო, ძალიან მოიწყენდა.

კნუტებს სახელებიც დავარქვით. ლასემ, ბოსემ და მე _ მურიკი, ბრიტამ და ანამ _ პრინცესა, ულემ _ მალკოლმი. დედებმა, რა თქმა უნდა, ნება დაგვრთეს, დაგვეტოვებინა კნუტები.

მე ძალიან მომწონს მურიკთან თამაში, მოვაბამ ხოლემ თოკს ქაღალდს და დავრბვარ. მურიკი კი დასდევს ქაღალდს და მის დაჭერას ცდილობს. წინათ ლასე და ბოსეც ეთამაშებოდნენ, მერე თანდათან მოსწყინდათ. მურიკს, პრინცესას და მალკოლმს ზოგჯერ მდელოზე გამოვუშვებთ ხოლმე სათამაშოდ. რაც არ უნდა იყოს, ნათესავები არიან და ალბათ, სიამოვნებთ ერთმანეთის ნახვა.

როგორ შეიძინა ულემ ძაღლი

ჩვენს ულეს არც ძმები ჰყავს, არც დები. სამაგიეროდ, ძაღლი ჰყავს. ჰოდა, კიდევ მალკოლმი. მის ძაღლს ელვა ჰქვია. ახლა გიამბობთ, როგორ მოხვდა ელვა ულესთან.

ბიულერბიუს მახლობლად ერთი ხარაზი ცხოვრობს. ავი კაცია, სიკეთის არაფერი სცხია. ისეთი უპიროა, თუნდაც დაგპირდეს, მაინც არ შეგიკეთებს დროზე ფეხსაცმელს. აგდა ამბობს, ლოთი რომაა, იმისი ბრალიაო. წინათ ელვა მასთან ცხოვრობდა. ხარაზი ცუდად ექცეოდა და ისიც ყველაზე ავი ძარლი იყო მთელ ოლქში, ყოველთვის ჯაჭვით დაბმული, ვინმეს თვალს მოჰკრავდა თუ არა, ღრენ-ყეფით გამოუვარდებოდა. ყვეალს გვეშინოდა ელვასი და ძაღლის ხუხულას ახლოს არ ვეკარებოდით. მარტო ძაღლის კი არა, ხარაზისაც გვეშინოდა. პირქუში და მოღუშული კაცია და სულ იმას ამბობს, ბავშვები ყოველდღე უნდა ცემოო. ძაღლსაც ხშირ-ხშრიად ურტყამდა. დათვრებოდა და მისთვის ლუკმის გადაგდებაც ავიწყდებოდა.

სანამ ელვა ხარაზთან ცხოვრობდა, საშინლად ბრაზიანი და უშნო გვეგონა. ისეთი ჭუჭყიანი, აბურძგნილი და საზარელი შესახედავი იყო ყოველთვის. ახლა ვიცით, რა კეთილია, კეთილი კი ჩვენი ულეს მეშვეობით გახდა. თვითონ ულეც ხომ ძალზე კეთილია.

ეს ასე მოხდა.

ერთხელ ულემ ხარაზს თავისი ფეხსაცმელები წაუღო დასაკერებლად. ძაღლი ჩვეულებისამებრ ყეფით გამოვარდა თავის ხუხულადან. ისე იყო გამძვინვარებული, ულე გასაგლეჯად არ ენანებოდა. ულე შეჩერდა და ლაპარაკი დაუწყო: კარგი და კეთილი ძაღლი ხარ, ოღონდ ძალიან ხმამაღლა ყეფო, ეუბნებოდა. ულე, რა თქმა უნდა, მოშორებით იდგა, რომ ელვა ვერ მისწვდომოდა, იმიტომ, რომ კარგსა და კეთილს ელვას არაფერი უგავდა.

მეორე დღეს ულემ მიაკითხა თავის ფეხსაცმელებს და თან ელვას ძვალი მიუტანა. ძაღლმა ძველებურად შეუღრინა, მაგრამ ძვალს მაინც დაიწყო ღრღნა, ეტყობა, ძალიან შიოდა. ულე შორიახლო იდგა და ისევ იმას ეუბნებოდა, რა კარგი და კეთილი ძაღლი ხარო.

ხარაზი სულ ატყუებდა და ატყუებდა და ულეს ბევრჯერ მოუხდა მასთან მისვლა. ელვას ყოველ მისვლაზე ხან რას მიუტანდა და ხან _ რას და წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ

დღეს ელვამ ულეს კი აღარ შეუღრინა, სიხარულით შეუყეფა. ულე მივიდა და მოეფერა. ძაღლმაც გაულოკა ხელი.

იმ ხანებში ხარაზი წაიქცა და ფეხი იღრძო. სიარული რომ აღარ შეეძლო, ელვას ჭმევას მთლად გაანება თავი. ულეს შეეცოდა ძაღლი და ხარაზს სთხოვა, სანამ ფეხი გტკივა, ნება მომეცი, ელვას საჭმელი ვაჭამოო. ხარაზმა დაუტია:

_ თქვა რა! ახლო მიხვალ თუ არა, ეყლს გამოგღადრავს.

პასუხად ულე მივიდა ელვასთან და ბეწვზე ხელი გადაუსვა. ხარაზი სარკმელთან იდგა და ყველაფერს ხედავდა. ჰოდა, მისცა ულეს ნება, მოევლო მისი ძაღლისათვის.

ულემ გაწმინდა ძაღლის სადგომი, შიგ ახალი თივა ჩააფინა, გარეცხა ჯამი და შიგ სუფთა წყალი ჩაასხა. ძაღლს აჭამა და ბიულერბიუში წაიყვანა სასეირნოდ. ელვა გახარებული ხტოდა, მობეზრებოდა სულ ჯაჭვით რომ იყო დაბმული. ასე დაჰყავდა ულეს სასეირნოდ ყოველდღე. ძაღლთან ერთად ჩვენც ვსეირნობდით, მაგრამ მას მარტო ულე უყვარდა და მის გარდა ნებას არავის აძლევდა, საყელურში ხელჩაკიდებულს ეტარებინა.

ხარაზს რომ ფეხი მოურჩა, ულეს უთხრა:

_ ნუ ტუტუცობ! ეგ ზოს ძაღლია და ჯაჭვით უნდა იყოს დაბმული!

ელვა ელოდა, ულე, ჩვეულებისამებრ, სასეირნოდ წამიყვანსო, და გახარებული ხტოდა. მაგრამ ულე მარტო წავიდა. დაღამდა და საცოდავად აყმუვლდა ელვა. ასე გვიამბო ულემ. ულეც დასევდიანდა და რამდენიმე დღე თავგზააბნეული დადიოდა. ბოლოს მამამისმა ძია ნილსმა, ვეღარ მოითმინა, მივიდა ხარაზთან და იყიდა ელვა.

ყველანი ულესთან გავიქეცით, უნდა გვენახა, როგორ ბანდა ძაღლს. ცოტა წავეხმარეთ კიდეც.

დაბანილ-დავარცხნილი ელვა უკვე ჩვეულებრივ ძაღლსა ჰგავდა.

ახლა ელვა ყოველთვის კეთილია და მისი საყელურით ტარება აღარაა საჭირო. ღამით ულეს საწოლთან წევს, ხოლო როცა სკოლიდან ვბრუნდებით, შუა გზაზე გვხვდება და კბილებით მოაქვს ულეს ჩანთა. ოღონდ ხარაზის სახლს ახლოს აღარ ეკარება. ალბათ, ეშინია, დამიჭერს და ისევ ჯაჭვით დამაბამსო.

საკუთარი ძაღლი კარგია, მაგრამ ბაბუა რომ გყავს, არც ისაა ნაკლები

ყოველ ადამიანს სიამოვნებს საკუთარი ცხოველი თუ ჰყავს. მეც მინდოდა ძაღლი მყოლოდა, მაგრამ არა მყავს. საერთოდ ბიულერბიუში ათასნაირი შინაური ცხოველია: ცხენები, ძროხები, ხბოები, ღორები და ცხვრები. დედას ქათმებიც ჰყავს. დედას ქათმებს ბიულერბიუს ქათმების ფერმისას ეძახიან. ჰოდა, ვისაც უნდა კრუხებს წიწილები ბლომად დააჩეკინოს, დედასგან ყიდულობს კვერცხს.

ჩვენ ერთ ცხენს აიაქსი ჰქვია და ჩემად ითვლება, ოღონდ ეს ისე, სიტყვაზე, ულეს ძაღლივით კი არა. სინამდვილეში მარტო ბოცვრები მყავს. ისინი მამას გაკეთებულ გალიაში ცხოვრობენ და მე ყოველდღე ბალახს და ფოთლებს ვაჭმევ. ერთ დროს ბოსესაც ჰყავდა ბოცვრები, მაგრამ მობეზრდა, იმას ყველაფერი ბეზრდება, ჩიტის კვერცხების გარდა.

ბაღში ერთი ბებერი ხე დგას, ბუს ხეს ვეძახით, იმიტომ, რომ იქ ბუები ცხოვრობენ. ერთხელ ბოსე აძვრა იმ ხეზე და ბუს კვერცხი ააცალა. ბუდეში ოთხი კვერცხი იდო, ასე რომ სამი კიდევ დარჩა. ბოსემ კვერცხს გული და ცილა გამოაცალა და თავის კოლექციას დაუმატა, ბუს კი თავისი კვერცხის მაგიერ სეშმაკოდ ბუდეში ქათმის კვერცხი ჩაუცურა. გასაოცარია, მაგრამ ბუმ ვერაფერი შეამჩნია. იჯდა კვერცხებზე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს სამი ბახალა და წიწილა არ გამოცეკა. ბუ საშინლად გაოცდა თავის შვილებში ყვითელი ღუნღულა გორგალი რომ დაიანხა. ბოსეს შეეშინდა, წიწილას რამე არ ავნოსო და იმწამსვე ბუდიდან ამოიყვანა.

_ ჩემი წიწილაა, იმის კი არა, _ გვითხრა ბოსემ.

მერე ადგა და თავის წიწილას ფეხზე წითელი ნაჭერი შეაბა, სხვებში არ ამერიოსო და ისე გაუშვა დედას წიწილებში. სახელად ალბერტი დაარქვა, მაგრამ როცა წიწილა წამოიზ'არდა, ყვინჩილა კი არა, ვარიკა გამოდგა და ბოსემაც შეუცვალა სახელი, ალბერტინა დაარქვა. ახლა ალბერიტნა დედალია და, როცა ბოსე კვერცხსა ჭამს, სულ იმას გაიძახის, ეს ალბერტინამ საგანგებოდ ჩემთვის დადოო.

ალბერტინა სხვა ქათმებზე მაღლა ფრინავს. ბოსე ამბობს, ბუს ბუდეშია გაჩენილი და იმიტომო.

ერთხელ ლასესაც მოუნდა საკუთარი ცხოველები ჰყოლოდა და საღორეში სამი სათაგური დადგა, დაიჭირა თექვსმეტი თაგვი და ჩასვა კასრში. კასრს ზედ დააწერა: «ბიულერიუს თაგვების ფერმა». ღამით ყველა თაგვი გაიქცა და ბიულერბიუს ფერმამაც შეწყვიტა არსებობა.

_ თაგვების ფერმა რად გინდა, თაგვები კვერცხს არ დებენ და არაფერი! _ უთხრა ბრიტამ.

_ მერე რა მოხდა! _ არ შეპუა ლასე. _ მინდოდა, საკუთარი ფერმა მქონოდა. _ ძალიან გულდაწყვეტილი იყო, თაგვები რო მგაექცნენ.

ბრიტას და ანას კი არც ძაღლი ჰყავთ, არც ბოცვრები, სამაგიეროდ, ბაბუა ჰყავთ, ძალიან კეთილი ბაბუა, ალბათ, ყველაზე კეთილი ბაბუა ამ ქვეყანაზე. ყველანი ბაბუას ვეძახით, თუმცა მარტო ანას და ბრიტას ბაბუაა.

თუ საქმე არა გვაქვს, მაშინვე ბაბუასთან გავრბივართ. ბაბუა სარწეველა სავარძელში ზის. გნომივით გრძელი ჭაღარა წვერი აქვს. ის ძალიან ცუდად ხედავს და არც წიგნების წაკითხვა შეუძლია, არც გაზეთები. მაგრამ ეს დიდი უბედურება არაა, ისედაც იცის, შიგ რა წერია. ხშირად გვიყვება ძველ ამბებს, იხსენებს, როგორც ცხოვრობდნენ ადამიანები მის პატარა ბიჭობაში.

ბრიტა, ანა და მე კი გაზეთს ვუკითხავთ ხმამაღლა _ ვინ მოკვდა, ვის რამდენი წელი შეუსრულდა, სად რა მოხდა და სხვა ათასგვარ განცხადებას. როცა ვკითხულობთ, აქა და აქ მეხი ჩამოვარდაო, ძველად როგორი მეხის დაცემა იცოდა, იმას გვიყვება. წავიკითხავდით, ვიღაცას ხარმა ურქინაო და მაშინვე თავის ნაცნობების ამბავს ჰყვება, ოდესღაც ხარს რომ წამოუცვამს რქებზე. ამიტომ გაზეთის კითხვას ძალიან დიდხანს ვუნდებით.

ბაბუას გაზეთს ზოგჯერ ბიჭებიც უკითხავენ, მაგრამ ჩვენ რომ ვუკითხავთ, ის ურჩევნია. ბიჭებს ეზარებათ და ბევრ საინტერესო ამბავს ტოვებენ. ბაბუას კარადაში ნაირ-ნაირ ინსტრუმენტებიანი ყუთი უდგას და ბიჭებს ნებას აძლევს, გამოიყენონ. ის კი არა, პატარა გემების გამოთლაშიც ეხმარება, თუმცა ხეირიანად ვერცა ხედავს. ბიჭები კალის ჯარისკაცებსაც ბაბუას ღუმელში ადნობენ.

ბაბუას ფანჯარაზე ბალბიფოთოლა ხარობს, რომელსაც თვითონ უვლის და ხანდახან ელაპარაკება კიდეც. კედლებზე ძალიან ლამაზი სურათები უკიდია. განსაკუთრებით ორი სურათი მომწონს. ერთზე დახატულია წინასწარმეტყველი იონა ვეშაპის მუცელში, მეორეზე _ კაცი, მახრჩობელა გველს რომ გუდავს. ეს სურათი არც ისეთი ლამაზია, სამაგიეროდ, ძალიან საშინელია.

კარგ ამინდში ბაბუა სასეირნოდ გამოდის. ხელში ჯოხი უჭირავს, რომლითაც გზას სინჯავს და ისე მიდის. ზაფხულში, სახლის წინ მდელოზე რომ ბებერი თელა დგას, იმის ქვეშ უყვარს ჯდომა, თბება მზეზე, დროდადრო კი ამოიბუბუნებს ხოლმე:

_ ო-ხო-ხო-ხო!

როცა ვკითხეთ, ასე რატომ ამბობო, გვიპასუხა, ჩემი ახალგაზრდობა მაგონდება და იმიტომო. მე მგონია, ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო.

ბიჭებს არ შეუძლიათ თავიანთი საიდუმლოს შენახვა

თალგამი რომ გავმარგლეთ, მერე თიბვის ალო დაიწყო.

_ წელს ბავშვებს ნებას აღარ მივცემ, სათივეზე ირბინონ და თივაში იხტუნონ, _ თქვა მამამ.

მამა ყოველ წელს ამას ამბობს, მაგრამ არავის სჯერა, რომ მართლა ასე მოიქცევა.

ჩვენ დილიდან საღამომდე ან თივით დატვირთულ ურმებს დავყვებოდით აქეთ-იქით, ანდა სათივეზე დავხტოდით. ლასემ სიმაღლეზე ხტომაში შვეჯიბროთ ერთმანეთსო, გვითხრა. რა თქმა უნდა, ზევიდან ქვევით უნდა ჩამოვმხტარიყავით და არა ქვევიდან ზევით. ავძვერით ყველანი სახურავის კოჭზე და გადმოვხტით. მე გული ამიფანცქალდა და მუცელში რაღაც ელვასავით დამიარა, ლასე დაგვპირდა, გამარჯვებულს წეულათი დავაჯილდოვებო. ის, დედამ რომ საფუარზე დუქანში გამაგზავნა, მაშინ ვიყიდეო. ჩვენც ვხტებოდით და ვხტებოდით გახარებულები. ბოლოს და ბოლოს, ლასე დაეცა და ერთხანს გაუნძრევლად იწვა. მერე თქვა, ასე მეგონა, გული მუცელში ჩამივარდა და მთელი სიცოცხლე იქ დარჩებაო. იმ სიმაღლიდან გადმოხტომა სხვამ ვეღარავინ გაბედა და ლასემ თვითონ იტაცა პირში წეულა, თან გამოაცხადა:

_ სათივეზე ჩადენილი გმირობისათვის პრიზი მიეკუთვნა ლასეს!

ერთხელ მე, ბრიტა და ანა თივით დატვირთულ ურემზე ვისხედით და მივდიოდით. უცებ ქვაყრილის შუაგულში მარწყვით მოფენილი პატარა მინდორი დავინახეთ. იმდენი მარწყვი იყო, რამდენიც ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. მაშინვე გადავწყვიტეთ, ბიჭებისათვის ეს ამბავი არასოდეს, არასოდეს არ გაგვემხილა. მარწყვი კი, რა თქმა უნდა, მოვკრიფეთ. ცამეტი გრძელი ასხმულა გამოვიდა. საღამოზე ყველა შევჭამეთ. მარწყვი ლასეს, ბოსეს და ულესაც ვუთავაზეთ, მაგრამ როცა გვკითხეს, სად დაკრიფეთო, ასე ვუპასუხეთ:

_ ამას თქვენ ვერასოდეს გაიგებთ, ეს ჩვენი საიდუმლოა!

რამდენიმე დღეს გოგოები კიდევ ვეძებდით ახალ მარწყვიან მდელოებს და სათივეზე აღარ დავდიოდით. ბიჭები კი სულ იქ ტრიალებდნენ და გაოცებულები ვიყავით, რატომ არ ბეზრდებათო.

მაგრამ რომ შევხვდით, ვეღარ მოვითმინეთ და წავეტრაბახეთ, უკვე შვიდ ადგილას გვაქვს შეგულებული მარწყვი, ოღონდ არც ერთს არ გაჩვენებთ, ჩვენი საიდუმლოაო.

_ ხა-ხა-ხა! თქვენი საიდუმლო ჩვენ საიდუმლოსთან შედარებით არაფერი არ არის, _ თქვა ულემ.

_ რა საიდუმლო გაქვთ? _ ჰკითხა ბრიტამ.

_ ამ წუთში არ გითხრათ! _ გაეცინა ულეს.

მაგრამ ლასემ შეაჩერა:

_ პირიქით! გაიგონ. აბა, ისე როგორ დარწმუნდებიან, უფრო დიდი საიდუმლო რომ გვაქვს.

_ გვითხარით რა, გვითხარით თქვენი საიდუმლო, _ დავუწყეთ ბიჭებს ხვეწნა.

_ თუ გინდათ, გეტყვით! თივაში ცხრა გამოქვაბული გავაკეთეთ, _ თქვა ლასემ.

_ ოღონდ სად არის, ვერასოდეს გაიგებთ! _ წამოიძახა ბოსემ და ცალ ფეხზე ხტუნვა დაიწყო.

_ მაინც ვიპოვით! _ ვუთხარით გოგოებმა და გამოქვაბულების მოსაძებნად სათივეზე გავიქეცით.

ვეძებეთ იმ დღეს, მეორე დღესაც, მაგრამ კვალიც ვერა ვნახეთ. ბიჭები იბღინძებოდნენ და დაგვცინოდნენ. ბოლოს ლასემ გვითხრა:

_ თითები მოკაკვეთ, სულ ერთია, ვერ იპოვით. მათ საპოვნელად რუკაა საჭირო, ის კი საიმედოდა გვაქვს შენახული.

_ ასეთი რა რუკაა? _ ვკითხეთ გაკვირვებულებმა.

_ ჩვეულებრივი, მასზე მონიშნულია ყველა გამოქვაბული. თვითონ დავხაზეთ ყველაფერი, _ თქვა ლასემ. _ ახლა რუკა საიდუმლო სამალავში ინახება.

მაშინ მე, ბრიტამ და ანამ გამოქვაბულის ძებნას თავის დავანებეთ და რუკის ძებნა დავიწყეთ. ვიცოდით, რომ ჩვენს სახლში იქნებოდა Dდამალული, ლასე არაფრით დათანხმდებოდა, სხვაგან შეენახათ. რამდენიმე საათი ვიქექებოდით ლასეს და ბოსეს ოთახში. დავბერტყეთ ლოგინები, გადავაქოთეთ კამოდი და კარადა _ ვერაფერი ვიპოვეთ. ავდექით და ლასეს ვთხოვეთ:

_ მიგვანიშნე მაინც, რასთან უფრო ახლოა რუკა დამალული: ჩიტებთან, თევზებთან თუ რაიმე საშუალოსთან.

ჩვენ ყოველთვის ასე ვკარნახობთ ერთმანეთს, როცა რაიმეს ვეძებთ.

ლასე, ბოსე და ულე დიდხანს იცინოდნენ, მერე კი ლასემ გვითხრა:

_ უფრო ჩიტებთან. თვალები დამეთხაროს, თუ ჩიტებთან არ იყოს!

ბიჭებმა თვალი ჩაუკრეს ერთმანეთს. ჩვენ ჯერ ლამპა დავათვალიერეთ, გადავწიეთ კედელზე გაკრული ხალიჩა _ რუკა ხომ სადღაც მაღლა იყო დამალული, აკი ჩიტებთან ახლოსო, გვითხრეს. არც იქ აღმოჩნდა რამე. ლასემ თავისი გაგვიმეორა:

_ თითები მოკაკვეთ! სულ ერთია, ვერ იპოვით!

ჩვენც დავანებეთ თავი ძებნას.

მეორე დღეს წვიმდა და სეირნობა არ შეიძლებოდა. ლასე და ბოსე სადღაც გაიქცნენ. მე ბიჭების ოთახში ჩავედი და ცაცხვის ხეზე გადავძვერი, რომ ულეს ოთახში გადავსულიყავი და «ათას ერთი ღამე» გამომერთმია წასაკითხად.

ადრე ჩვენს ცაცხვზე პატარა ფუღუროში ჩიტს ჰქონდა ბუდე. ახლა კი აღარავინ ცხოვრობს. ფუღუროს გვერდით რომ მივძვრებოდი, იქიდან რაღაცა ზონარი დავინახე ჩამოშვებული. ჩიტს ზონარი რად უნდა-მეთქი? _ გავიფიქრე და მოვქაჩე. ზონარზე დაგრაგნილი ქაღალდი იყო გამობმული. თქვენ წარმოიდგინეთ, რუკა აღმოჩნდა. სიხარულისაგან კინაღამ ხიდან ჩამოვვარდი. «ათას ერთი ღამეც» დამავიწყდა და ყველაფერი, დავბრუნდი ლასეს და ბოსეს ოთახში და შურდულივით გავვარდი ბრიტასთან და ანასთან. ისე ვჩქარობდი, რომ კიბეზე დავეცი და მუხლი ვიტკინე.

ნეტა გენახათ, როგორ გაუხარდათ ბრიტას და ანას! მაშინვე სათივეზე გავიქეცით და რუკის დახმარებით უცებ ვიპოვეთ ყველა გამოქვაბული. გამოქვაბულების გარდა ბიჭებს თივაში გვირაბებიც გაუკეთებიათ. რუკაზე ისინიც იყო აღნიშნული. როცა ასეთ ვიწრო და ბნელ გვირაბში მიცოცავ, გგონია, აღარ გათავდებაო, და შიშით გული გისკდება.

მარტო გვირაბებში ბნელოდა, გამოქვაბულები კი ნათელი იყო. იმიტომ, რომ ბიჭებს კედლებთან გამოეთხარათ, ხოლო კედლები ჭუჭრუტანებითაა სავსე. იმწუთსვე მიხვდით, რა ძნელი იყო ამ მშვენიერი გამოქვაბულების გაკეთება. სანამ გოგოები მარწყვიან მდელოებს ვეძებდით, ბიჭები თავაუღებლად მუშაობდნენ. ბოლო გამოქვაბულთან მისასვლელად იმსიგრძე გვირაბი უნდა გაგველო, რომ შევშინდით, ვაითუ აქედან ვეღარასოდეს გავაღწიოთო. ჯერ მე მივბობღავდი, მერე _ ბრიტა, ბოლოში _ ანა.

_ ნახეთ, ეს ლაბირინთია, რომელსაც დასასრული არა აქვს, _ თქვა ბრიტამ.

მაგრამ მე ამ დროს წინ რაღაც სინათლე შევნიშნე, ეს გამოქვაბული იყო, შიგ ლასე, ბოსე და ულე ისხდნენ. კინაღამ გადაირივნენ, რომ დაგვინახეს.

_ როგორ მოგვაგენით? _ გვკითხა ლასემ.

_ სულ ადვილად, რუკა აქ არა გვქონდა? _ ვუპასუხე ღიმილით. _ იოლად საპოვნელ ადგილას დაგიმალავთ.

ძალიან გვესიამოვნა, ლასე ერთხელ მაინც რომ შევაცბუნეთ, ის ცოტა ხანს დაფიქრდა და თქვა:

_ კარგით! გოგოებიც ვათამაშოთ!

მთელი დღე, სანამ წვიმდა, გამოქვაბულებში ვთამაშობდით და ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო, მეორე დღეს კი ლასემ გვითხრა:

_ ჩვენი საიდუმლო რადგან გაიგეთ, ვალდებული ხართ, თქვენი მარწყვიანი ადგილებიც გვაჩვენოთ.

_ არაფერიც! _ ვტკიცეთ ცივი უარი. _ როგორც გოგოებმა ვიწვალეთ გამოქვაბულის ძებნაზე, თქვენც ისე იწვალეთ და იპოვეთ.

ასე კი ვუთხარით, მაგრამ ადვილად რომ მოენახათ, გზადაგზა ხის ისრები დავაწყვეთ, ისრებს შორის დიდი მანძილი იყო და ბიჭებმა ვერც ისე მალე იპოვეს ჩვენი შეგულებული ადგილები.

ღამეს სათივეზე ვათევთ

ერთ დღეს ბოსემ დაიტრაბახა:

_ მე და ლასე ამაღამ სათივეზე ვიძინებთ! ულეც წამოვა, თუ გამოუშვეს.

_ სათივეზე ღამეს მარტო მაწანწალები ათევენ, _ მოვუჭერი მე.

_ არაფერიც! დედამ ნება დაგვრთო, _ თქვა ბოსემ.

მაშინვე ბრიტასთან და ანასთან გავიქეცი და ახალი ამბავი გავაგებინე.

_ თუ ასეა, ჩვენც გავათევთ ღამეს სათივეზე, _ აჭყივლდნენ გოგოები. _ ჩვენსაზე წავიდეთ. ხომ წამოხვალ, ლიზი?

რა თქმა უნდა, დავთანხმდი. სათივეზე ღამის გათევა მართლა ძალიან საინტერესოა! ოღონდ გული მწყდება, რომ ეს ბიჭებმა მოიფიქრეს. ახლა დედასთან წავედი ნებართვის სათხოვნელად. დედამ მითხრა, სათივეზე ღამის თევა პატარა გოგოების საქმე არაა. მე არ

დავეთანხმე. რატომ, თუ ბიჭები ერთობიან, გოგოებსაც არ აწყენთ ხანდახან გართობა-მეთქი. დედამ იმავე წუთას დამრთო ნება.

სული ძლივს მივიტანეთ საღამომდე. ლასეს ეს ამბავი ძალიან გაუკვირდა.

_ თქვენც სათივეზე აპირებთ ღამის გათევას?! მერე არ შეგეშინდებათ, უცებ რომ მოჩვენება გამოგეცხადოთ?

_ თქვენ თვითონ შეგეშინდებათ! _ იხტიბარი არ გავიტეხეთ არც ერთმა და ღამისთვის ბუტერბროდების კეთებას შევუდექით.

რვა საათზე სათივეზე წავედით. ბიჭებს ჩვენს სათივეზე უნდ გაეთიათ ღამე, გოგოებს _ ბრიტას და ანას სათივეზე. სახლიდან ჩულოები გამოგვატანეს, რომ შიგ კარგად გავხვეულიყავით. ულე პოლიფინკმა თან თავისი ელვაც წამოიყვანა. ეჰ, იმას რა უჭირს, ვისაც ძაღლი ჰყავს!

_ ღამე მშვიდობსა, მაწანწალებო! _ გამოგვემშვიდობა მამა.

დედამ კიდევ დაამატა:

_ დილით ჩემთან რძის დასალევად მოსვლა არ დაგავიწყდეთ, ნამდვილი მაწანწალები ყოველთვის ასე იქცევიან.

ბიჭებს რომ ვემშვიდობებოდით, ლასემ გვითხრა:

_ მშვიდად იძინეთ... თუ შეძლებთ, შარშანმაგ სათივეზე გველგესლა ნახეს. ახლა გავიგებთ, წელსაც არის თუ არა.

ბოსემ კიდევ თქვა:

_ შეიძლება არის, შეიძლება არა. აი, მინდვრის თაგვები რომ ბლომადაა, ამას წყალი არ გაუვა, ფუუ, რა საზიზღრები არიან.

_ აღუებო! თუ პატარა მინდვრის თაგვების ასე გეშინიათ, სჯობს შინ დაბრუნდეთ და რბილ საწოლებში ჩაწვეთ, _ ვუთხარით ბიჭებს, დავავლეთ ხელი ჩულოებს და ბუტერბროდებს და სათივეზე გავიქეცით. გარეთ ჯერ კიდევ არა ბნელოდა, სათივეზე კი თითქმის ვეღარაფერს დაინახავდი.

_ მე შუაში ვწვები! _ დავასწარი ყველას.

ჩავწექით თივაში. საოცრად სურნელოვანი იყო, მაგრამ უსაშველოდ გვჩხვლეტდა.

ვიწექით და ვლაპარაკობდით ნამდვილ მაწანწალებზე, რომლებიც მთელი ცხოვრებას სათივეზე ატარებენ. ანას ეჭვი არ ეპარებოდა, იმაზე სასიამოვნო არაფერი იქნებაო. ძილი არ გვეკარებოდა და ბუტერბროდების შეჭმა გადავწყვიტეთ. ჭამა მანამ უნდა მოგვესწრო, სანამ სათივეზე მთლად ჩამობნელდებოდა. სწრაფად ბნელდებოდა.

მალე საკუთარ ხელებსაც ვეღარ ვხედავდით, თუმც ცხივრწინ გვეჭირა. მიხაროდა, შუაში რომ ვიწექი, იმიტომ, რომ სათივეზე უცებ რაღაც საეჭვოდ აშრიალდა. ანა და ბრიტა ნელ-ნელა ჩემკენ მოცოცდნენ.

_ რა უნდა ვქნათ, ნამდვილი მაწანწალა რომ მოვიდეს? _ წაიჩურჩულა ბრიტამ.

სამივენი მივჩუმდით და უცებ გაისმა ღმუილი, საშინელი ღმუილი, გეგონებოდა, ათასი მოჩვენება ერთად აღმუვლდაო. ძალიან მიკვირს, როგორ არ დავიხოცეთ შიშისაგან. არ დავიხოცეთ, მაგრამ მაგრად კი ავღრიალდით. ნეტა გაგეგონათ, როგორ ხარხარებდნენ ლასე, ბოსე და ულე. რა თქმა უნდა, ისინი ღმუოდნენ. თიავასაც ისინი აშრიალებდნენ, ჩვენსკენ რომმოიპარებოდნენ. ბრიტამ უსაყვედურა, ადამიანების შეშინება არ შეიძლება, იმიტომ, რომ შიშისაგან შეიძლება ძარღვებში სისხლი გაეყინოთო, და დაემუქრა, დედას ვეტყვი ყველაფერსო.

_ რა მოხდა ასეთი, ხუმრობა არ იცი? _ გაიკვირვა ლასემ.

ბოსემ კიდევ დაუმატა:

_ მაგარი მაბეზღარა ხარ!

ანა აწუწუნდა, რაღა ვქნა, ნამდვილად ვგრძნობ, ძარღვებში სისხლი ცოტათი რომ გამეყინაო.

ბოლოს და ბოლოს, ბიჭები წავიდნენ თავიანთ სათივეზე. ჩვენ კი დავიწყეთ ბჭობა, ღირდა თუ არა, იმათ სათივეზე მიპარვა და შეშინება, მაგრამ გვეძინებოდა და ყველაფერს თავი დავანებეთ.

უთენია მამალმა და სიცივემ გაგვაღვიძა. ყინულის ლოლუებივით გაყინულები ვიყავით. რომელი საათი იყო, არ ვიცოდით, მაგრამ ადგომის დრო რომ იყო, ეჭვი არ გვეპარებოდა. ჩვენს სახლთან ლასე, ბოსე და ულე დავინახეთ, ისინიც გათოშილიყვნენ, ყველანი სამზარეულოში გავიქეცით გასათბობად. ჩვენებს ისევ ეძინათ. საათის ისრები ხუთის ნახევარს უჩვენებდნენ. მაგრამ მალე აგდას მაღვიძარა აწკრიალდა. აგდა ძროხების მოსაწველად ადგა და ყველას ახალმოწველილი რძითა და ფუნთუშებით გაგვიმასპინძლდა.

მერე დასაძინებლად ავედი. მე მგონია, ადამიანები, ჭკვიანურად იქცევიან, საწოლებში რომ იძინებენ. ასე ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სათივეზე!

მე და ანამ სახლიდან გაქცევა გადავწყვიტეთ

ყველაზე უფრო ანასთან თამაში მიყვარს. ისეთ თამაშს მოივიგონებთ ხოლმე, ჩვენს მეტმა რომ არავინ იცის. ზოგჯერ ვითომ დიდები ვართ, სტუმრად დავდივართ ერთმანეთთან. ანას ფრუ ბენგტსონი ჰქვია, მე _ ფრუ ლარსონი. ანა უკარება სახეს იღებს და მედიდურად, ქალბატონივით ლაპარაკობს. მეც დიდივით ვცდილობ ლაპარაკს. ზოგჯერ კი ისე ვიქცევით, თითქოს ფრუ ბენგტსონი და ფრუ ლარსონი ჩხუბობენ. მაშინ ანა მეუბნება:

_ ფრუ ლარსონ, ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენს აუტანელ ბავშვებს შინ წაიყვანთ!

მეც ასევე გაკაპასებული ვპასუხობ:

_ ფრუ ბენგტსონ, მე თუ მკითხავთ, თქვენი შვილები ჩემსაზე ბევრად უარესები არიან!

მერე ფრუ ბენგტსონი და ფრუ ლარსონი ურიგდებიან ერთმანეთს, მიდიან მაღაზიაში და ყიდულობენ აბრეშუმს, ხავერდს და კანფეტებს. ფული თვითონ დახატეთ და იმით ვყიდულობთ ყველაფერს. ვთამაშობთ, მაგრამ ძალიან გვეშინია, ბიჭებმა არ გაგვიგონ, თორემ დაგვცინებენ. ბაბუასი არ გვეშინია, იმას სასაცილოდ არ ეჩვენება ჩვენი თამაში, პირიქით, ხანდახან თვითონვე გვეთამაშებს. სათამაშო ფულზე ათას რამეს მოგვყიდის ხოლმე.

წვიმიან ამინდში მე და ანა ბაბუასთან ვსხედვართ და გაზეთს ვუკითხავთ. ბაბუა სულ პატარა იყო დედა და მამა რომ დაეხოცა და სხვის კარზე მოუხდა ცხოვრება. ვისთანაც ცხოვრობდა, ისინი ცუდად ექცეოდნენ. თუმცა ბავშვი იყო, ბევრს ამუშავებდნენ, ხშირად სჯიდნენ და ნახევრად მშიერს მაყოფებდნენ. ბაბუას მობეზრდა ასეთი ცხოვრება და გაიქცა იქიდან. ბევრი ფათერაკი გადახდა თავს, სანამ ბოლოს და ბოლოს კეთილ ადამიანებთან არ მოხვდა.

ერთ დღეს, როცა ბაბუასთან ვისხედით და გაზეთს ვუკითხავდით, ანამ სთხოვა:

_ ბაბუა, მოგვიყევი, როგორ გაიქეცი სახლიდან!

_ ის ამბავი ხომ ათასჯერ მომიყოლია, _ უთხრა ბაბუამ.

_ კიდევ გვინდა! _ არ მოვეშვით და ბაბუამაც დაიწყო მოყოლა.

როცა ყველაფერი გვიამბო, ანამ თქვა:

_ რა საინტერესოა! მეც მინდა სახლიდან გაქცევა!

_ ჰო, მაგრამ შენ ხომ ბოროტ ადამიანებთან არ ცხოვრობ! _ შევეპასუხე მე.

_ მერე რა მოხდა! გავიქცევი და მერე ისევ დავბრუნდები.

_ მაშინ გავიქცეთ! _ ავყევი მეც.

_ ბაბუა, რას იტყვი, გავიქცეთ? _ ჰკითხა ანამ.

ბაბუამ გვიპასუხა, ცოტა ხანს გაქცევას არა უშავსო. ასეც გადავწყვიტეთ. რა თქმა უნდა, ღამით უნდა გავქცეულიყავით, რომ ჩვენი გაქცევა არავის გაეგო. ბაბუა დაგვპირდა, საიდუმლოს არ გავამხელო.

მე ძალიან მალე ვიძინებ ხოლმე, ამიტომ მეშინოდა გაქცევის დრო არ გამომპარვოდა. ანამ დამამშვიდა:

_ დაგეძინება და იძინე, ოღონდ ფეხზე თოკი მოიბი, მეორე ბოლო კი ფანჯარაში გადმოუშვი. წასვლის დრო როცა დადგება, თოკს მოვქაჩავ დ გაგაღვიძებ.

თვითონ კი ღვიის ტოტების დამტვრევას და ლოგინში ჩაწყობას აპირებდა, შემაწუხებს და მაგრად ვეღარ დავიძინებო.

ბაბუას ისიც ვკითხეთ, თან რა მიაქვთ ხოლმე შინიდან გაქცეულებს. გვირჩია, თუ გაქვთ, ცოტა საჭმელი და ფული წაიღეთო. გაქცევა იმავე ღამეს გადავწყვიტეთ და მზადებასაც შევუდექით. წავედი დედასთან და ბუტერბროდებს გავამზადებ-მეთქი, ვთხოვე. დედას გაუკვირდა:

_ ნუთუ უკვე მოგშივდა? ახლახან არ ვისადილეთ?

რა მექნა, ხომ ვერ ავუხსნიდი, რისთვის მჭირდებოდა. ამიტომ გავჩუმდი. ამოვიღე ყულაბიდან რამდენიმე კრონი და ბალიშის ქვეშ ამოვდე. ბოლოს გრძელი თოკიც ვიპოვე ფეხზე მისაბმელად.

საღამოს ყველანი ჩოგანბურთს ვთამაშობდით. ძილის დრო რომ მოახლოვდა, მე და ანამ ერთმანეთს თვალი ჩავუკარით და წავიჩურჩულეთ:

_ ზუსტად თერთმეტის ნახევარზე!

ძილი ნებისა რომ ვუსურვე, მამას და დედას ჩვეულებრივზე მაგრად მოვეხვიე, მეშინოდა, დიდხანს ვეღარ ვნახავ-მეთქი. დედამ მითხრა:

_ შვილო, ხვალ დილას მე და შენ მოცხარი უნდა მოვკრიფოთ!

ძალიან შემეცოდა დედა: ხვალ დილას ხომ შვილი უკვე აღარ ეყოლებოდა.

მაღლა, ჩემს ოთახში ავედი, ფეხზე თოკი მოვიბი, მეორე ბოლო ფანჯრიდან ჩავუშვი და დავწექი, რომ გაქცევამდე გამოძინება მომესწრო. ვცდილობდი, ვცდილობდი, მაგრამ ძილი არ მომეკარა. გავინძრეოდი თუ არა თოკი იჭიმებოდა და ფეხზე მქაჩავდა. დედაზეც ვფიქრობდი. რას იტყვის, დილით რომ ვერ დამინახავს? ისე შემეცოდა, ტირილი ამივარდა და ძალიან დიდხანს ვტიროდი.

გამაღვიძა იმან, რომ ფეხზე ვიღაცა მექაჩებოდა. «ანაა», _ გამიელვა თავში.

_ მოვდივარ, მოვდივარ, ანა! _ წამოვიძახე და ფანჯრასთან მივირბინე.

ცაზე მზე ბრწყინავდა. ქვევით, ფანჯარასთან, კი ლასე იდგა და თოკს ქაჩავდა. საშინლად გავბრაზდი.

_ ახლავე გაჩერდი! _ ვუყვირე გაცეცხლებულმა.

ლასე მაინც ქაჩავდა თოკს.

_ გაჩერდი-მეთქი.

_ რატომ? _ მკითხა ლასემ.

_ იმიტომ, რომ თოკი ფეხზე მაქვს მობმული!

ლასეს სიცილი აუტყდა:

_ რა ღლავი დავიჭირე!

მერე შემომიჩნდა, მითხარი, რატომ მოიბი ფეხზე თოკიო. არაფერი მიპასუხნია, პირდაპირ ანასთან გავიქეცი, შემეშინდა, ვაითუ უჩემოდ გაიპარა-მეთქი. ბრიტა კართანაზე იჯდა და პრინცესას ეთამაშებოდა.

_ ანა სადაა? _ მივაძახე გულამოვარდნილმა.

_ სძინავს, _ მიპასუხა ბრიტამ მშვიდად.

მაშინვე გოგოების ოთახში ავედი და ანა დავინახე. ისე ეძინა, ხვრინავდა კიდეც. თოკის ფეხზე შებმა რომ დავუპირე, იმ წუთას გაეღვიძა.

_ ვაი, რომელი საათია? _ იკითხა და, რომ გაიგო, საცაა რვა შესრულდებაო, გაკვირვებისაგან ენა ჩაუვარდა. გავიდა რამდენიმე წუთი და ანამ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

_ თუ კაცს უძილობა სჭირს, ლოგინში ღვიის ტოტები უნდა ჩაიფინოს. იცი, როგორ აძინებს?!

როცა ნასაუზმევს ბაბუასთან მივედით, რომ მისთვის გაზეთი წაგვეკითხა, ის ძალიან გაოცდა:

_ რა მოხდა? არ გაპარულხართ?

_ სხვა დროისთვის გადავდეთ, _ ვუპასუხეთ ჩვენ.

ხომ ვამბობდი, რომ ბიჭებს არ შეუძლიათ საიდუმლოს შენახვა

მეორე დღეს ლასე, ბოსე და ულე დილიდანვე სადღაც დაიკარგნენ. გოგოები თოჯინებით ვთამაშობდით. მერე მოგვწყინდა და იმაზე ფიქრი დავიწყეთ, სად წავიდნენ ბიჭებიო. ჰოდა, უცებ გაგვახსენდა, რომ მთელი კვირაა მარტო საღამოობით _ ჩოგანბურთის თამაშისას და სადილობისას ვხედავთ.

_ მათი გზა-კვალი უნდა გავიგოთ, _ თქვა ბრიტამ.

_ სწორია, _ დაეთანხმა ანა, _ საინტერესოა, რას აკეთებენ!

სადილის წინ კართანაზე დავსხედით და დავიწყეთ ლოდინი.

ბიჭებს რომ ეჭვი არ აეღოთ. ჩვენ გვითვალთვალებენო, ისე ვიქცეოდით, ვითომ თოჯინების თამაშით ვიყავით გართული. პირველად ლასე გამოჩნდა, მერე _ ბოსე, ბოლოს _ ულე. სამივემ სხვადასხვა მხრიდან მოირბინა. იმწუთას მივხვდით, კიდევ რაღაცას რომ გვიმალავდნენ, თორემ ისე ერთად მოვიდოდნენ. მაინც თავი შევიკავეთ და მათკენ არ გაგვიხედავს.

ნასადილევს ისევ კართანაზე ჩამოვსხედითY. მალე სახლიდან ლასე გამოვიდა. ჩვენ წინანდელივით თოჯინებით ვთამაშობდით. ლასემ გვერდზე გავლისას მურიკს ხელი მოუთათუნა და სწრაფად მოეფარა კუთხეს. მაშინვე დავყარეთ თოჯინები და ჩემს ოთახში გავიქეცით, რომ ბიჭებისათვის ახლა ფანჯრიდან გვეთვალთვალა.

ლასე მიდიოდა და მალულად აქეთ-იქით იცქირებოდა. აი, მოცხარის ბუჩქებში გაძვრა და ქვის გალავანს გადაახტა. მერე აღარ დაგვინახავს. სამაგიეროდ, ბოსე გამოჩნდა. ბაღში ნელ-ნელა იქით მიიპარებობდა, საითაც ლასე წავიდა.

_ ყურადღება, ახლა ულეს ჯერია! _ თქვა ბრიტამ. _ გავიქცეთ, მოცხარის ბუჩქებში დავიმალოთ.

მართლაც გავიქეცით, შევძვერით მოცხარის ბუჩქებში და გავინაბეთ. ცოტა ხანში ულეც გამოჩნდა. ისე ახლოს ჩაგვირბინა, ფეხზე ხელი შეგვეძლო გვეტაცა. იმას კი არც შევუმჩნევივართ. ხოხვა-ხოხვით გავყევით უკან.

ჩვენი ბაღის იქით პირდაპირ დიდი მინდორს იწყება, ხშირი თხილნარით, ღვიის თუ სხვა ბუჩქებით დაფარული. ხეებიც დგას. მამა ხშირად ამბობს, უნდა გავკაფო, ძროხებს საძოვარი რომ ექნებათო. მაგრამ იმედია, ამას არ იზამს, იმიტომ, რომ ამ ბუჩქებში თამაშს არაფერი სჯობია.

ულეს იქამდე ვსდიეთ, სანამ თვალიდან არ დაგვეკარგა. გვეწყინა. ვიცოდით ბიჭები აქვე, მინდორში, იყვნენ, პოვნა კი არ შეგვეძლო. უცებ ანა თქვა:

_ მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ! მოვიყვანოთ ელვა და ხელად იპოვის ულეს.

გაგვეხარდა მე და ბრიტანს. სამივე დეიდა ლიზასთან გავიქეცით და ელვას სასეირნოდ წაყვანის ნებართვა ვთხოვეთ. დეიდა ლიზიმ, რა თქმა უნდა, ნება დაგვრთო.

ელვა რომ მიხვდა, სასეირნოდ მივყავართო, მხიარულად აყეფდა. ჩვენ კი ვუთხარით:

_ ელვა, ეძებე ულე!

ელვაც გაიქცა, თან გზადაგზა მიწას ყნოსავდა. ჩვენ უკან მივდევდით. მან გაირბინა მოცხარის ბუჩქებში, გავარდა მინდორზე და თხილნარისკენ მოკურცხლა. ისე მირბოდა, ერთხელაც არ გაჩერებულა და პირდაპირ ულეს მიგვაყენა. ულეს გვერდით ლასე და ბოსე ედგნენ. ასე გაიხსნა მათი საიდუმლო. თურმე ბუჩქებში ქოხი აეშენებინათ და შიგ იმალებოდნენ.

ბიჭები ისე გაკვირდნენ, რომ გაგვეცინა:

_ ხა-ხა-ხა! _ ავხარხარდით გულიანად. _ გირჩევნიათ, ნურაფერს დაგვიმალავთ. სულერთია, გავიგებთ!

_ დიდი საქმე, ძაღლით ყველა სულელი მოგვძებნის, _ თქვა ლასემ.

ელვა ფიქრობდა, თავი გამოვიჩინეო, და სიხარუილთ ხტოდა. ამიტომ ვახშმად ძვლებს დავპირდით.

_ რა ვქნათ, ვათამაშოთ გოგოები? _ ჰკითხა ლასემ ბიჭებს.

_ შენ რას იტყვი? _ ჰკითხეს ბოსემ და ულემ, მათ ჯერ მისი აზრის გაგება სურდათ.

ლასემ უპასუხა, შეიძლება ვათამაშოთო.

დავიწყეთ ბიჭებთან ერთად ინდიელობანას თამაში. ლასე ბელადი იყო და უძლეველი ლეპარდი ერქვა, ბოსეს _ ფეხმარდი ირემი, ულეს _ მფრინავი შავარდენი, ბრიტანს მძვინვარე ძუ დათვი, ანას _ ყვითელი ძუ მგელი, მე კი _ მშიერი მელა. ჩემთვის უკეთესი სახელი მინდოდა მომეფიქრებინა და ლასემ არ დამანება. ქოხში, რა თქმა უნდა, არ გვქონდა კერია, მაგრამ ისე ვთამაშობდით, თითქოს იყო. ვისხედით ყველანი მის გარშემო და ვაბოლებდით «მშვიდობის ყალიონს». «მშვიდობის ყალიონი» წეულა იყო. მე ვეღარ მოვითმინე და პატარა მოვაკვნიტე. ბიჭებს მშვილდ-ისარიც ჰქონდათ. მერე გოგოებსაც გაგვიკეთეს. ლასემ გვითხრა, ამ მინდორზე ინდიელთა მეორე ტომიცაა _ კამანჩების ტომი. კამანჩები ავი და ბოროტი ხალხია, ისინი შეუბრალებლად უნდა ხოცოო. ჩვენც დავავლეთ მშვილდ-ისრებს ხელი და შემაძრწუნებელი ღრიალით გავცვივდით მინდორზე.

იქ, შორს, კამეჩები ბალახბოდნენ. ლასემ ხელი მათკენ გაიშვირა, აგე, კამაჩებიო.

_ მათ თითქოს ერთნაირი სახელები ჰქვიათ _ კამეჩები, კამანჩები, _ დაასკვნა ბოლოს.

ნეტა გენახათ, როგორ გაგვირბოდნენ კამანჩები! ლასე რაღაცას უყვიროდა ინდიელთა ენაზე, მაგრამ, მე მგონი, ისინი ვერაფერს ხვდებოდნენ.

სკოლა

საზაფხულო არდადეგები იმდენ ხანს გრძელდება, რომ სკოლა მენატრება ხოლმე და მიხარია სწავლის დაწყება. ბოსეს კი ერთი ბეწოთიც არ უხარია. ასე ამბობს, მეფეს უნდა მივწერო, სკოლები დახუროსო, მაგრამ მე ვფიქრობ, მეფე არ დაუჯერებს. ძალიან მიყვარს ჩვენი სკოლა, მასწავლებელიც, ბავშვებიც, სახელმძღვანელოებიც. ყველა სახელმძღვანელოს ფერადი ქაღალდი შემოვაკარი და ზემოდან პრიალა სურათები დავაწებე. ლასე და ბოსე კი ამას არ შვრებიან, სანამ დედა ან მასწავლებელი არ აიძულებთ. ისინი სახელმძღვანელოებში ათას რაღაცას ხატავენ და შიგ ჟურნალებიდან და გაზეთებიდან ამოჭრილ სურათებს აკრავენ. ლასემ, მაგალითად, გეოგრაფიის წიგნში ჩინელ გლეხებს, რომლებიც ბრინჯს თესავენ, შვედი ჰოკეისტების თავები მიაწება და განაცხადა, ამით გეოგრაფია უნდა საინტერესო გახდაო.

ლასე, ბოსე და მე, ბრიტან, ანა და ულე ყოველთვის ერთად დავდივართ სკოლაში. ჩვენი სკოლა მეზობელ სოფელშია, რომელსაც დიდი სოფელი ჰქვია. დიდ სოფლამდე შორი გზაა და სახლიდან შვიდ საათზე გვიწევს გამოსვლა. შინიდან რძესა და ბუტერბროდებს გვატანენ და დიდ დასვენებაზე ვჭამთ. ლასე, ბოსე და ულე კი თავიანთ საუზმეს ხანდახან გზაშივე ყლაპავენ ხოლმე.

_ სულ ერთია არაა, რითი წავიღებთ, ჩანთით თუ მუცლით? _ ამბობს ლასე.

მასწავლებელი სკოლის შენობაში მეორე სართულზე ცხოვრობს და პიანინო და ბევრზე ბევრი წიგნი აქვს. ბავშვები ხშირად ვეხმარებით, ქვევიდან შეშა აგვაქვს. ის წიგნებს გვაძლევს წასაკითხად, ხოლო ხანდახან კაკაოთიც გვიმასპინძლდება.

ერთხელ ჩვენი მასწავლებელი ავად გახდა და იმ დღეს გაკვეთილები გაგვიცდა. ბიულერბიუელი ბავშვების გარდა ყველამ იცოდა ეს ამბავი, იმიტომ რომ დიდ სოფელში არის ტელეფონი, ბიულერბიუში კი არა. სკოლაში რომ მივედით, კარი დაკეტილი

დაგვხვდა, ბავშვები და მასწავლებელი არსად ჩანდნენ. ჯერ ვერ მოვიფიქრეთ, რა უნდა გვექნა, მერე მივხვდით, ავედით მაღლა და კარზე დავაკაკუნეთ.

_ მობრძანდით! _ დაგვიძახა მასწავლებელმა.

ჩვენც შევედით. ის ლოგინში იწვა და ძალიან ავად იყო. მაგრამ სადილის გასაკეთებლად მასთან რატომღაც არავინ მისულა. დახმარება შევთავაზეთ. რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს. ბიჭები შეშაზე გაიქცნენ, ბრიტამ ღუმელი გაახურა და ზედ ჩაიდანი შემოდგა. მე იატაკი მოვგავე და საწოლზე დადებული ბალიშები ავაფუმფულე. ანამ საუზმე მოამზადა, ლანგარზე დადოდა მასწავლებელს მიუტანა.

სადილად მასწავლებელმა გულიაში მოისურვა და გვკითხა, შეძლებთ გაკეთებას, თუ გეტყვით, რა როგორ უნდაო? _ ვეცდებით, _ უპასუხა ბრიტამ. _ ოღონდ არ ვიცი, გულიაში გამოგვივა, თუ სხვა რამეო.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, გულიაში გამოგვივიდა, ნამდვილი გულიაში. ასე რომ, ახლა უკვე ვიცი მისი მომზადება და დიდი როცა გავიზრდები, მაშინ არ მომიწევს სწავლა.

ნასადილევს ბრიტამ და ანამ ჭურჭელი გარეცხეს, მე კი გავამშრალე. ბიჭები ამ დროს წიგნების თაროებთან ისხდნენ და წიგნებს კითხულობდნენ. საერთოდ, ბიჭები იშვიათად აკეთებენ სასარგებლო საქმეს. მასწავლებელს შევეკითხეთ, ხვალაც თუ იქნებოდა ავად. კიო, გვითხრა. მაშინ ვკითხეთ, შეიძლება კიდევ მოვიდეთ თქვენთანო? გაუხარდა მასწავლებელს _ თუ მოხვალთ, ბედნიერად ჩავთვლი თავსო.

მეორე დღეს რომ მივედით, საწყალი ლოგინში იწვა და შვრიის ფაფაზე ოცნებობდა. ისევ დავტრიალდი, ჯერ სარწეველაში გადავსვით და ლოგინი ავამბუბულავეთ. რომ დავაწვინეთ, შემოგვცინა, ნამდვილი პრინცესასავით ვწევარო. მერე შვრიის ფაფა მოვუხარშეთ, ვაჭამეთ და ზედ შინიდან ჩემი მოტანილი ფუნთუშები დავაყოლებინეთ. მასწავლებელმა თქვა, ძალიან მომწონს ავადმყოფობაო. სამწუხაროდ, ერთი დღის შემდეგ გამოჯანმრთელდა, თორემ რაიმე კერძის მომზადებას კიდევ ვისწავლიდით.

შემოდგომაზე და ზამთარში სკოლაში რომ მივდივართ ან უკან ვბრუნდებით, ძალიან ბნელა, თითო-თითო რომ მივდიოდეთ, შეგვეშინდებოდა. მაგრამ ექვსნი ვართ და გვეშინია კი არა, მხიარულადაც ვართ. თითქმის მთელი გზა ტყეზე გადის. ლასე ამბობს, ტყეში ბევრი ტროლი, გოლიათი და ჯადოქარიაო. შეიძლება ასეცაა, ოღონდ ჩვენ არც ერთი არ გვინახავს. ზოგჯერ საღამოობით ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ. ლასე ამბობს, ცაზე ორი მილიონ ხუთასი ათას ას ორმოცდათოთხმეტი ვარსკვლავიაო. რომ ჰკითხაო, იმათი სახელებიც იცის. მაგრამ, მე მგონია, ამ სახელებს თვითონ იგონებს.

ერთხელ რომელიღაც ვარსკვლავზე ვკითხე, რა ჰქვია-მეთქი. მზეთუნახავიო, მიპასუხა. ხოლო მეროე დღეს იმავე ვარსკვლავს სამეფო გვირგვინი უწოდა. მე ძალიან გამიკვირდა.

_ გუშინ რომ ამბობდი, მზეთუნახავი ჰქვიაო? _ ვკითხე ჯიქურ.

ლასეს იხტიბარი არ გაუტეხავს.

_ მზეთუნახავი სულ სხვა ვარსკვლავია, ის წუხელ ჩამოვარდა ციდან. ეგ კი სამეფო გვირგვიანი, ყველაფერს გეფიცები!

სკოლიდან რომ ვბრუნდებით, ზოგჯერ ვმღერით ხოლმე. ჩვენი სიმღერა რომ ვინმეს გაეგონა, გაუკვირდებოდა და იფიქრებდა: «რა საინტერესოა, ვინ მღერის ამ დროს ტყეშიო...» ტყეში ხომ ბნელა და არა ჩანს, რომ ჩვენ, ბიულერბიუელი ბავშვები ვმღერით.

ტანისამოსის გადაცმის საღამო

შემოდგომის ერთ დღეს ჩვენი დედები და მამები დიდი სოფლის მედუქნესთან წავიდნენ სტუმრად. შინ მარტო ბავშვები დავრჩით. კიდევ ბაბუა და აგდა. მე სამჯერ მივანათე ფანჯარას ჯიბის ფარანი, რაც ნიშნავდა: «ბრიტა და ანა, ჩქარა მოდით ჩემთან, კარგი რამე მოვიფიქრე-მეთქი».

რამდენიმე წუთი და კიბეზე იმათი ფეხების ტყაპა-ტყუპი გავიგონე. მოფიქრებული კი არაფერი მქონდა. უბრალოდ მომწყინდა და მინდოდა, ერთად გვეღონა რამე.

პირველად ჩემი პრიალა სურათები დავათვალიერეთ, მერე ცოტა ხანს ლოტო ვითამაშეთ, ბოლოს კი აგდასთან ჩასვლა გადავწყვიტეთ. და აი, მაშინ მოფიქრა ანამ, ისეთი ტანსამცელი ჩაგვეცვა, რომ აგდას ვერ ვეცნეთ! გაგვიხარდა და საქმეს შევუდექით. ჩვენს სხვენზე დედას და მამას ნახმარი ტანსაცმელი ეკიდა. ბრიტას თავმომწონე კაცივით მოუნდა გამოწყობა. ჩაიცვა მამას ნაცრისფერი შარვალი, ყავისფერი პიჯაკი და თავზე მისივე შავი შლაპა დაიხურა. სახელოები და შარვლის ტოტები, რა თქმა უნდა, აიკაპიწა და ქინძისთავებით დაამაგრა. მერე დამწვარი საცობით ულვაშები დაიხატა და ცხვირზე სათვალე დაისკუპა. მე და ანას ისეთი სიცილი აგვიტდა, კინაღამ ტანსაცმლის გადაცმა დაგვავიწყდა.

ჩემთვის დედას ყვავილებიანი ქვედატანი, კოფთა და შავი პირბადიანი შლაპა ავირჩიე. როცა პირბადე სახეზე ჩამოვიფარე, ბრიტამ და ანამ მითხრეს, ვეღარავინ

გიცნობსო. პირბადის ჩამოფარება ანასაც მოუნდა, მაგრამ მეორე ვერ ვიპოვეთ და ისევ თავსაფარი წაიკრა. ტანზე კი გრძელი უჯრულა დიდბაფთიანი ქვედატანი ჩაიცვა. ლასე და ბოსე ულესთან იყვნენ წასულები, ამიტომ ჩვენი კიბეზე ჩამოსვლა არავის შეუმჩნევია. თითის წვერებზე გამოვედით სახლიდან, მივიპარეთ სამზარეულოს კართან და მაგრად დავაკაკუნეთ.

_ ვინ არის? _ იკითხა აგდამ სამზარეულოდან. ხმაზე ეტყობოდა, რომ ცოტა შეეშინდა.

მე და ანა ავხითხითდით, ბრიტამ კი უხეში ხმით უპასუხა:

_ მაწანწალები!

_ ჩვენთან შემოსვლა არ შეიძლება! _ უთხრა აგდამ. _ სახლის პატრონები შინ არ არიან!

_ მერე რა, მაინც შემოვალთ! _ დავიყვირეთ უხეშად და კარზე ბრახუნი ავტეხეთ.

ძნელი იყო ამ დროს სიცილის შეკავება. მართალია, როგორც შემეძლო, ვცდილობდი, მაგრამ სიცილი ისე ბობოქრობდა ჩემში, რომ მგონი, აგდამაც მოჰკრა ყური. მან ოდნავ გამოაღო კარი და ჩვენც გახარებულები შევცვივდით სამზარეულოში.

_ ღმერთო ჩემო! _ წამოიძახა აგდამ. _ სასწაული თუ გინდა, ესა. არც ვიცოდი, ასეთი საპატივცემულო ბატონები რომ გვესტუმრნენ!

_ მე ბატონი კარლსონი გახლავართ, _ უთხრა ბრიტამ. _ ესენი კი ჩემი ცოლებია.

_ ძალიან ლამაზი ცოლები გყავთ, ბატონო კარლსონ, _ უთხრა აგდამ. _ ოღონდ არ მესმის, ორი ერთად რატომა გყავთ. იმედია, ძვირფასი სტუმრები უარს არ იტყვიან მორსის დალევაზე.

რა თქმა უნდა, ძვირფას სტუმრებს უარი არ უთქვამთ. ვსვამდით მორსს და თავი ისე გვეჭირა, ვითომ მართლა საპატივცემულო ხალხი ვიყავით და ეს კარგად გამოგვდიოდა.

ახლა ბიჭებთან გადავწყვიტეთ წასვლა. სახლის კარი ღია იყო და დაუკაკუნებლად შევედით. კიბეზე ანა თავის გრძელ ქვედატანში გაიხლართა და დაეცა. ულემ გაიგონა ხმაური და კარი გამოაღო, ვნახო, ვინაო. კიბეზე ბნელოდა და მხოლოდ გამოღებულ კარიდან გამოდიოდა სინათლის ზოლი. ულემ რომ დაგვინახა, ისე შეეშინდა, კინაღამ თვითონაც დაეცა. ეგონა, კბიეზე სამი მოჩვენება ამოდის ერთადო.

ტანსაცმლის გადაცმა, რა თქმა უნდა, ლასემაც მოისურვა. იმას ბოსე და ულეც აჰყვნენ. ლასემ დეიდა ლიზის კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ჩაიცვა. ბოსე და

ულე კი მამაკაცის კოსტიუმებში გამოეწყვნენ. ლასე დარბოდა სახლში აქეთ-იქით და წიკვინებდა:

_ ჩემო კარგო, როგორ აცხობთ ასეთ გემრიელ ღვეზელებს? თუ შეიძლება მომეცით თქვენი რეცეპტი!

ლასეს ეგონა, ასე ლაპარაკობენ ნამდვილი მანდილოსნებიო.

მერე ბაბუასთან გავიქეცით და ვუამბეთ, როგორ ვიყავით ჩაცმულები. გული გვეტკინა, რომ ვერა გვხედავდა. მაგრამ წარმოდგენა მაინც გავუმართეთ. ლასე ბრაზიან დეიდას ანსახიერებდა და ბევრი ვიცინეთ. ბაბუამაც იცინა, თუმცა მარტო ხმა ესმოდა, დანახვით კი ვერა ხედავდა.

ქარბუქი

ახლა ისეთ მაგარ ქარბუქზე გიამბობთ, მამაჩვენსაც რომ არასოდეს უნახავს.

მთელი დეკემბერი ყოველდღე, სკოლაში რომ მივდიოდით, ლასე ერთსა და იმავეს იმეორებდა:

_ აი, ნახეთ, წელს შობას თოვლი არ იქნება!

ვბრაზობდი ლასეზე _ თოვლის მოსვლა მეჩქარებოდა. ასე გადიოდა დღეები, მიწაზე კი თოვლის ფანტელიც არ ვარდებოდა. ერთხელ გეოგრაფიის გაკვეთილზე ბოსე უცებ აყვირდა:

_ შეხეთ, თოვლი მოდის!

გარეთ მართლაც თოვდა. გახარებულებმა «ვაშას» ძახილი ავტეხეთ. მასწავლებელმა «გამარჯობა, ზამთარო» გვამღერა.

შესვენებაზე ეზოში გავმოცვივდით. მიწა თოვლის თხელი ფენით დაფარულიყო. თოვლში დიდი რვიანი გავტკეპნეთ და დავიწყეთ ამ რვიანში სირბილი. ლასემ მაინც თავისი გაიმეორა:

_ მორჩა, თოვლი აღარ მოვა, ნახეთ ასე თუ არ იყოს!

მოტყუვდა ლასე. შესვენების შემდეგ უფრო მაგრა წამოთოვა, ფანჯრების მიღმა თეთრი ბურუსი დატრიალდა. მალე მესერიც აღარ ჩანდა. თან ქარიც ამოვარდა. ქარი ისე საშინლად ზუზუნებდა და ისე ბარდნიდა, რომ მასწავლებელი შეშფოთდა, ბიულერიუელი ბავშვები შინ როგორ წავლენო, და თავისთან დარჩენა შემოგვთავაზა. რა

თქმა უნდა, ყვეალს ძალიან მოგვინდა მასწავლებელთან ღამის გათევა, მაგრამ ვიცოდით, ჩვენი დედები და მამები იღელვებდნენ, თუ შინ არ დავბრუნდებოდით, ამიტომ უარი ვუთხარით. მან დროზე ადრე გამოგვიშვა გაკვეთილებიდან, გზაში მთლად არ დაგიბნელდეთო.

სკოლიდან პირველ საათზე გამოვედით. ირგვლივ ნამქერები იყო მოყრილი. ქარი გვაქცევდა, ლამის მიწას მიკრულები ძლივძლივობით მივფარფატებდით.

_ ლასე, ახლა გყოფნის თოვლი? _ ჰკითხა ბრიტამ.

_ შობამდე დიდი დროა, _ ჩაიბურტყუნა ლასემ, მაგრამ ქარის ღმუილში მისი ხმა თითქმის არ ისმოდა.

მივდიოდით, მივდიოდით და მივდიოდით. ხელი ხელს გვქონდა ჩაკიდებული, რომ ერთმანეთი არ დაგვკარგოდა. მოვდიოდით მუხლამდე თოვლში. სიარული სულ უფრო და უფრო ჭირდა, ქარი ძვალ-რბილში ატანდა. ხელები, ფეხები და ცხვირები თითქოს ჩვენი აღარ იყო. ილაჯი გამიწყდა და ლასეს ვუთხარი, ცოტა უნდა დავისვენო-მეთქი.

_ ბევრს ნუ ლაპარაკობ, დაჯდომა არ შეიძლება, გაიყინები! _ დამიტია ლასემ.

ანასაც ძალა გამოელია და დასვენება მოუნდა, მაგრამ ლასემ არ დაანება, ძალიან სახიფათოაო. შეგვეშინდა მე და ანას, რომ ვერ მივაღწევდით ბიულერბიუმდე, და ავტირDით. უცებ ლასემ წამოიძახა:

_ მოდით, ხარაზთან შევიდეთ გასათბობად! მერე რა, რომ ავია, ცხვირებს ხომ არ მოგვაკვნეტს.

მე და ანა ცხვირის მოკვნეტაზეც თანახმა ვიყავით. სულ ერთია, მაინც ვერა ვგრძნობდით, გვქონდა თუ არა.

გამოვაღეთ კარი. დაუბერა ქარმა და ყველანი ხარზის ოთახში შეგვყარა. ხარაზს ჩვენი დანახვა დიდად არ გახარებია.

_ ამ ყიამათ ამინდში თქვენ-თქვენ სახლებში ვერ დაეტევით? _ აბუზღუნდა გულმოსული.

ვერც ერთმა ვერ გავბედეთ იმისი თქმა, დილით ცუდი ამინდი არ იყოო. გავიხადეთ ქურთუკები და დავიწყეთ ცქერა, როგორ აკერებდა ფეხსაცმელებს. მაგრადაც მოგვშივდა, მაგრამ ვერც საჭსლის მოთხოვნა გავბდეთ, თვითონ კი არაფერი შემოგვთავაზა.

საღამო ხანს ქარბუქი ჩადგა, ოღონდ იმხელა თოვლი დადო, სახლამდე მაინც ვერ მივაღწევდით. მოულოდნელად ზანზალაკების წკრიალი გავიგონეთ და ფანჯარასთან

მივცვივდით. ეს ჩვენი მამა ასუფთავებდა გზას სათოვლე გუთნით. მაშინვე კარი გამოვაღეთ და შევეხმიანეთ, თუმცა ხარაზი ბუზღუნებდა, ოთახს მიცივებთო.

მამამ რომ დაგვინახა, ძალიან გაუხარდა და დაგვიძახა, მანდ მომიცადეთ, დიდ სოფლამდე გზას გავწმინდ, უკან მოვბრუნდები და წაგიყვანთო.

ასეც მოიქცა. მე და ანა გუთანზე ვისხედით, დანარჩნები კი ფეხით მოგვყვებოდნენ უკან. ახლა სიარული ადვილი ყო, მამამ ხომ გაწმინდა გზა.

სახლს რომ მივუახლოვდით, სამზარეულოში ფანჯარაში დედა დავინახეთ, შეშფოთებული იცქირებოდა.

თურმე დედას უგრძვნია, რომ აუცილებელი იყო მამა გზის გასაწმენდად წასულიყო. ეჭვი არ ეპარებოდა, ბავშვები გზაში შემოხვდებიანო. კიდევ კარგი, რომ იგრძნო ჩვენი გასაჭირი, თორემ მთელი ღამე ხარაზთან მოგვიწევდა ყურყუტი.

ჩვენ დღესასწაულისთვის ვემზადებით

მეორე დღეს მზე ჩახჩახებდა, ხეებს კი თოვლის თეთრი ფუმფულა ქუდები ეხურა. მასწავლებელმა გვითხრა, მთელი ღამე არ მძინებია, შიშით აღარ ვიყავი, შინ როგორ მიხვედითო.

ეს დღე განსაკუთრებული იყო, იმიტომ რომ მეორე დღეს არდადეგები იწყებოდა. კიდევ იმიტომ, რომ სტოკჰოლმიდან წიგნები ჩამოგვივიდა. წიგნები თვითონ ამოვირჩიეთ სურათების მიხედვით. ერთი თვის წინ მასწავლებელმა ქაღალდის დიდი ფურცელი გვაჩვენა, რომელზეც წიგნების ყდები ეხატა და გვითხრა, აირჩიეთ, რომელი წიგნი გინდათ იყიდოთო. ბოსემ და მე ორ-ორი წიგნი ავირჩიეთ. ჩემს წიგნებზე სულ პრინცები და პრინცესები ეხატა.

ახლა კი მასწავლებელი დადიოდა საკლასო ოთახში და იმ ჩვენს ამორჩეულ წიგნებს გვირიგებდა, ძლივს მოვითმინე, სანამ რიგი ცემამდე მოვიდოდა, თუმცა დედა მეუბნებოდა, შობამდე ამ წიგნების წაკითხვა მაინც არ შეიძლებაო.

ბოლოს ვიმღერეთ, რა სიმღერებიც ვიცოდით, და მასწავლებელმა შინ გამოგვიშვა.

სკოლიდან გამოვედით თუ არა, ბრიტამ ამოიღო თავისი წიგნი და დაყნოსა. ჩვენც დავიწყეთ წიგნების ყნოსვა. ახალ წიგნებს ისეთი სუნი აქვთ, მარტო სუნითაც მიხვდები,

რა საინტერესო წიგნებია. მერე ბრიტამ ხმამაღლა ერთი წიგნის კიტხვა დაიწყო, თუმცა იის დედაც ამბობდა, ეს წიგნები საშობა საჩუქრებია და შობამდე მათი წაკითხვა არ შეიძლებაო.

ბრიტამ გადაწყვიტა პატარა ნაწყვეტი წაეკითხა, მაგრამ ისეთი საინტერესო ზღაპარი იყო, რომ შევეხვეწეთ, ცოტა კიდევ წაგვიკითხეო.

ბრიტამაც წაგვიკითხა. არც ის გვეყო, პირიქით, უფრო დავინტერესდით.

_ მინდა ვიცოდე, ბოლოს და ბოლოს, მოაჯადოვეს პრინცი თუ არა! _ ვერ ისვენებდა ლასე.

ბრიტას კიდევ მოუწია წაკითხვამ. ასე გაგრძელდა სახლამდე. ბიულერბიუს რომ მივუახლოვდით, ბრიტამ უკანასკნელი ფურცელიც წაგვიკითხა, მაგრამ გული იმით დაიმშვიდა, სულ ერთია ამ ზრაპარს არდადეგებზე კიდევ წავიკითხავო.

ჩვენთან დედა და აგდა ძეხვს ამზადებდნენ და სამზარეულოში დიდი არეულობა იყო. მე, ბოსემ და ლასემ სწრაფად ვჭამეთ და ბაღში გავიქეცით, რომ თოვლის ფარანი გაგვეკეთებინა. მოსაშველებლად ანა, ბრიტა და ულეც წამოვიდნენ.

ცაცხვზე ბეღურები, სტვენიები და წიწკანები ისხდნენ. ძალიან მშივრები ჩანდნენ, ამიტომ მამასთან გავიქეცი და ვკითხე, არ შეიძლება ჩიტებს ძნები შობამდე დავუწყოთ-მეთქი? რატომაც არაო, მიპასუხა მამამ. გავიქეცით კალოზე და იქიდან საშობად საგანგებოდ დატოვებული შვრიის ხუთი ძნა წამოვიღეთ. ეს ძნები ვაშლის ხეზე შემოვდეთ.

და დაიწყო ჩიტების ნადიმი. ალბათ, იფიქრეს, დღესასწაული უკვე მოვიდაო.

საღამოს კი მე, ბრიტა და ან ბაბუასთან ვისხედით და ნაძვის ხისათვის კალათებს ვწნავდით. ბიჭებიც ბაბუასთან იყვნენ, მაგრამ მუშაობა არ ნებავდათ. თუმცა დიდხანს ვერ მოითმინეს და ხელი წაგვაშველეს. სულ ორმოცდათოთხმეტი კალათი დავწანით და სამ ნაძვის ხეზე გავანაწილეთ _ თითოს თვრამეტი ცალი შეხვდა.

ნაძვის ხე

მე არ ვიცი, როდის დგება შობა სხვაგან, ჩვენთან, ბიულერბიუში კი იმ დღეს იწყება, როცა თაფლაკვერებს ვაცხობთ. მე, ლასეს და ბოსეს სათაფლაკვერე ცომის მოზრდილ ნაჭრებს გვაძლევენ და ნაირ-ნაირი ფორმი სთაფლაკვერებს ვაკეთებთ.

და აი, როცა ბოლოს და ბოლოს ეს დღე მოვიდა, ლასე მამას გაჰყვა ტყეში შეშაზე. სულ გადაავიწყდა, რა დღე იყო, მხოლოდ ტყეში მოაგონდა და კისრისტეხით გამოვარდა უკან. ისე გამოქუსლა, ირგვივ თოვლის კორიანტელი დააყენაო, _ ამბობდა მერე მამა.

მე და ბოსემ მანამდე ცხობაც დავიწყეთ და ძალიან გვიხაროდა, ლასე რომ შინ არ იყო. იმიტომ, რომ ლასე არ გვაძლევს ხოლმე ყველაზე ლამაზ ფორმას _ გოჭს. ამჯერად, როცა აქოშინებული ლასე ტყიდან დაბრუნდა, უკვე ათ-ათი თაფლაკვერა გოჭი გვქონდა. ლასემ მაშინვე წაგვართვა ფორმა და გაცხარებული ეცა საქმეს _ უნდოდა როგორმე დაგვწეოდა.

ცომის ნარჩენებისაგან კი დიდი საპრიზო თაფლაკვერი გამოვაცხვეთ. ასეთ თაფლაკვერს ყოველ წელს ვაცხობთ. ნასადილევს ბოთლში ჩავყარეთ ბარდის 322 მარცვალი და მეზობლებისაკენ გავეშურეთ. ყოველ მათგანს უნდა ეთქვა, რამდენი მარცვალი იყო ბოთლში. ვინც ყველაზე უკეთ გამოიცნობდა, ჩვენი თაფლაკვერებიც იმას დარჩებდოა. ლასეს ბოთლი მიჰქონდა, ბოსეს _ თაფლაკვერი, მე _ უბის წიგნაკი, რომელშიც პასუხებს ვწერდი. ჩვენი თაფლაკვერი ბაბუამ მოიგო. მისი პასუხი ყველაზე ზუსტი გამოდგა. ბაბუამ თქვა, ბოთლში ბარდის 320 მარცვალიაო, ანამ კიდევ _ სამი ათასი ცალიაო. რა სისულელეა, არა?

მეორე დღეს ტყეში წავედით ნაძვებისათვის, რა თქმა უნდა, მამებთან ერთად. ყოველთვის ასე დავდივართ, დედები კი შინ რჩებიან და ნაირ-ნაირ საჭმელს ამზადებენ.

ლასე, ბოსე და მე, ანა, ბრიტა და ულე ვისხედით დიდ მარხილში, რომლითაც რძე მიაქვთ ხოლმე დიდი სოფლის რძის ფერმაში.

მამა გვერდით მიჰყვებოდა მარხილს და ცხენს მართავდა. ძია ნილსი და ძია ერიკი ბოლოში მოდიოდნენ. ისინი რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. ჩვენც ვლაპარაკობდით და ვიცინოდით.

ტყეში ბევრი თოვლი იყო, ყველაზე ლამაზი ნაძვის ხეები რომ აგვერჩია, ტოტებიდან თოვლსი ჩამობერტყვა მოგვიხდა. მერე მოვჭერით სამი დიდი ნაძვის და ორი პატარა _ ერთი ბაბუასათვის, მეორე _ კრისტინისათვის.

შობის წინა საღამოს ასე მეგონა, დედა და აგდა საქმეს ვერ მოერევიან-მეთქი. თუმცა მეც ვეხმარებოდი. სამზარეულო ჭუჭყიანი იყო და ულამაზო. მე წავიტირე კიდეც, დასაძინებლად რომ დავწექი.

დილით, პირველ რიგში, დაბლა ჩავედი. სამზარეულო კრიალებდა. იაკტაზე ახალი საფენები გაეშალათ, ცეცხლის საჩხრეკი ქაღალდის მწვანე და წითელი ბაფთებით

მოერთოთ, სამზარეულოს მაგიდაზე ლამაზი სუფრა ეფარა, სპილენძის ქვაბებს კი სულ ლაპლაპი გაჰქონდა. მე ისე გამეხარდა, დედას მოსახვევად გავქანდი. ლასე და ბოსეც ფეხდაფეხ მომოყვებოდნენ. ლასემ თქვა, როგორც კი იატაკის ახალი საფენები დავინახე, პირში მაშინვე სადღესასწაულო გემო გამიჩნდაო.

იმ დღეს, ჩვეულებისამებრ, კრისტინს ჩვენი დედების გატანებული მთელი კალათი მოსაკითხი წავუღეთ... მთლად საშობაო ამინდი იდგა. თოვლს თითქმის დაეფარა კრისტინის სახლისაკენ მიმავალი ბილიკი.

ყველაზე წინ ლასე მიდიოდა კალათით ხელში. მერე ბოსე და ულე მიდიოდნენ და ნაძვის ხე მიჰქონდათ. მე, ბრიტა და ანა ხელცარიელები მივდიოდით. კრისტინს ძალიან გაუკვირდა ჩვენი მისვლა. უფრო სწორად, ისეთი სახე მიიღო, თითქოს გაუკვირდაო. მან ხომ იცოდა, ყოველ წელს რომ მიგვქონდა მოსაკითხი. ლასემ კალათი ამოალაგა და ყველაფერი მაგიდაზე დააწყო. კრისტინი კი თავს აქეთ-იქით აქნევდა და ვიშვიშებდა:

_ ოი, ოი, ოი! ეს რა ამბავია! რამდენი რამე მოგიტანიათ!

მე კი მგონია, რომ მოსაკითხი არც ბევრი იყო და არც ცოტა. ზუსტად იმდენი იყო, რამდენიც საჭიროა. მაგიდაზე ეწყო ღორის ბარკლის დიდი ნაჭერი, ძეხვი, ყველი, ყავა, თაფლაკვერები, სანთლები, კანფეტები და, რა გინდა, სულო და გულო. ამას რომ მოვრჩით, სანთლები ნაძვის ხეზე მივამაგრეთ და გასავარჯიშებლად ცოტა წავიცეკვეთ მის გარშეო. კრისტინი კმაყოფილებას ვერ მალავდა. როცა მივდიოდით, პარმაღზე იდგა და დიდხანს გვიქნევდა ხელს.

მე, ლასემ და ბოსემ სწრაფად გამოვრთეთ ნაძვის ხე, მერე კი დედას ქვაბებიდან ნარჩენები ამოვფხიკეთ. ლასემ თქვა, აი, ადმაიანი სულ ასე რომ ელის და ელის რაღაცას, იმიტომ ჭაღარავდებაო. ჩვენც ველოდით, ველოდით, ველოდით, მე რამდენჯერმე სარკესთანაც მივირბინე, ხომ არ გავჭაღარავდი-მეთქი, მაგრამ არა, როგორც თეთრთავაც ვიყავი, ისეთივე დავრჩი. ბოსე კი წარამარა მიდიოდა საათთან და უკაკუნებდა. ეგონა, გაჩერდაო.

როგორც იქნა, დაბნელდა და ანასთან, ბრიტასთან დაულესთან საჩუქრების მიტანის დრო დადგა. დღის შუქზე ეს იმდენად საინტერესო არ იქნებოდა. ჰოდა, დავიხურეთ, გნომები რომ ატარებენ, ისეთი წითელი ქუდები, ხოლო ლასემ ნიღაბიც აიღო. შობას ლასე ყოველთვის გნომივით გამოეწყობა ხოლმე და საჩუქრებს გვირიგებს. პატარაობაში მჯეროდა გნომების არსებობა. ახლა კი ვიცი, რომ ისინი არსად არ არიან.

ანას და ბრიტას წინკარში ისე ბნელოდა, გამოქვაბული გეგონებოდა. ჩვენ ჯერ დავაკაკუნეთ, მერე კი მოვაფრიალეთ კარი და სამზარეულოში შევყარეთ ჩვენი საჩუქრები. ხმაურზე ანამ და ბრიტამ მოირბინეს და ოთახში შეგვიპატიჟეს, რომ თაფლაკვერები და ბადაგისაგან თავიანთი მოხარშული კანფეტები მოერთმიათ. ჩვენც შევედით და მოგვცეს კიდეც სათითაოდ საჩუქარი.

მერე ანამ და ბრიტანამ ნიღბები აიფარეს და ყველანი ულესთან გავიქეცით. ულე სამზარეულოში იჯდა და შობას ელოდა. ელვამ რომ ხუთი გნომი ერთად დაინახა, ყეფით აიკლო იქაურობა. ულემაც დასტაცა ხელი თავის ნიღაბს და ქუჩაში გამოვცვივდით გნომობანას სათამაშოდ.

ბოლოს და ბოლოს, მოსაღამოვდა და სავახშმოდ ჩვენს სამზარეულოში მოვიკალათეთ. მაგიდაზე სანთლები ციმციმებდა და ნაირ-ნაირი კერძები ელაგა, მაგრამ მე მაროტ შაშხს ვჭამდი, კიდევ საშობაო ფაფას, იმ იმედით, თხილი შემხვდება-მეთქი. არც შემხვდა და არც არაფერი. რა გულდასაწყვეტია! ვისაც საშობაო ფაფაში თხილი შეხვდება, ის ხომ იმ წელსვე გათხოვდება.

ერთი მოჯამაგირე გვყავს, ოსკარი, ჩვენი შინამოსამსაურე აგდა უყვარს. დაა, აი, წარმოიდგინეთ, ფაფაში თხილი ორად გაიყო და აგდას და ოსკარს შეხვდა. მე, ლასე და ბოსე ისე ვიცინოდით, რომ აგდა გაბრაზდა კიდეც, ალბათ, თქვენი ოინებიაო. აბა, რა ჩვენი ბრალი იყო, თხილი თუ ორად გაიყო!

მაშინვე ავდექით და ფაფაზე ლექსი მოვიგონეთ. ყველამ კი არა, ლასემ მოიგონა:

თხილის ლებანი
გაიყო ორად,
ოსკარი აგდას
შეირთავს ცოლად.

ჩემი აზრით, ძალიან კარგი ლექსია, აგდას კი არ მოეწონა, ისევ ისე გაბუსხული იყო. მხოლოდ მაშინ გამოიდარა, ჭურჭლის დამშრალებაში რომ მივეხმარეთ. ჩვენ კი იმიტომ ვეხმარებოდით, რომ ერთი სული გვქონდა, როდის დაიწყებდნენ საჩუქრების დარიგებას.

ნავახშმევს სასტუმრო ოთახში დავსხედით და სანთლები ავანთეთ ნაძვის ხეზე. მაგიდაზეც სანთლები ენთო და ისეთი ლამაზი იყო იქაურობა, რომ ჟრუანტელი მივლიდა ტანში. მე ყოველთვის ასე მემართება, როცა ლამაზ და საინტერესო რამეს ვუყურებ.

ამასობაში ლასე ოთახიდან გაიპარა და უკან გნომად გამოწყობილი დაბრუნდა. ზურგზე დიდი ტომარა ჰქონდა მოკიდებული.

_ არიან ამ ოჯახში დამჯერე ბავშვები? _ იკითხა მან.

_ როგორ არა! ორი მშვენიერი ბავშვია, _ უპასუხა ბოსემ. _ მესამე კი ჭირვეული და შფოთისთავია. იმას ლასე ჰქვია. საბედნიეროდ, ახლა შინ არ არის.

_ ბევრი რამ გამიგონია მაგ ლასეზე, _ თქვა გნომმა. _ შვედეთში, და საერთოდ ამ ქვეყანაზე, ნამდვილად ყველაზე კარგი ბიჭია. საჩუქრებსაც ყველაზე მეტს ვარგუნებ.

მაგრამ ლასემ ჩვენდენი საჩუქრები მიიღო, ყველაფერი თანაბრად შეგვხვდა.

საჩუქრების დარიგების მერე ნაძვის ხის გარშემო ვიცეკვეთ. მთელი ბიულერბიუ ცეკვავდა ჩვენთან ერთად. ბაბუაც კი გვესტუმრა, თუმცა ცეკვა აღარ შეუძლია. იმდენი ვიცეკვეთ, რომ თითო რამის ცეკვა ოც-ოცჯერ მაინც მოგვიწია.

ციგაობა

ჩვენ ბიულერბიუ მაღლობ ადგილასაა. როცა დიდ სოფელში მივდივართ, საცა სკოლა და დუქანია, ზემოდან გორაკ-გორაკ ვეშვებით ხოლმე. უკან დაბრუნებისას კი, რა თქმა უნდა, აღმართზე გვიწევს ასვლა. ლასე ამბობს, როცა დიდი გავიზრდები და ეშმაკური მოწყობილობების ინჟინერი გავხდები, ისეთ ფერდობს მოვიგონებ, თვითონ აიწ-დაიწიოს, რომ ხალხმა სულ ზემოდან ქვემოთ იაროსო.

სამაგიეროდ, არაფერი სჯობს ამ ჩვენი გორაკებიდან ციგებით დაშვებას. ზამთრის არდადეგებზე სულ იქ ვციგაობთ. ხოლმე. ახლაც, როდესაც წავიკითხეთ ყველა ნაჩუქარი წიგნი და შევჭამეთ ყველა თაფლაკვერი, ლასემ ფარდულიდან გამოათრია დიდი ციგა, რომლითაც შეშა მოაქვთ ხოლმე. დავსხეწდით და ჩავსრიალდით ფერდობზე. ამ ციგაზე ექვსივე ვეტეოდით. ციტას, რასაკვირველია, ლასე მართავდა.

_ გზიდან გადადით, გაგჭყლიტავთ! _ ვყვიროდით გადარეულებივით.

შეიძლებოდა არც გვეყვირა, ჩვენთან მაღლა ხომ იშვიათად ამოდის ვინმე. მაგრამ მოგვეწონა ყვირილი, ტყვიასავით რომ მივქროდით დაბლა და ქარი გვიზუზუნებდა ყურებში. აი, ციგის აღმართზე თრევა კი არ მოგვწონდა და ლასემ ისევ იმ თავისი ფერდობით დაიწყო ტრაბახი, მისი სურვილისამებრ რომ აიწეოდა და დაიწეოდა.

_ შენც ადექი და ახლვე გამოიგონე, _ წააქეზა ბოსემ.

მაგრამ ლასემ ნათქვამი შორს დაიჭირა: ეგ რომ გავაკეთო, ძალიან ბევრი დენთი, დინამიტი, ბორბლები, ქანჩები უნდა მქონდეს და თანაც ათი წელი მუშაობაც დასჭირდებაო. ასე დიდხანს ცდა კი ჩვენ არ შეგვეძლო.

როცა ციგა, როგორც იქნა, მაღლა ავათრიეთ და ისევ ფერდობიდან ჩასრილაებას ვაპირებდით, ფარდულიდან სამივე მამა ერთად გამოვიდა. ჩვენმა მამამ გვითხრა: _ აბა, ბავშვებო, ახლა ჩვენ ჩავსრიალდებით დაბლა! _ და ჩაჯდა მარხილში. მერე ძია ერიკი და ძია ნილსიც ჩასხდნენ და დაეშვნენ ფერდობზე. ექვსივე ვიდექით და მოთმინებით ვიცდიდით. მაგრამ ზევით რომ ამოვიდნენ, ერთხელ ჩაგრიალება კიდევ მოუნდათ. გაგიჟდება ადამიანი, ისე ბაშვებივით იქცევიან.

რაღას ვიზამდით, გამოვათრიეთ ანას და ბრიტას ციგა და მივყევით უკან. ქვევით რომ ჩავსრიალდით, დავინახეთ, ჩვენი მამები ნამქერში გორაობდნენ და გულიანად ხარხარებდნენ.

_ ერიკ, თურმე ციგის მართვა არ გცოდნია! _ იცინოდა ჩვენი მამა.

ისინი, ალბათ, საღამომდე ისრიალებდნენ, დეიდა გრეტას ძია ერიკი შეშის დასაპობად რომ არ წაეყვანა.

_ რამდენი ხანია ასე არ მიმხიარულია! _ სიცილით ამბობდა ძია ერიკი, თან თოვლს იბერტყავდა ტანსაცმლიდან.

მამები რომ წავიდნენ, შეჯიბრება მოვაწყეთ. მე, ბრიტა და ანა იმათი ციგით ვსრიალებდით, ლასე, ბოსე და ულე _ ჩვენით. წარმოვიდგინეთ, თითქოს ციგები ზღვაში მოცურავე ვიკინგების ხომალდები იყო, ლასემ თავის ხომალდს «გრძელი გველი» დაარქვა, ჩვენსას კი «ოქროს ვარდი» დავარქვით. ლასემ დაგვიწუნა სახელი, რაღაც სულელურია და ვიკინგების ხომალდს არ უხდებაო. ჩვენ არ დავეთანხმეთ, ძალიანაც ლამაზი სახელიაო, ვუპასუხეთ. ისღა გვაკლდა, სახელი იმიტომ შეგვეცვალა, რომ ლასეს არ მოსწონდა!

ჩვენი ხომალდები გვერდიგვერდ მიჰქროდა. ბიჭები მთელი ხმით გაჰყვიროდნენ:

«ოქროს ვარდი, ხედავთ, მარტო
გზაზე როგორ დანავარდობს.
ვერ აიტანს, ვერა, ამდენს,
ახლა უნდა აყირავდეს.

მაგრამ «ოქროს ვარდი» კი არა, «გრძელი გველი» გადაყირავდა! პირდაპირ ნამქერს შეენარცხა. «ოქროს ვარი» კი მშვდიად მისრიალდა ფინიშამდე _ ბორცვის ძირას მდგარ დიდ ფიჭვამდე.

_ ასე მოუვა ყველა მეტიჩარას! _ უთხრა ბრიტამ ბიჭებს.

ბოსემ ხის ფესვს მიარტყა თავი და შუბლზე უზარმაზარი კოპი ამოუხტა. რაღას ვიზამდიტ, მოვეშვით ციგაობას. თანაც ჩამობნელდა, ძალიანაც მოგვშივდა და წავედით ჩვენ-ჩვენ სახლებში.

ახალი წელი

31 დეკემბრის დილას, სამზარეულოში ფაფას რომ ვჭამდი, ანამ და ბრიტამ მოირბინეს და მითხრეს:

_ ლიზი, გინდა ერთად შევხვდეთ ახალ წელს?

_ რატომაც არ მინდა! _ შევძახე მე.

ახალი წლის ერთად შეხვედრას რა სჯობს! მაგრამ ჯერ დედასთვის უნდა მეთხოვა, თორმეტ საათამდე არ დავეწვინე.

დედამ, რა თქმა უნდა, დამრთო ნება. ახალი წლის შეხვედრა ჩემს ოთახში გადავწყვიტეთ. დედა დაგვპირიდა კაკალს, ვაშლსა და ღვიის სასმელს მოგცემთო.

ამ დროს ლასემ და ბოსემ მოირბინეს. მაშინვე მივახალე:

_ იცით, მე, ბრიტა და ანა ერთად ვხვდებით ახალ წელს!

_ დიდი რამე! _ მიპასუხა ლასემ, _ მე, ბოსე და ულეც ერთად ვხვდებიტ ახალ წელს. რამდენი ხანია, გადავწყვიტეთ.

მაგრამ ეს ლასემ, რა თქმა უნდა, იმ წუთას მოიფიქრა.

მერე გოგოები ბაბუასთან წავედით და ახალ წელს ერთად შევხვდეთო, ვთხოვეთ. სამწუხაროდ, ბაბუამ უარი გვითხრა _ ის ხო მადრე წვება დასაძინებლად. სამაგიეროდ, ტყვიის უამრავი ნაჭერი მოგვცა და გვითხრა:

_ აჰა, წაიღეთ, ახალი წლის საღამოს ტყვია აუცილებლად უნდა გაადნოთ.

თურმე გამდნარი ტყვიას თუ ცივ წყალში ჩაასხამ, იმის მიხედვით, რომ გაცივდება, რა ფორმას მიიღებს, შეიძლება გაიგო, რა გელის ახალ წელს.

თუ ტყვიის გაციებული ნაჭერი მონეტას დაემსგავსა, მაშასადამე, გამდიდრდები. ასე გვითხრა ბაბუამ.

ბიჭებისათვის ტყვიაზე არაფერი გვითქვამს. ისინი ახალ წელს ლასეს და ბოსეს ოთახში ხვდებოდნენ, ჩვენ კი _ ჩემთან! ჩვენს ოთახებს დიდი ბნელი სხვენი ჰყოფს. მაგიდასთან დასხდომა ვერ მოვასწარით, რომ სხვენზე ქურდული ნაბიჯის ხმა მოგვესმა. წამი და ტკაცუნაც აგრიალდა, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, ხელად მივხვდით, ბიჭებს ჩვენი სხვენზე გატყუება და შეშინება უნდოდათ.

მაგრამ ტკაცუნას გასროლას არაფერი მოჰყოლია, რამაც ძალიან დაგვაინტერესა. კარი გამოვაღეთ და გავიხედეთ. სხვენზე არავინ იყო და ბნელოდა კიდეც. გადავწყვიტეთ ბიჭების ოთახის კართან მივსულიყავით და გასაღების ჭუჭრუტანაში შეგვეხედა.

_ ვერავის ვხედავ, _ თქვა ბრიტამ, რომელმაც პირველამ შეიხედა. _ მე მგონი, ოთახში არ არიან.

_ არაფერიც, უკვე დაწვნენ დასაძინებლად! _ დაასკვნა ანამ.

_ რასაკვირველია, _ იმწამსვე დავუკარი კვერი, _ მარტო გოგოები ვხვდებით ახალ წელს. მოდით, შევიდეთ იმათთან და ტკაცუნა დავაგრიალოთ. ნახეთ, როგორ დაფეთდებიან!

_ ბუჰ! _ უცებ გაისმა ჩვენს ზურგს უკან და გულები გადაგვიტრიალდა.

_ ბიჭები არიან! სხვენზე დამალულან! _ აყვირდა ანა.

მაშინვე გავიქეცი; ჯიბის ფარანი მოვიტანე და ხან ერთ კუთხეს მივაშუქეთ, ხან _ მეორეს. ასე გადავჩხრიკეთ მთელი სხვენი, ბიჭებს კი ვერ მივაგენით.

_ ბუჰ! _ ისევ აგრიალდა ტკაცუნა და ისეთი ხმა გამოსცა, ნამდვილად მოჩვენებამ გაისროლაო, იფიქრებდი.

_ უჰ, ლასე ხელში ჩამივარდებოდეს და ისე დავაგლეჯ ყურებს, კაი ხანს არ დაავიწყდეს! _ იმუქრებოდა ბრიტა.

_ ჯერ იპოვე! _ სადღაც ზევიდან გაისმა ლასეს ხმა.

ლასე, ბოსე და ულე საუხრავისქვეშა კოჭზე იდგნენ. გავბრაზდით, მაგრამ რას გავბრაზდით.

_ როგორ ბრძანდებით? _ გვკითხა ლასემ. _ დაგეძინათ, ხომ? მადლობა გვითხარით, რომ გაგაღვიძეთ!

_ ვის დაეძინა! თქვენ თვითონ გეძინათ, ალბათ. ძილისთვის სად გვცალია! ახლა ტყვიას გავადნობთ და გავიგებთ, წელს ვის რა გველის.

ამის მოთმენა კი ბიჭებს აღარ შეეძლოთ, მაშინვე მოირბინეს ჩემს ოთახში და რომ ნახეს, რა ლამაზი იყო იქაურობა, ახალ წლის ჩვენთან ერთად შეხვედრა გადაწყვიტეს. ბოსე თავიანთ ოთახში გაიქცა და საახალწლო პურ-მარილი წამოიღო.

მერე ტყვია ჩამჩაში გავადნეთ და ცოტა წყლიან თასში გადავასხით. პირველად ლასემ იმარჩიელა. როცა ტყვიის ნაჭერი გაცივდა, წყლის ამოიღო და დიდხანს ყურადღებით ათვალირა.

_ როგორც ჩანს, მეფე გავხდები. წყალი არ გაუვა, ეს სამეფო გვირგვინია! _ გვითხრა ბოლოს.

_ ხა-ხა-ხა! _ აკისკისდა ანა. _ გვირგვინი არა, ის არ გინდა? ეს წიგნია! მაშასადამე, წელსაც სკოლაში ივლი.

ჩემი ტყვიის ნაჭერი კი უცნაური იყო.

_ მე თუ მკითხავ, ველოსიპედს წააგავს, _ თქვა ულემ. ძალიან გამეხარდა, მე ხომ კარგა ხანია ველოსიპედზე ვოცნებობ.

მარჩიელობის მერე დიდხანს, დიდხანს ვთამაშობდით კაკლობანას და ვყვებოდით ზღაპრებს. უცებ ბოსეს საშინელი მთქანრება აუტყდა. შენს ლოგინზე წამოვწვები და წამოწოლილი მოვუცდი ახალ წელსო, მითხრა. მართლაც, დაწვა და ორ წუთსაც არ გაუვლია, რომ უკვე ეძინა.

ლასეს ვკითხეთ, რომელი საათიაო.

_ თერთმეტის ნახევარი, _ მოგვიგო ლასემ.

ახალი წლსი ღამე სხვა ღამეებზე ბევრად გრძელი მომეჩვენა. საათის ისრები ზანტად მიიწევდნენ წინ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიცოცდნენ თორმეტამდე. მაშინვე ბოსეს გაღვიძებას შევეცადეთ. არაფერი გამოგვივიდა. შუქი ჩავაქრეთ და დიდხანს გავცქეროდით ფანჯრიდან სიბნელეს. გვინდოდა, ახალი წლის მოსვლას გვენახა. ვერაფერიც ვერ ვნახეთ. რას ვიზამდით, დავლიეთ ღვიის სასმელი და ავყვირდით:

_ გაუმარჯოს ახალ წელს!

ისე მხიარულად ვიყავით, რომ ერთხმად გადავწყვიტეთ, ყოველთვის შევხვედროდით ახალ წელს.

მერე მეც ძილი მომერია, მაგრამ ჩემს საწოლზე ბოსეს ეძინა. ავდექით, მოვეჭიდეთ ხელებსა და ფეხებში და გადავათრიეთ ბიჭების ოთახში. არც გაეღვიძა და არც არაფეფრი. ლასემ გახადა ტანსაცმელი და ღამის პერანგი გადააცვა, თმაზე კი ჩემი ბაფთა გაუკეთა.

_ ამ ბაფთით ეძინოს, დილით ნახავს და გაახსენდება, რა მხიარულად შევხვდით ახალ წელს, _ თქვა ლასემ სიცილით.

დღესასწაული დეიდა იენისთან

ძალიან მომეწონა ახალი წლის შეხვედრა. დედიდა იენისთან გამართული დღესასწაული კი უფრო მეტად,.განსაკუთრებით იმიტომ, რომ ღამე აქ გავათიეთ. მე ხომ სტუმრად ღამის გათევას არაფერი მირჩევნია. მაგრამ სჯობს ყველაფერი თანმიმდევრობით გიამბოთ.

დეიდა იენი ბიულერბიუდან საკმაოდ შორს ცხოვრობს. იქ მისასვლელად კარგა ხანს უნდა იმგზავრო მარხილით. იმ დღეს ყველა ადრიანად გაგვაღვიძეს და რა აღარ ჩაგვაცვეს და ჩაგვაჯაჯეს, შემეშინდა კიდეც, დეიდა იენისთან მისვლამდე არ დავმხრჩვალიყავი. მაგრამ დედამ დიდ შალში ჩაფუთვნაც რომ დამიპირა, მაშინ კი ამოვიკვნესე, ასე საფრთხობელასავით თუ წამიყვანთ, სჯობს სულაც არ წამოვიდე-მეთქი.

პირველები ჩვენ მივდიოდით. მამა კოფოზე იჯდა და ცხენებს მართავდა. უკან ულე მოგვყვებოდა, მერე _ ბრიტა და ანა მოდიოდნენ. მოსართავებზე ზანზალაკები წკრიალებდა. ისეთ მხიარულ გუნებაზე დავდექით, ავმღერდით კიდეც. მაგრამ დედას შეეშინდა, ცივ ჰაერს ჩაყლაპავთო, და პირი დაგვაკუმინა. ახლა გადაძახებ-გადმოძახება ავტეხეთ. ჩვენ ულეს ვეძახდით, ის ბრიტას და ანას გადასცემდა.

_ ქაშაყის სალათა თუ გვაჭამეს, შინ დავბრუნდები! _ აყვირდა ლასე.

_ მეც! _ უპასუხა ულემ.

მერე ლასეს ნათქვმაი ულემ ბრიტას და ანას გადასცა. ხოლო მერე ისევ ჩვენ გადმოგვძახა, ბრიტა და ანაც შინ დაბრუნდებიან, ქაშაყის სალათით თუ გაგვიმასპინძლდნენო.

მაგრამ, თუმცა ქაშაყის სალათით გაგვიმასპინძლდნენ, შინ მაინც არავინ დაბრუნებულა. იმიტომ ,რომ იმდენნაირი საჭმელი იყო, იმისთვის შეიძლებოდა პირიც არ დაგეკარებინა.

დეიდა იენის სამი გოგონას ჩათვლით დღესასწაულზე თოთხმეტი ბავშვი ვიყავით. მთელი დღე მეორე სართულზე დიდ ოთახში ვთამაშობდით. დროდადრო დაბლა გვეძხდნენ და რაიმე ჭამეთო, გვეუბნებოდნენ. იმდენჯერ დაგვიძახეს, ბოლოს და ბოლოს,

მოგვბეზრდა კიდეც. თამაშში გავერთობოდით თუ არა, მაშინვე დეიდა იენი დაგვადგებოდა თავზე და, რატომ არაფერს ჭამთო, გვეკითხებოდა. დიდები ხომ დღესასწაულებზე ჭამის მეტს არაფერს აკეთებენ.

საღამოს, როცა უფროსები, როგორც იქნა, დანაყრდნენ, ზევით ამოვიდნენ ჩვენთან სათამაშოდ. თვალხუჭობანას ვთამაშობდით. ძია ნილსი იხუჭებოდა. თვალები უჯრედებიანი დიდი ცხვირსახოცით ავუხვიეთ და ძალიან მოგვწონდა წარამარა რომ მივრბოდით და პიჯაკს ვქაჩავდით. მერე ფანტი ვითამაშეთ. ჩემი ფანტი ოქროს პატარა გული იყო. როცა ამბობდნენ, ვინ რა გააკეთოსო, ჩემს ფანტს სამჯერ გადაკოტრიალება შეხვდა. ეს იოლი იყო. მეც გადავკოტრიალდი და დამიბრუნეს ფანტი. ულეს ღუმელში უნდა შეეძახა თავისი შეყვარებულის სახელი. ისიც მივიდა ღუმელთან და დაიძახა: «ლიზი!» ლასე სიცილისაგან ჩაბჟირდა, მე კი სირცხვილით დავიწვი. ულემ ორივეს დაცინვით შემოგვხედა:

_ სულელები! დედაჩემის სახელი დავიძახე, იმასაც ხომ ლიზი ჰქვია!

ჩვენს მამიკოს ყვავივით დაჩხავლება მოუწია. მაგრამ ყველაზე სასაცილო დავალება დეიდა იენის შეხვდა _ მაგიდაზე უნდა შემხტარიყო და დაეყივლა. დეიდა იენიმ სასტიკი უარი თქვა მაგიდაზე აძვრომაზე.

_ აჰ, მაგას ვერ ვიზამ! ვერც ერთი მაგიდა ვერ გაუძლებს ჩემნაირ დუდრუქანას!

ალბათ, მართალიც იყო, იმიტომ, რომ ას კილოზე მეტს იწონიდა.

ბოლოს ბავშვები დასაძინებლად გაგვისტუმრეს. დიდ ოთახში თივის ლეიბები დაგვიგეს და თითო გადასაფარებელი ცმოგვცეს. როცა დავწექით, უფროსები მოვიდნენ და დაგვხედეს.

_ შეხედეთ, აგერ მეტრნახევარზე გაწკიპულა შვედეთის მომავალი, _ თქვა მამამ.

უფროსებს ეგონატ, უცებ დაეძინებათო, მაგრამ თოთხმეტ ბავშვს, ერთად დაწოლილს, რა გააჩუმებს! ამიტომაც არავის დაუძინია. ნანამ დეიდა იენის უფროსმა ქალიშვილმა, გვითხრა, ამბობენ, რომ დიდ ხნის წინათ ვიღაც რაინდს ჩვენი სახლის მახლობლად განძი ჩაუფლავს მიწაშიო.

ლასემ მაშინვე განძის საძებნელად დააპირა წასვლა. ნანამ უმალ ცივი წყალი გადაასხა _ იმ განძს ვერავინ იპოვის, იმიტომ რომ მოჯადოებულიაო.

მერე არ ვიცი, იქნებ ლასე წავიდა კიდეც იმ განძის საძებნელად, მე კი დამეძინა.

შინ მხოლოდ მეორე საღამოს დავბრუნდით. თითქმის ჩამობნელდა. ერთმაენთს აღარ ვუყვიროდით და აღარც არაფერი, ისე ვიყავით დაღლილები. მარხილში ზურგზე

ვიწექი და ვარსკვლავებს შევცქეროდი. ბევრი, ბევრი ვარსკვლავი იყო ცაზე, მაგრამ ყველა უსაშველოდ შორს.

მე კიდევ უფრო ღრმად შევძვერი ტყაპუჭქვეშ და ხმადაბლა, ისე, რომ ლასეს და ბოსეს არ გაეგონათ, ავმღერდი:

სადა ცხოვრობ, ვარსკვლავო,
რასა ჭამ ან რასა სვამო?

უჰ, როგორ მინდა მომავალ წელსაც წავიდე დღესასწაულზე დეიდა იენისთან.

სახელგანთქმული ბიულერბიუელი მოციგურავე ყინულჭრილში ვარდება

თუ გადაჭრი ბაკს, სადაც ზაფუხლობით ანას და ბრიტას ძროხები ბალახობენ, პირდაპირ პატარა ტბასთან გახვალ. ზამთრობით სულ იქ ვსრიალებთ ციგურებით. წელს მთლად სარკესავით სწორი და პრიალა იყო ყინულის ზედაპირი. დედა კი მაინც არ გვიშვებდა, ტბაზე რომ ჩვენი სარდაფისათვის ყინული ამოჭრეს, ეშინოდა, იმ ჭრილში არ ჩავცვენილიყავით.

_ ის ხომ ღვიით შემორაგვეს. დავინახეთ და ახლოსაც არ მივეკარებით, _ ვუთხარი დედას.

დედამ დამიჯერა და გაგვიშვა.

მაგრამ ლასე ზოგჯერ გადაირევა ხოლმე. განსაკუთრებით როცა უნდა ყურადღება მიიქციოს. ამჯერადაც ასე იყო _ ყინულჭრილთან დაიწყო სრიალი.

_ უცქირეთ სახელგანთქმულ ბიულერბიუელ მოციგურავეს!Q _ ყვირილით მისრიალდებოდა ხოლმე ზედ ყინულჭრილთან და სულ ბოლო წამშიღა უქცევდა გვერს.

_ ფრთხილად იყავი, ლასე! _ გააფრთხილა ულემ.

ჩვენც ჩხუბი დავუწყეთ, მაგრამ არაფერმა უშველა. ისევ იმ ყინულჭრილის გარშემო სრიალებდა და წრეებს ხაზავდა. ეს რაა, ლასეს ზურგშექცევით სრიალიც კი შეეძლო.

_ აი, როგორ მიქრის ბიულერბიუელი მოციგურავე! _ აყვირდა ისევ.

მართლაც კვლავ ზურგით მიჰქროდა ყინულჭრილისაკენ. ოღონდ ახლა გვერდის აქცევა ვეღარ მოახერხა და წყალში მოადინა ტყაპანი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ავღრიალდით.

სხვათა შორის, ლასეც აღრიალდა, თანაც ჩვენზე ხმამაღლა. ძალიან შეგვეშინდა, არ დაიხრჩოსო, და რომ გადაგვერჩინა, ყინულზე დავწექით, ჯაჭვივით გავიწკიპეთ და ერთმანეთს ფეხებში ჩავაფრინდით. ყინულჭრილთან ყველაზე ახლოს იწვა ბოსე, რომელიც ულეს ფეხებით ეჭირა, ჩვენ კი ულეს ფეხებს ჩავეჭიდეთ. ბოსემ ლასეს ხელი გაუწოდა, ყინულზე ამობობღება უშველა და ყველამ შინისაკენ მოვკურცხლეთ.

_ შენ რომ ახლა მკვდარი ყო, სახლში ხომ ვერ მიხვიდოდი? _ ჰკითხა ბოსემ.

_ ნამდვილი სულელი ხარ! _ შეუღრინა ლასემ.

თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან მადლიერი იყო ბოსესი, ყინულჭრილიდან ამოსვლაში რომ დაეხმარა, თორემ ისე რას აჩუქებდა თავის კალის ჯარისკაცებს.

დედა საშინლად გაუჯავრდა ლასეს, ფეხზე აღარ გააჩერა, აიძულა მაშინვე ლოგინში ჩაწოლილიყო და ცხელი რძე დაელია. საღამომდე აღარც აუყენებია. «არაფერია, იწვეს და იფიქროს საკუთარ ცოდვებზე, _ თქვა დედამ. ლასე იწვა და ფიქრობდა და სწორედ იმის მერე აჩუქა ბოსეს თავისი ჯარისკაცები.

საღამოს კი, როცა თოვლის ციხესიმაგრეებს ვაშენებდით და გუნდებს ვესროდით ერთმანეთს, ლასე ისევ ჩვენთან იყო. მე, ბრიტას და ანას ცალკე გვქონდა ციხესიმაგრე, ბიჭებს _ ცალკე. ასე ბიჭებთან გუნდაობა არ გვიყვარს. ძალიან მაგარი გუნდები აქვთ და სროლაც მაგრად იციან. ისინი მთელი ძალით ეკვეთნენ ჩვენ ციხესიმაგრეს. ლასე გამწარებული ღრიალებდა:

_ სიკვდილი ან გამარჯვება! თქვენ თავს გესხმით ჩრდილოეთის რისხვა!

ბრიტამ დაუყვირა:

_ რა რისხვა?! ყინულჭრილში ჩავარდნილი სახელგანთქმული ბიულერიუელი მოციგურავე სადღა?

ლასემ ხმა გაკმინდა.

ბიჭებმა ჩვენი სიმაგრე ხელში ჩაიგდეს, ჩვენ კი დაგვატყვევეს და გვიბრძანეს, მთელი საღამო გუნდები გვეკეთებინა, არადა სიკვდილი გველოდა.

_ რად გინდათ ამდენი გუნდა? _ ჰკითხა ბიჭებს ანამ.

_ ზაფხულისათვის ვიმარაგებთ! ხომ იცი, ზაფხულში არ იშოვება, _ უპასუხა ლასემ.

_ არ დაგჭირდება, იქამდე შენ კიდევ ათასჯერ ჩავარდები ყინულჭრილში, _ უთხრა ანამ.

მაგრამმალე მე, ბრიტა და ანა მთლად გავითოშეთ და ბოსელში გავიქეცით გასათბობად. იქ სითბო და სიმყუდროვე დაგვხვდა. მაშინვე რიკ-ტაფელას თამაში

დავიწყეთ, ძროხები თვალდაჭყეტილი გვიყურებდნენ. ეტყობა, ვერ ხვდებოდნენ, რატომ თამაშობენ ადამიანები რიკ-ტაფელას. ჩვენ ტაფელით რიგრიგობით ვურტყამდით რიკის წამახულ ბოლოს და ვცდილობდით წრეში ცაგვეგდო, მაგრამ რიკი უფრო ხშირად საქონლის ბაგაში ვარდებოდა. ერთი სიტყვით, რიკ-ტაფელა დიდი ჭკვიანური თამაში არაა, მაგრამ მხიარული კია.

მერე მამა მოვიდა და გვითხრა: _ ნუ ხმაურობთ. საცაა ძროხა ხბოს მოიგებოს. _ ძროხას ლოტა ერქვა. ეს რომ გვითხრა, ყველანი ლოტას მივაჩერდით, ხბო მამას პირდაპირ ხელებში ჩაუგორდა. მშვენიერი პატარა ბოჩოლა იყო. ბედნიერმა ლოტამ ლოკვა დაუწყო თავის ნაშიერს. მამამ გვთხოვა, ხბოს სახელი მოუგონეთო.

_ ჩრდილოეთის რისხვა! _ იმწუთას წამოიძახა ლასემ, რომელსაც მხოლოდ ძველებური სახელები უყვარდა.

მე ვიუარე, სისულელეა ამ მშვენიერ ხბოს ასეთი სახელი დავარქვათ-მეთქი.

_ რა იცი, ქინებ ფიცხი და ბრაზიანი ხარი დადგეს! _ თქვა ლასემ.

ულემ კი პეტერი დავარქვათო, შემოგვთავაზა. მამას მოეწონა სახელი, ხბოს ნამდვილად შეეფერებაო.

_ მაშ, ჩრდილოეთი პეტერი ერქვას! _ გვთხოვა ლასემ.

ამასობაში დაიძინების დროც მოვიდა. როცა მე, ლასე და ბოსე სხვენზე ავედით და მე ჩემს ოთახში ვაპირებდი შესვლას, ლასემ თქვა:

_ ისე, ბედი მქონია, რომ არ დავიხრჩე!

_ ფრთხილად იყავი, კიდევ არ მოადინო ტყაპანი! _ გააფრთხილა ბოსემ.

როგორ გახდა ბრიტა მასწავლებელი და როგორ მოვატყუეთ ნამდვილი მასწავლებელი პირველ აპრილს

არდადეგები დამთავრდა და ისევ წავედით სკოლაში, კი არ წავედით, გავემგზავრეთ. ფინური ციგებით გავემგზავრეთ. სამი ფინური ციგა გვაქვს, ზოგჯერ ერთმანეთს მივადგამთ ხოლმე და ერთი გრძელი, სამადგილიანი ციგა გამოდის.

სკოლაში ძალიან ვმხიარულობდით. შესვენებაზე ვუცვლიდით და ვუცვლიდით ერთმანეთს პრიალა სურათებს. რა თქმა უნდა, ბიჭები არა, მარტო გოგოები, ბიჭები შესვენებაზე გუნდაობის მეტს არაფერს აკეთებენ. ეს ზამთრობით. გაზაფხულზე კი რიკ-

ტაფელას თამაშობენ. ხშირად კიდევ, სხვას თუ ვერაფერს მოიფიქრებენ, ჩხუბობენ. გაკვეთილზე ხმაურობენ და ხმაურობენ. სულ ერთია, წლის რომელი დროა. მასწავლებელი ამბობს, ბიჭები ვერასოდეს ისვენებენ, ხელები ექავებათ საეშმაკოდო. მათგან ყველაზე მეტად კი, ალბათ, ჩვენ ლასეს.

ერთხელ იცით, რა ქნა?! ბოსეს რეზინის გასაბერი გოჭი აჩუქა. როცა იჩუტებოდა, ხმამაღლა ჭყიოდა. ლასემ გოჭი სკოლაში მოიტანა. მართალია, მე და ლასე სხვადასხვა კლასში ვსწავლობთ, მაგრამ ერთად ვსხედვართ, იმიტომ, რომ სკოლაში ოცდასამი მოსწავლეა, ოთახი კი ერთია. ასევე ერთია მასწავლებელიც.

ჩვენს კლასს კითხვა ჰქონდა _ ჩემი საყვარელი საგანი. გუსტავ ვასას თავგადასავალს ვკითხულობდით. ჩემი რიგიც მოვიდა.

_ «და მეფე ატირდა», _ წავიკითხე და ამ დროს გაისმა ნაღვლიანი ჭყივილი, გეგონებოდათ, თვითონ გუსტავ ვასა ტირისო. სინამდვილეში კი რეზინის გოჭი იჩუტებოდა.

ბავშვები ახარხარდნენ. ჯერ გვეგონა, მასწავლებელიც გაიცინებდა, მაგრამ არც გაუღიმია. ლასე კუთხეში მიაბრძანა თავის გოჭიანად.

გაკვეთილებზე მარტო ლასე კი არ ცელქობს, ყველა ბიჭი ასეა. ერთხელ მასწავლებელი თათბირზე იყო წასული, შემოვიდა კლასში და გვითხრა, აბა, თქვენ იცით, ხატეთ და ივარჯიშეთ ანგარიშშიო, ხოლო ბრიტას სთხოვა, ჩემს მაგიდასთან დაჯექი და დღეს შენ იყავი მასწავლებელიო. ბრიტას იმიტომ დაავალა, რომ ყველაზე კარგად სწავლობს.

მასწავლებელმა ოთახიდან გასვლა ვერ მოასწრო, რომ ბიჭები ახმაურდნენ.

_ ეი, მასწავლებელო, მასწავლებელო! _ უყვიროდნენ ბრიტას და ხელს მაღლა სწევდნენ.

_ რა გნებავთ? _ ჰკითხა ბავშვებს ბრიტამ.

_ გარეთ გვინდა გასვლა! _ უპასუხეს ერთხმად.

ახლა სტიგმა ასწია ხელი:

_ თუ შეიძლება, მითხარით, რამდენი კატლეტი გამოვა ერთი ძროხიდან?

სტიგს არც ბოსე ჩამორჩა:

_ ალბათ, თქვენამდეც მოაღწია ხმამ, წელს კარტოფილის უხვი მოსავალი იქნებაო?

_ დიახ! _ თავი დაუკრა ბრიტამ.

_ რა მახვილი სმენა გაქვთ?! _ გაიოცა ბოსემ.

მერე ლასემ ასწია ხელი, თუ შეიძლება «მასწავლებელო», ჩემი ნახატი გაჩვენოო. წამოდგა, მივიდა მასწავლებლის მაგიდასთან და შავად შეღებილი ფურცელი გაუწოდა.

_ ეს რა არის? _ ჰკითხა ბრიტამ.

_ ხუთი ზანგი ბნელ ოთახში, _ აუღელვებლად უპასუხა ლასემ.

ბრიტას არ მოეწონა მასწავლებლობა და ძალიან გაუხარდა გაკვეთილი რომ დამთავრდა. მასწავლებელი რომ დაბრუნდა, გულწრფელად უთხრა, ბიჭები არ მიჯერებდნენო.

მასწავლებელმა დატუქსა ბიჭები და გაკვეთილების შემდეგ ერთი საათი კიდევ დატოვა მაგალითების ამოსახსნელად. შესვენებაზე სტიგმა ბრიტას მაბეზღარა დაუძახა და ჩანთაც ჩასცხო. არა, ძალიან ძნელია მასწავლებლობა.

იმ დღეს შინ ღიღინ-ღიღინით მივდიოდით, რომ ლასე, ბოსე და ულე დაგვეწეოდნენ. ისინი სკოლიდან ჩვენზე ერთი საათით გვიან რომ დაბრუნებულიყვნენ, დედები მაშინვე მიხვებოდნენ, რაც მოხდა და კიდევ დასჯიდნენ, ჩვენი აზრით, კი დღეს საკმარისად იყვნენ დასჯილები.

ერთხელ მთელმა კლასმა ჩავიდინეთ დანაშაული. პირველი აპრილი იყო და მოვატყუეთ მასწავლებელი. რა თქმა უნდა, ასე არ უნდა გვექნა, მაგრამ პირველ აპრილს ხომ არავის სჯიან.

ჩვეულებრივად გაკვეთილები რვა საათზე გვეწყება. მოვილაპარაკეთ, რომ პირველ აპრილს სკოლაში ექვს საათზე მივსულიყვაით. გაკვეთილების შემდეგ ლასე კლასში შეიპარა და საათის ისრები ორი საათით წინ წასწია.

პრიველ აპრილს წინკარში განგებ ვაბაკუნებდით ფეხებს და ვხმაურობდით, რომ მასწავლებელი გაგვეღვიძებინა. ლასემ ზევით აირბინა და კარზე დააკაკუნა.

მასწავლებელმა ნამძინარევი ხმით იკითხა:

_ ვინ არის?

_ ლასე ვარ! გვექნება დღეს გაკვეთილები? _ ჰკითხა ლასემ.

_ ვაიმე, ბავშვებო, დამძინებია! _ დამოიძახა მასწავლებელმა. _ ერთი წუთით მომიცადეთ, ახლავე ჩამოვალ!

მასწავლებელს ზევით, თავისთან სხვა საათიც აქვს, მაგრამ ისე ჩქარობდა, არც შეუხედავს. მან კლასში მაშინ შეგვიშვა, როცა კედლის საათზე უკვე ცხრის ოცი წუთი იყო.

_ არაფერი მესმის, ალბათ, ჩემი მაღვიძარა გაფუჭდა, _ თქვა შეწუხებულმა.

ჩვენ კი სიცილს ძლივს ვიკავებდით. პირველი გაკვეთილი არითმეტიკა გვქონდა. გაკვეთილის დასასრულს მაღლა, მასწავლებლის ოთახში მაღვიძარა აწკრიალდა. სინამდვილეში ხომ მხოლოდ შვიდი საათი იყო, თუმცა სკოლის საათი ცხრას უჩვენებდა.

_ ეს რა არის? _ გაუკვირდა მასწავლებელს.

დღეს პირველი აპრილია,

მოტყუება ადვილია!

_ ავყვირდით ერთად.

_ ოჰ, ბავშვებო, ბავშვებო! _ თავი გადაქნია მასწავლებელმა.

მაგრამ მასწავლებლების ასე მოტყუება მხოლოდ პირველ აპრილს შეიძლება!

როცა ცხრილით გათვალისწინებული გაკვეთილები დამთავრდა და შინ წამოსასვლელად გავემზადეთ, მასწავლებელმა შეგვაჩერა:

პირველ აპრილს, დილით,

არა მჯერა ცხრილის...

და დაგვტოვა კიდევ ერთი გაკვეთილი. ოღონდ ეს ძალიან მკაცრი სასჯელი არ იყო _ მთელი გაკვეთილი სასაცილო მოთხრობებს გვიკითხავდა.

შინ რომ ვბრუნდებოდით, გზაზე ულემ ჰკითხა ლასეს:

_ სად გამოხიე ეგ შარვალი? შეხედე, რამხელა ნახვრეტია!

ლასემ ლამის კისერი მოიგრიხა, როგორმე ნახვრეტი რომ დაენახა. აყვირდა, მაგრამ რა აყვირდა ულე:

დღეს პირველი აპრილია,

მოტყუება ადვილია!

უზომოდ გაუხარდა ულეს, ლასეს მოტყუებაც კი შევძელიო. მერე ბოროტი ხარზი შეგვხვდა და იმისი მოტყუებაც მოუნდა.

_ ბატონო ხარაზო, შეხედეთ, ბუჩქის ძირას მელია ზის! _ აყვირდა წეღანდელივით.

ხარაზს იქით არც გაუხედავს.

_ მე ვერავის ვხედავ, ექვსი ლაწირაკის გარდა! _ თქვა კუშტად.

ახლა ლასე ახარხარდა.

გაკვეთილები რომ მოვამზადეთ, ლასე ულესთან გაიქცა და ახარა:

_ ჩქარა, ულე! ბრიტასთან და ანასთან მეძველმანე მოვიდ და ქვებს ყიდულობს.

_ როგორ ქვებს? _ ჰკითხა ულემ, რომელსაც გულიდან გადავარდა პირველი აპრილი რომ იყო.

_ ჩვეულებრივ ქვებს, ყველგან რომ ყრია, _ უპასუხა ლასემ.

ულე გაიქცა და რიყის ქვების შეგროვება დაიწყო. იმდენი მოაგროვა, ძლივს მოათრია. ბრიტას და ანას სამზარეულოში მართლა იჯდა მეძველმანე, მაგრამ მარტო ცარიელ ბოთლებსა და ძველმანებს ყიდულობდა.

_ ძია, ქვები მოგიტანეთ, _ უთხრა ულემ ქოშინ-ქოშინით და ტომარა დაანახა.

_ რა ქვები მოიტანე? _ გაუკვირდა მეძველმანეს.

_ ჩვეულებრივი, რიყის ქვები, _ უპასუხა ულემ. _ ჩვენს ბაღში მოვაგროვე.

_ ჰოო, გასაგებია, _ თქვა მეძველმანემ. _ მაგრად მოტყუებულხარ, ძმაო!

ულეს იმწამსვე თავში გაჰკრა, რომ პირველი აპრილი იყო. კიბორჩხალასავით გაწითლდა, ტომარას ხელი სტაცა და იქიდან გაათრია. ლასე კი მესერს იქით იდგა და ღრიალებდა:

დღეს პირველი აპრილია,
მოტყუება ადვილია!

ქეიფი კვერცხებით

მოვიდა აღდგომა. დედა და მამა სოფელში იყვნენ მიწვეული. ჩვენ კი ნება დაგვრთეს კვერცხის ნადიმი მოგვეწყო და ბრიტა, ანა და ულე დაგვეპატიჟა. დედას ხომ ქათმების ფერმა აქვს, ჰოდა, კვერცხი ნამდვილად არ გვაკლია. თუმცა ბოსეს რომ ჰკითხოთ, ყველა კვერცხს ალბერტინა დებს, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არაა.

_ გგონია, შენი ალბერტინა ტყვიამფრქვევივით ყრის კვერცხებს, არა? _ ჰკითხა ლასემ.

ქეიფს სამზარეულოში ვაპირებდით. დღესასწაულიაო და მაგიდას ლურჯი სუფრა ეფარა. დედამ ნება დაგვრთო ლამაზი ყვითელი თეფშები გვეხმარა. ლარნკაში არყის ხის

შტოები ეწყო. კვერცხები წითლად, ყვითლად და მწვანედ იყო შეღებილი, იმიტომ, რომ შეღებილი კვერცხები შეუღებავზე ბევრად გემრიელია. ჩვენ ლექსიც კი მოვიგონეთ:

არაჟანმოსხმულ მაჭკატის ნაცვლად
ანა-ანულის კვერცხი არ ასცდა.

ლექსი, რა თქმა უნდა, ლასემ მოიგონა. მაგრამ ბოსეს არ მოეწონა.

_ არაჟანმოსხმული მაჭკატები რა შუაშია? ჩვენ მაჭკატების ჭმევას არავინ გვიპირებდა.

_ აბა, რა იცი, რის მაგივრად უნდა ვჭამოთ ეს კვერცხები? _ შეედავა ლასე. _ თუ გინდა, სხვანაირად დავწეროთ:

არაჟანმოსხმულ კატლეტის ნაცვლად
ანა-ანულის კვერცხი არ ასცდა.

ბოსეს არც ეს ლექსი მოეწონა, სხვა ლექსის მოფიქრება კი ვეღარ მოვასწარით. ანა, ბრიტა და ულე მოვიდნენ და სუფრას მივუსხედით. ძალიან მხიარულად ვიყავით და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ მეტ კვერცხს შეჭამდა. მე სამი კვერცხის ჭამა მოვახერხე, აი, ულემ კი ექვსი შეჭამა.

_ ალბერტინასთანა ქათამი ჯერ არ მინახავს, ნეტა უიმისოდ რა გვეშველებოდა? _ თქვა ბოსემ ქეიფის ბოლოს.

შინ არავინ იყო. აგდა სადღაც წავიდა ოსკართან ერთად. ჩავაქრეთ შუქი და დამალობანას თამაში გავაჩაღეთ. ჯერ გავითვალეთ _ ეპელ-პეპელ-პირუმ-პარუმ, _ და დაუხუჭვა ბოსეს მოუწია. მე საიმედოდ დავიმალე. სატუმრო ოთახში ფარდის უკან, ფანჯრის რაფაზე მოვკალათდი. ბოსემ რამდენჯერმე ამიარ-ჩამარა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია. თურმე ბრიტა ჩემზე უკეთესად დაიმალა. ჩვენთან წინკარში მამას რეზინის ჩექმები ეწყო, ხოლო იმის ზევით ლაბადა ეკიდა, რომელსაც ამმა დილდილობით იცვამს, როცა რძე მიაქვს დიდ სოფელში. ბრიტა ჩამძვრალა რეზინის ჩექმებში და ლაბადა საგულდაგულოდ მოუფარებია. ბოსემ დიდხანს, დიდხანს ვერ იპოვა. ბოლოს, რომ აღარაფერი გამოგვივიდა, ავანთეთ შუქი და ყველამ ერთად დავუწყეთ ძებნა, თან

ვყვიროდით: «გამოდი, ბრიტა! გამოდი, ბრიტა!» ის მაინც არ იღებდა ხმას. ლაბადა კი ჩვეულებრივად ეკიდა, რომ მის ქვეშ შეჭვრეტა თავში არავის მოსვლია.

_ ალბათ, მოკვდა და ვეღარასოდეს გვიპასუხებს, _ თქვა ულემ.

ამ დროს ლაბადიდან სიცილი გაისმა და ცოცხალი ბრიტა გამობრაცუნდა მამას ჩექმებში.

ბრიტამ «ჩექმებიანი კატის» თამაში შემოგთავაზა. ცხადია, თვითონ კატა უნდოდა ყოფილიყო. მაგრამ ანა არ დაეთანხმა. მაგას სჯობს, ბაბუასთან წავიდეთ და გოგლი-მოგლით გავუმასპინძლდეთო. ჩვენც ავიღეთ ჭიქები, კვერცები, შაქრის ფხვნილი და ბაუბასთან გავიქეცით. ის, როგორც ყოველთვის, ღუმელის წინ სარწეველაში იჯდა. უზომოდ გაუხარდა, რომ მივედით. ჩვენ დავსხედით იატაკზე და ვთქვიფეთ და ვთქვიფეთ გოგლი-მოგლი.

როგორ წავედით მე და ანა საყიდლებზე

დიდ სოფელში, სკოლის გვერდით, არის დუქანი, სადაც შაქარს, ყავას და საერთოდ, რაც გვჭირდება, იმას ვყიდულობთ ხოლმე. დედა ხშირად მთხოვდა, გაკვეთილების შემდეგ დუქანში შეიარეო. ერთხელ კი საგაზაფხულო არდადეგების დროს მთხოვა საყიდლებზე წასვლა.

მზიანი დღე იყო და დიდ სოფელში გასეირნება არ მაწყენდა.

_ რა უნდა ვიყიდო? _ ვკითხე დედას.

დედამ საყიდლების ჩამოწერა დააპირა, მაგრამ ფანქარი ვერ ვიპოვეთ.

_ არა უშავს, ისეც დავიმახსოვრებ ყველაფერს, _ დავამშვიდე დედა.

დედამაც ჩამომითვალა: საფუარი, ერთი ნაჭერი ხბოს საუკეთესო ძეხვი, ერთი პაკეტი ჯანჯაფილი, ერთი ქილა ანჩოუსი, ასი გრამი ტკბილი ნუში და ერთი ბოთლი ძმარი.

_ საფუარი, ძეხვი, ჯანჯაფილი, ანჩოუსი, ნუში და ძმარი _ ყველაფერი დამამახსოვრდა! _ ვუთხარი დედას.

ამ დროს ანამ მოირბინა და, დუქანში ხომ არ წამოხვალო, მკითხა:

_ რა სასაცილოა! ახლა სწორედ შენს დაძახებას ვაპირებდი! _ ვახარე ანას.

ანას ახალი წითელფუნჯიანი ქუდი ეხურა, ხელში კი კალათა ეჭირა. მეც ახალი ფუნჯიანი მწვანე ქუდი დავიხურე და კალათა ავიღე.

ანას ერთი ნაჭერი საპონი, ერთი შეკრულა კრაწუნა კვერები, ნახევარი კილო ყავა, ერთი კილო რაფინადი, გასაყრელი რეზინა და ჩემსავით ერთი ნაჭერის ხბოს საუკეთესო ძეხვი უნდა ეყიდა. საყიდლების სია არც ანას ჰქონდა.

წასვლის წინ ბაბუასთან ავიარეთ. იქნებ რამის დაბარება უნდაო. ბაბუამ გვთხოვა, შაქარყინული და ქაფურის მალამო მიყიდეთო.

ჭიშკრიდან რომ გავედით, პარმაღზე დეიდა ლიზი, ულეს დედა, გამოვიდა და მოგვაძახა:

_ დუქანში მიდიხართ, გოგოებო?

_ დიახ! _ ვუპასუხეთ ერთად.

_ მეც მინდა რაღაც-რაღაცები!

_ სიამოვნებით გიყიდით! _ ვუპასუხეთ ისევ ერთად.

დეიდა ლიზიმ გვთხოვა, მისთვის ერთი კოჭა ორმოცი ნომერი თეთრი ძაფი და ვანილიანი შაქარი გვეყიდა.

_ კიდევ მინდა რაღაც, მაგრამ რა, ვერაფრით მომიგონია, _ კოპები შეჰყარა დეიდა ლიზიმ.

_ ალბათ, ერთი ნაჭერი ხბოს საუკეთესო ძეხვი, _ ვუთხარი ალალბედზე.

_ სწორია! გაუხარდა დეიდა ლიზის. _ როგორ მიხვდი?

ასე წავედით მე და ანა დუქანში.

მივდიოდით და ცოტა მაინც გვეშინოდა, რამე არ დაგვავიწყდესო. ამიტომ ვიმეორებდით და ვიმეორებდით, რაც დაგვაბარეს. მივდიოდით ხელიხელჩაკიდებულები და ივიქნევდით კალათებს. მზე კაშკაშებდა, გაზაფხულის მოტკბო სურნელი ასდიოდა ხეებს... «და ხბოს ძეხვი, საუკეთესო!» _ ვმღეროდით ხმამაღლა. ასე გამოვიგონეთ სიმღერა ძეხვზე. ათასნაირად ვმღეროდით, მარშის მოტივიც კი შევუწყვეთ. ბოლოს კი ისეთი ნაღვლიანი მელოდიან მოვიგონეთ, კინაღამ თვითონვე ავღრიალდით.

_ რა ნაღვლიანი ძეხვია! _ თქვა ანამ. _ კიდევ კარგი, უკვე მოვედით.

დუქანში ბლომად დაგვხვდა ხალხი და დიდხანს მოგვიწევდა რიგში დგომა, მედუქნეს _ ძია ემილს რო არ ეშველა. უფროსებს ხომ ყოველთვის ჰგონიათ, ბავშვებს არსად ეჩქარებათო და სულ ურიგოდ გაძვრომას ცდილობენ. მაგრამ ძია ემილი კარგად

გვიცნობს და აინტერესებდა, როგორ იყვნენ ბიულერბიუელები, რამდენი ცალი კვერცხი შევჭამეთ ჩვენ ამ აღდგომას და მალე ხომ არ ვთხოვდებოდით მე და ანა.

_ არა, ჯერ არა, _ შორს დავიჭირეთ მე და ანამ ეს ამბავი.

_ რისი ყიდვა გსურთ, ქალიშვილებო?

ძია ემილი ყოველთვის გვეხუმრება და ძალიან მოგვწონს. წითელულვაშაა და ყურს უკან მუდამ ფანქარი აქვს გაჩრილი. დუქნიდან ისე არასოდეს გამოგვიშვებს, დიდი ქილიდან შაქარყინული არ გვაჭამოს.

პირველად ანამ ჩამოუთვალა, რისი ყიდვაც სთხოვეს დედამ და ბაბუამ. ძია ემილიც ყველაფერს კალათში აწყობდა. ჩემი რიგი რომ დადგა, ახლა მე ვუთხარი, რაც დედამ და დეიდა ლიზიმ დამაბარეს. გვეგონა, არაფერი დაგვავიწყდაო. რომ მოვდიოდით, ძია ემილი ჩვეულებისამებრ შაქარყინულით გაგვიმასპინძლდა და გავუდექით გზას შინისაკენ.

გზის განტოტებასთან რომ მივედით, სადაც გზა ბიულერბიუსკენ უხვევს, ანას ვკითხე:

_ თუ გახსოვს, ვიყიდე საფუარი?

ანას არ ახსოვდა, ვიყიდე თუ არა, და დავუწყეთ სინჯვა ჩემს კალათში ჩაწყობილ პაკეტებს. საფუარი არც ერთში არ აღმოჩნდა. ასე რომ, დუქანში დაბრუნება მოგვიწია. ძია ემილს გაეცინა, მოგვცა საფუარი და ისევ გაგვიმასპინძლდა შაქარყინულით. წამოვედით უკან.

ისევ რომ მივუახლოვდით გზის განტოტებას, ანამ წამოიძახა:

_ ვაიმე, ბაბუასთვის ქაფურის მალამოს ყიდვა დაგვავიწყდა!

დავბრუნდით ისევ დუქანში. ძია ემილმა ხუმრობით ცოტა დაგვცინა, მოგვცა ქაფურის მალამო და ისევ გაგვიმასპინძლდა შაქარყინულით.

მესამედ რომ მივედით ბიულერბიუს გადასახვევთან, ანას უცებ ისეთი სახე გაუხდა, ცოდვით დავიწვი.

_ ლიზი, _ მითხრა ჩურჩულით. _ რაფინადი ხომ არ დაგვავიწყდა.

ისევ შევამოწმეთ კალათებში ჩაწყობილი პაკეტები, მაგრამ რაფინადი არსად იყო.

ძია ემილმა რომ დაგვინახა, კინაღამ დახლს უკან გადავარდა. მერე კი რაფინადიც მოგვცა და შაქარყინულიც.

_ მშვიდობით, _ უთხრა ანა. _ მეტი აღარ მოვალთ!

წამოვედით, როგორც კი შორიდან ჩვენი გადასახვევი დავინახეთ, ანას ვუტხარი:

_ მოდი, იმ ადგილას რომმივალთ, გავიქცეთ, თორემ კიდევ რამე მოგვაგონდება.

და მართლა გავიქეცით.

_ რა კარგად მოიფიქრე! _ შემაქო ანამ.

ბოლოს და ბოლოს მივუახლოვდით სახლს. ხელიხელჩაკიდებულები მივდიოდით და კალათებს ვიქნევდით. მაგრამ ძალიან კი არა, ცოტათი, რამე რომ არ დაგვკარგვოდა. მზე კაშკაშებდა და ტყე გაზაფხულის მოტკბო სურნელით იყო სავსე.

_ მოდი, ძეხვის სიმღერა შემოვძახოთ, _ მითხრა ანამ.

ეს სიმღერა ისე მოგვწონდა, რომ ანამ გადაწყვიტა, აუცილებლად ვიმღერებ სკოლაშიო. მივდიოდით ბიულერბიუსკენ და ხმამაღლა ვმღეროდით: «და ხბოს ძეხვი გემრიელი, მართლა გემრიელიო».

უცებ ანა შეჩერდა.

_ ლიზი! _ მითხრა გულგახეთქილმა. _ ძეხვის ყიდვა დაგვავიწყდა.

გზის პირას ჩამოვსხედით და დიდხანს, დიდხანს ვდუმდით. ბოლოს ანამ თქვა:

_ არ მესმის, რატომ მოიგონეს ადამიანებმა ძეხვი. არ შეიძლება ძეხვის მაგიერ კარტოფილი ჭამონ?

_ ეჰ, ტყუილად გავიქეცით გადასახვევთან, _ ვთქვით ოხვრა-ოხვრით.

რაღას ვიზამდით, დავბრუნდით უკან. აღარ ვმღეროდით, ისე ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთ. ძეხვზე გამოგონილი სიმღერა სკოლისათვის ნამდვილად უვარგისიაო, _ დაასკვნა ანამ.

_ მართალია, დავეთანხმე მაშინვე. _ სულელური სიმღერაა და საერთოდ არაფრად არ ვარგა.

ძია ემილმა ისევ დაბრუნებული რომ დაგვინახა, თავზე ხელები იტაცა და შაქარყინულის ახალი ქილის მოსატანად გაიქცა. მაგრამ ჩვენ მადლობა ვუთხარით, ჭამა კი არა შეხედვაც აღარ გვინდოდა.

_ სამი ნაჭერი ხბოს საუკეთესო ძეხვი მოგვეცით, _ ვუთხარი ძია ემილს.

_ ხბოს საუკეთესო ძეხვისთვისაც არ ღირს ამდენი სიარული. _ ჩაიბუტბუტა ანამ.

წავჩანჩალდით სახლში. გზის განტოტებასთან ანამ უკან მიიხედა და მითხრა:

_ შეხედე, მეწისქვილე იუხანი მოდის თავისი ცხენითო.

იუხანის წისქვილი ბიულერბიუს იქითაა, უფრო შორს.

_ ძალიან გთხოვთ, წაგვიყვანეთ, _ შევეხვეწეთ იუხანს, როცა ფორანი გაგვისწორდა.

_ ჩასხედით, _ დაგვრთო ნება.

ავძვერით ფორანზე და იუხანის უკან მოვთავსდით. იუხანმა სახლამდე მიგვიყვანა.

ისევ წამოვიწყე ძეხვზე მოგონილი სიმღერა, მაგრმა ანამ შემაჩერა.

_ თუ ახლავე არ გაჩუმდები, იცოდე, ფორნიდან გადაგაგდებ!

შინ რომ მივედი, დედამ მკითხა:

_ ასე რატომ დაგაგვიანდათ?

_ ამდენ ძეხვს ჩქარა ვერ იყიდი-მეთქი, _ ვუპასუხე.

დედამ პაკეტები მაგიდაზე ამოალაგა და შემაქო:

_ ყოჩაღ, შვილო, არაფერი დაგვიწყნია.

სტუმრად წყლის კაცთან

სოფლის შარაგზა მარტო ბიულერბიუმდე მიდის. მერე კი, იუხანის წისქვილამდე, ტყის ვიწრო ბილიკს უნდა გაჰყვე. იუხანი პატარა სასაცილო მოხუცია. მარტოდმარტო ცხოვრობს ტყეში ჩაკარგულ ძველ, პატარა სახლში. სახლის გვერდით, ტირიფნარში, ფშანზე წისქვილი დგას. ეს ფშანი ჩვენსას არაფრით არა ჰგავს. ჩვენი წყნარი და მშვიდია, ტირიფნარისა კი _ მშფოთვარე და სწრაფი. ასეთი რომ არ ყოფილიყო, ვინ დადგამდა ზედ წისქვილს. არც სიწქვილის ბორბალი დატრიალდებოდა, წყალი ასეთი ძალით რომ არ ასკდებოდეს.

ცოტანი ფქვავენ ხორბალს იუხანთან, მხოლოდ ბიულერბიუელები და ზოგი ტყის იქით მცხოვრები. ამიტომ წისქვილი მუდამ ცარიეალია. უცნაური კაცია იუხანი, დიდები არ უყვარს, ბავშვებთან ყოფნას კი არაფერი ურჩევნია. ჩვენთან ენაწყალიანია, დიდებთან კი დუმს ანდა ძუნწად პასუხობს შეკითხვებზე.

ერთხელ გაზაფხულზე მამამ თქვა, ლასე წისქვილში წავიდეს და ორი ტომარა ჭვავი დაფქვასო. ძალიან გაგვეხარდა: _ რა კარგია, ჩვენც გავყვებითY!

ერთი ბებერი შავრა ფაშატი გვყავს, შვედა ჰქვია. ძალიან დიდი ხანია მამასთან ცხოვრობს. მამა მაჭანკალს ეძახის, იმიტომ რომ დედას სათხოვნელად იმ ცხენით წასულა. მამას სულ არ ეშინია, შვედათი თუ მივდივართ სადმე. ასე ამბობს, ეს ცხენი ყველ ბიულერბიუელი ბავშვი რომ შეკრიბო, იმათზე ჭკვიანიაო. ორი ტომარა ჭვავი და ექვსი ბავშვი _ მსუბუქი ტვირთი არაა. შვედამ თავი მოაბრუნა და საყვედურით შემოგვხედა. ლასემ სადავე გაატკაცუნა:

_ აბა, წავედით, შვედავ! ნუ ხუშტურობ!

გაგორდა ჩვენი ფორანი გზაზე. ეს ტყეში გაჭრილი გზა ისეთი ქვიანი და ოღროჩოღროა, რომ სულ ერთმანეთ ვეხეთქებოდით, როცა ბორბალი ან ქვას წააწყდებოდა ანდა ღრანტეში ჩავარდებოდა. მაგრამ მაინც გულიანად ვიცინოდით.

მთელ ტყესაა მოდებული ტირიფნარის ფშანის ხმაური. ეს ხმა მაშინაც ისმის, როცა წისქვილი ჯერ არცა ჩანს. ძალიან ლამაზია იქაურობა. იდუმალებით მოცული, ცოტათი საზარელი. თუ წისქვილის ბორბალთან დგახარ უნდა იყვირო, თორემ ვერავის ვერაფერს გააგონებ.

იუხანს მეტისმეტად გაუხარდა ჩვენი მისვლა და წისქვილში წაგვიყვანა. თან სულ ულვაშებში ეცინებოდა და ეშმაკურზე ეშმაკური სახე ჰქონდა. ჩვენი ტომრები რომ მივაწოდეთ და წისქვილი დავათვალიერეთ, დავსხედით ბალახზე და გავაბით მუსაიფი. ეტყობა, დიდხანს არ ესაუბრა არავისთან, იმიტომ რომ ჩვეულებრივზე მეტს ლაპარაკობდა. ასეთი რამე გვიამბო: ჩემს წისქვილში ისეთი გნომი ცხოვრობს, ონავრობას რომ არაფერი ურჩევნია. ჩაავლებს, მაგალითად, ხელს წისქვილის დოლაბს და გააჩერებს. ანდა ადგება და იატაკზე მოაბნევს მთელ ტომარა ფქვილს. ერთხელ, ადრიანად რატომ მოხვედი წისქვილშიო, გაბრაზდა და მაგარი გამილაწუნა. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ თვალწინ რაღაცამ გამიელვა და გნომი გაუჩინარდა. ისე კი, კეთილია. თუ გუნებაზეა, საღამოობით წისქვილს კიდეც გვის და კიდეც ალაგებსო.

უცნაური რამეა ეს წისქვილი. თუნდაც ის ამბავი, რომ იუხანის სახლის წინ მდელოზე ხშირად ცეკვავენ ელფები. იუხანი ჩუმად ზის ფანჯარასთან და ფარდას მოფარებული უცქერის. თუ ელფებმა იუხანი შეამჩნიეს, მაშინვე იმალებიან. ერთხელ იუხანმა ტყის ალი ნახა. ფიჭვის უკან იდგა, მარტო ცხვირი მოუჩანდა და ისე არხარებდა, მთელ ტყეს აყურებდა. ბედნიერია იუხანი, რამდენ საინტერესო რამეს ნახულობს!

_ იცით, წუხელ აქ ვინ იყო? _ გვკითხა იუხანმა საიდუმლო ჩურჩულით.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვიცოდით და თვითონვე გვიჩურჩულა:

_ წუხელ წყლის კაცი მოვიდა.

ანა მე ჩამაფრინდა ხელზე, მე _ ანას.

_ წყლის კაცი ქვაზე იჯდა ჯებირთან და ისე გულისშემძვრელად უკრავდა, ცრემლი მომერიაო, _ განაგრძო იუხანმა და ის ქვაც გვაჩვენა, რომელზეც წყლის კაცი იჯდა, მაგრამ დღისით იქ, რასაკვირველია, არავინ იყო.

_ მარტო ღამღამობით მოდის, _ გვითხრა იუხანმა.

_ ყოველ ღამე? _ ჰკითხა ბოსემ.

_ ჰო, უყვარს გაზაფხულზე ღამღამობით ამ ქვაზე ჯდომა და ვიოლინოს აკვნესება, _ უპასუხა იუხანმა.

შვედას აშკარად ეტყობოდა, შინ დაბრუნება ეჩქარბოდა. ყველანი გამოვეთხოვეთ იუხანს, ხოლო მე და ანა ერთხელ კიდევ გავიქეცით იმ ქვის სანახავად, რომელზეც წყლის კაცი ჯდებოდა ხოლმე.

წისქვილიდან ერთი გზა ბიულერბიუსკენ მიდის, მეორე _ ტბის იქით სოფლისკენ. ჩვენს ლასეს იმ სოფლის ნახვა მოეგუნება და სადავე ხელში შეათამაშა. გაგიოგნია, შვედამ ყურიც არ გააბარტყუნა, ისევ ისე გაუნძრევლად იდგა. მხოლოდ თავი მოაბრუნა ნელა და ლასეს შეხედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, სრულ ჭკუაზე თუაო. ასე რომ, შინ, ბიულერბიუში მოგვიწია წასვლა. იქით კი, იცოცხლე, შვედა მხიარულად გარბოდა.

_ ამაღამ წყლის კაცის სანახავად მივდივარ. ვინ წამოვა ჩემთან ერთად? _ მოულოდნელად გამოგვიცხადა ლასემ.

ჯერ გვეგონა, ხუმრობსო, მაგრამ არა, სერიოზულად ლაპარაკობდა. ბოსე და ულე მაშინვე აჰყვნენ, ჩვენც წამოგყვებითო.

_ გოგოებს თუ არ უნდათ, ნუ წამოვლენ, _ თქვა ლასემ.

_ ვინ მოგახსენა, რომ არ გვინდა! _ გაწიწმატდა ბრიტა.

_ ძალიანაც გვინდა, _ კვერი დაუკრა ანამ.

_ წამოდით მერე, წინააღმდეგი არა ვარ, _ ნება დართო ლასემ, _ თქვენც ხომ უნდა ნახოთ წყლის კაცი, მე მგონია, მაინცდამაინც ბევრი არ გინახავთ.

_ იმდენი ვნახეთ, რამდენიც შენ! _ მოუჭრა ბრიტამ.

ლასეს არაფერი უპასუხია, ოღონდ ისეთი საიდუმლოებით მოცული სახე მიიღო, თითქოს ერთი კი არა, ათასი წყლის კაცი ჰყავდა ნანახი.

რაკი წასვლა გადავწყვიტეთ, მაშინვე ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. ლასემ თქვა, სახლიდან შუაღამეზე უნდა გავიდეთო. მისი აზრით, ნებართვა სჯობდა არ გვეთხოვა, გაღვიძებით კი, მაღვიძარა ჰქონდა და, თვითონ გაგვაღვიძებდა.

ღამე იმან გამაღვიძა, რომ ლასე ჩემს საწოლთან იდგა და თმას მქაჩავდა, მეც უმალ წამოვხტი.

როგორ გაეღვიძებინა ანა და ბრიტა ლასემ საღამოსვე მოიფიქრა: ქვას თოკი გამოაბა, ის ქვა გოგოების ოთახში დადო, თოკი კი ჩემს ფანჯრამდე გაჭიმა. დრო რომ მოვიდა, მოქაჩა თოკი, ქვა ახტა-დახტა და გოგოებსაც გაეღვიძათ.

ულეს გაღვიძება კი ძნელი არ იყო: ბოსე გადაძვრა ცაცხვის ხეზე, იქიდან ულეს ოთახში და ჯაჯგურ-ჯაჯგურით გააღვიძა.

აქამდე ვერ გამიგია, როგორ მოვახერხეთ შინიდან შეუმჩნევლად გამოსვლა. გული მიკანკალებდა, დედას და მამას კიბის ჭრიალზე გაეღვიძებათ-მეთქი, მაგრამ გადავრჩით.

ყოფილხართ ოდესმე ღამით ტყეში? იცით, რა საზარელია, ვერაფრით ვერ გავბედავდი ღამით იქ მარტოდმარტო წასვლას. გზაზე მაგრად მქონდა ჩაბღუჯული ბრიტას და ანას ხელი. ხოლო ტირიფნარის ფშანის შხუილი რომ გავიგონე, იმწუთას სახლში გაქცევა მომინდა, თანაც ლასემ გვითხრა:

_ ქვისკენ თითო-თითო უნდა გავხოხდეთ.

_ როგორ თითო-თითო? _ გამისკდა გული. _ დიდი მადლობა, მარტო იქ არ წავალ, რო... სულაც არ მინდა იმ შენი წყლის კაცის ნახვა.

_ აი, სულელი! _ აღშფოთდა ლასე. _ შენ გგონია, შეიძლება წყლის კაცს გამოვეცხადოთ ერთად, როგორც სასკოლო ექსკურსიაზე და მოვახსენოთ, მთელი სიცოცხლე შენს ნახვაზე ვოცნებობდითო? მოკლედ, თქვენ ისე მოიქეცით, როგორც გინდათ, მე კი მარტო მივდივარ!

ულემ და ბოსემ გადაწყვიტეს, ორივენი ერთად წავიდეთო. მე, ბრიტა და ანაც ერთად უნდა წავსულიყავით.

_ ჯერ მე გავხოხდები და თუ წყლის კაცი იქ არ დამხვდა, დაგიძახებთ. არადა, ჩუმად დათვალეთ ასამდე. თუ მანამდე არ შეგეხმიანეთ, მაშ, წყლის კაცი ადგილზეა და გაოცოცდით, _ გვითხრა ლასემ და გახოხდა.

დანარჩენები ხავსში ჩაფლულები ვიწექით და ვითვლიდით. ძალიან მინდოდა წყლის კაცი იქ არ ყოფილიყო. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ასს, მემატებოდა გულის ძგერა. ესეც ასი. ლასემ კი არ დაგვიძახა.

_ წყლის კაცი ადგილზეა, გავხოხდეთ, _ წაიჩურჩულა ბოსემ და ისა და ულე ერთი ბილიკზე გახოხდნენ, ჩვენ სამნი _ მეორეზე.

_ გოგოებო, ახლა მოვკვდები! _ წაიჩურჩულა ანამ.

არც მე და ბრიტას გვადგა უკეთესი დღე. აგერ წისქვილიც გამოჩნდა, აგე ჯებირიც! ქვაც! ქვაზე კი წყლის კაცი ზის! მთლად შიშველი წყლის კაცი რაღაცაზე უკრავს, მაგრამ წყლის შხუილში თითქმის არაფერი გვესმის.

თან წესიერად არც ჩანს. ოღონდ წყლის კაცი რომ არის, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

_ ვაიმე! _ აჩურჩულდა ანა.

_ მოდი, მოვუსმინთ, _ ჩურჩულითვე თქვა ბრიტამ.

_ ვიოლინო ნამდვილად არაა, _ ავჩურჩულდი ახლა მე. _ სიმღერა კი ნაცნობია.

_ მართალია, სკოლაში ვისწავლეთ! _ წამოიძახა ბრიტამ.

_ ნეტა წყლის კაცმა საიდან იცის? _ ვთქვი გაკვირვებით.

მაგრამ გასაკვირი არაფერი იყო, იმიტომ, რომ ქვაზე წყლის კაცი კი არა, ჩვენი ლასე იჯდა შიშველ-ტიტველი და ტუჩის გარმონზე უკრავდა.

_ ესეც ასე! ამის მერე ხომ ვეღარ იტყვით, წყლის კაცი ჩვენს სიცოცხლეში არ გვინახავსო, _ იცინოდა ლასე.

ბოსე დაემუქრა: _ დამაცადე, გავიზარდო, ნახე, როგორ დაგჟეჟოო.

ჩერსტინი _ ულეს პატარა დაიკო

როცა ლასე და ბოსე მეტისმეტად მომაბეზრებენ ხოლმე თავს, ასე მგონია, ძმების გარეშე უფრო მშვიდად ვიცხოვრებდი-მეთქი. არავინ გამაჯავრებდა, თოჯინებით რომ ვითამაშებდი. არავინ წამეჩხუბებოდა, არც იმას მეტყოდნენ, ისევ შენი ჯერია, მიდი, გაამშრალე ჭურჭელიო.

ერთხელ ლასემ დედას უთხრა, გოგოები საერთოდ არაფერი საჭირო არ არიან. ბევრად მერჩია, დის მაგივრად მე და ბოსეს ცხრა ძმა გვყოლოდა, ფეხბურთის მთელი გუნდი გამოვიდოდაო. დედამ კი უპასუხა:

_ ძალიან მიხარია, რომ ერთი ქალიშვილი მაინც მყავს. თეთრმეტი ბიჭი? ღმერთო, დამიფარე! ორნიც მეყოფით!

ალბათ, ლასე მიხვდა, სისულელე წამოვროშეო.

ზოგჯერ კი ძმები რომ გყავს, ძალიან სასიამოვნოა.

ძმები რომ არ მყოლოდა, საღამოობით ვისთან ერთად დავიწყებდი ბალიშების სროლას ან საშინელი ამბების მოყოლას? ესეც არ იყოს, ვინ გამომესარჩლებოდა სკოლაში?

ერთხელ, მაგალითად, უნებლიეთ ვიღაც ბიჭს დავეჯახე. მომიტრიალდა და წამითაქა. ადგა ბოსე და იმას უფრო მაგრა წაუთაქა, თან გააფრთხილა:

_ არაფერი მინდა, გაბედო და ხელი დააკარო!

_ აბა, თვითონ რას მეჯახება?! _ მაშინვე გამოტყდა ის ბიჭი.

_ არ დაუნახიხარ! კეფაზე რომ თვალები არა აქვს, ხომ ხედავ! _ დაუტია ბოსემ.

არა, ძმების ყოლა არც ისე ცუდია. თუმცა დას არაფერი შეედრება, ამას თქმა არ უნდა.

ულეს რომ ჰკითხო, სულ ერთია, ძმა გყავს თუ და, მთავარია, დედისერთა არ იყო. მე მგონია, ულე მართალია. ამიტომ ჯავრობდა ხოლმე მშობლებზე და აყვედრიდა:

_ არ მესმის, რატომ ჰყავს ამ ხალხს რამდენიმე შვილი, თქვენ კი ერთი კინკილა ბავშვი.

და აი, ბოლოს და ბოლოს, ულეს და გაუჩნდა. ისე გაუხარდა, ისე, რომ მაშინვე ჩვენთან მოირბინა და მის სანახავად წაგვიყვანა.

_ აი, ჩემი და! _ გვითხრა ისეთი სახით, თითქოს რაღაც სასწაულს გვაჩვენებდა. _ ხომ ლამაზია?

ჩვენ კი არ მოგვეწონა, წითელი იყო და მომანჭული. ერთადერთი ხელები ჰქონდა კარგი და საყვარელი.

ყველაზე მეტად მაინც ლასე გაშტერდა. თვალები დააჭყიტა და პირი დააფჩინა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

_ ჰო, ლამაზი გოგოა, _ ყველას მაგივრად უპასუხა ბრიტამ და წამოვედით.

სახლში რომ მოვედით, ლასემ ამოიოხრა:

_ საწყალი ულე! და კი არა, საფრთხობელა ჰყავს. არც ჩვენი ლიზია ლამაზი, მაგრამ ადამიანს მაინც ჰგავს. ულეს ძალიან შერცხვება, ისეთი უშნო და რომ ჰყავს, როცა ის სკოლაში დაიწყებს სიარულს.

ულეს დის სანახავად იმის მერე აღარ წავსულვართ. მაგრამ ულე ყოველდღე გვიამბობდა, რა მშვენიერია მისი და. ამას იტყოდა თუ არა, ლასე მაშინვე მრავალმნიშვნელოვნად მოპრუწავდა ტუჩებს. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მის ნათლობაზე არ დაგვპატიჟეს.

_ საწყალი! _ გვეუბნებოდა ლასე გზაში. _ ასეთმა გონჯმა როგორ უნდა იცხოვროს ქვეყანაზე!

მივედით ულესთან. სასტუმრო ოთახი ყვავილებით მოერთოთ. ბუხრის თავზე შემოდგმულ ქოთანში ხის მწვანე შტოები ეწყო. სუფრა გაეშალათ. ულე სადღესასწაულოდ იყო გამოპრანჭული. ჩვენც, ყველანი. პასტორი უკვე მოსილიყო და იცდიდა. უეცრად კარი გაიღო და ოთახში დეიდა ლიზი შემოვიდა, ხელში გოგონა ეჭირა. ნამდვილ თოჯინას ჰგავდა. დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა, ვარდისფერი ლოყები და ერთი ბეწო პირი.

ლასე ისევ გაშტერდა.

_ ულე, კიდევ ერთი და გაგიჩნდა? _ ჰკითხა ჩურჩულით.

_ როგორ თუ კიდევ? _ გაუკვირდა ულეს.

ის ვერაფრით მიხვდა, რომ ლასეს ეს ბავშვი სხვა ეგონა, ადრე ნანახი _ სხვა. ლასესაც ხმა აღარ ამოუღია.

ულეს დას ჩერსტინი დაარქვეს.

მე ბატკანი მყავს!

ჩვენ სოფელში ბევრი ცხვარია. ისინი ყოველ წელს ბატკნებს იგებენ. ლამაზებია ბატკნები. ბატკნებით უფრო გაერთობ, ვიდრე კატის კნუტებით, გოჭებითა და ლეკვებით. მე მგონია, ჩერსტინზე თავშესაქცევებიც არიან, მაგრამ ულე როცაა, ამას არ ვამბობ.

დოლი რომ დაიწყება, ყოველ დილას ფარეხში გავრბივართ, ღამე რამდენი ბატკანი მოგვემატაო. შეაღებ თუ არა ფარეხის კარს, მაშინვე აბღალვდებიან ცხვრები, აყვებიან ბატკნებიც, ოღონდ, უფრო წვრილი და ნაზი ხმით. თითო ცხვარი ორ ბატკანს იგებს.

ერთ კვირა დილას ფარეხში მივედი და ჩალაზე მკვდარი ბატკანი დავინახე. გავიქეცი და მამას ვუთხარი. მამა მაშინვე წამოვიდა გასაგებად, რა მოხდაო. თურმე ბატკნის დედას რძე არა ჰქონია და საწყალი ბატკანი შიმშილით მომკვდარა. დავჯექი ფარეხის ზღურბლზე და ავტირდი. მალე ანაც მოვიდა და, ბატკანი მოკვდაო, რომ გაიგო, ისიც ატირდა.

_ არ მინდა ბატკნები რომ დაიხოცონ, _ შევტირე მამას.

_ ეგ ვის უნდა! _ მითხრა მამამ. _ მაგრამ ესეც მოკვდება, _ და ხელში ატატებული ბატკანი დამანახა. მკვდარი ბატკნის ძმა იყო და ისიც შიმშილით კვდებოდა. მამამ თქვა, უნდა დავკლათ, ზედმეტ ტანჯვა-წამებას რომ გადავარჩინოთო. მე და ანა უფრო ხმამაღლა ავტირდით.

_ არ მინდა, არ მინდა, რომ ბატკნები იხოცებოდნენ, _ ვღრიალებდი და გამწარებული ვგორაობდი ბალახზე.

მამამ ხელში ამიყვანა და დამიყვავა:

_ ნუ ტირი, ლიზი! დამშვიდდი. მოდი, სცადე და ჩვილი ბავშვივით საწოვარათი გამოკვებე.

როგორ გამეხარდა! მე ხომ არ ვიცოდი, ბატკნის საწოვარათი გამოკვება თუ შეიძლებოდა. მართალია, ბატკანი ისეთი სუსტი და უღონო იყო, რომ მამას გადარჩენის იმედი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ, ყვეალფერი გვეცადა.

გავიქეცით მე და ანა ლიზი დეიდასთან და ჩერსტინის რძის ბოთლი და საწოვარა ვთხოვეთ. მერე ისევ მამასთან დავბრუნდით.

_ მოდი ბატკანს ნაღები ვაჭამოთ, _ ვუთხარი მამას. მამამ იუარა, ნაღები რომ ვაჭამოთ, მაშინ უეჭველად მოკვდება. ახალდაბადებულმა ბატკნებმა მხოლოდ წყალთან გაზავებული რძე შეიძლება დალიონო. მამა დაგვეხმარა რძის გაზავებაში და ბოთლი თბილ წყალში ჩადგა, რომ რძე შემთბარიყო. რძე რომ შეთბა, ბოთლი წყლიდან ამოვიღე და საწოვარა ბატკანს ჩავჩარე პირში, სტაცა პირი და დაიწყო წოვა. ეტყობა, ძალიან შიოდა.

_ ჰოდა, ასე. ახლა შენ ამ ბატკნის დედობილი ხარ, _ მითხრა მამამ, _ გახსოვდეს, რომ დილაადრიანაც უნდა აჭამო, დღისითაც და გვიან ღამითაც. იცოდე, არ მოგბეზრდეს!

ანამ მაშინვე მითხრა, თუ მოგწყინდა, დამიძახე და სიხარულით დავალევინებთ რძეს შენს ბატკანსო. მაგრამ მე არ მოვინდომე: _ არც იფიქრო! ჩემი ბატკნის ჭმევა არასოდეს მომწყინდება-მეთქი.

ბატკანს პონტი დავარქვი. მამამ გამახარა, პონტი მარტო შენი იქნებაო. საბედნიეროდ, ეს ამბავი მანამ მოხდა, სანამ ლასე და ბოსე გაიღვიძებდნენ, თორემ პონტის გულისთვის აუცილებლად ჩხუბი მოგვივიდოდა.

_ მაშ, კვირაობით ძილიც აღარ შეიძლება წესიერად, არა? გძინავს შენთვის, ლიზი კი ამასობაში ბატკნის პატრონი ხდება, _ აჯიჯღინდა ლასე. ძალიან გაბრაზდა, პონტი თვითონ რომ არ შეხვდა.

პირველ დღეებში გოგოებიც მორბოდნენ და ბიჭებიც, რომ ენახათ, როგორ ვკვებავდი პონტის საწოვარათი. მაგრამ მალე მობეზრდათ.

მაინც გასაოცარია, რამდენს ჭამენ ბატკნები! ყოველ დილას სკოლაში წასვლის წინ მივრბოდი ფარეხში პონტისათვის რძის დასალევინებლად. ისიც დამინახავდა თუ არა, მორბოდა ჩუმი ბღავილითა და პატარა კუდის ქიცინით. სხვა ბატკნებისაგან ცხვირზე შავი ნიშნით ვანსხვავებდი. დღისით, ჩვენი სკოლაში ყოფნის დროს, პონტის აგდა აჭმევდა. სკოლის შემდეგ და გვიან საღამოს _ ისევ მე.

ერთხელ ანას ვთხოვე, პონეტსათვის ჩემს მაგივრად ეჭმია, მაგრამ უარი მითხრა:

_ ხვალ შეგენაცვლები, დღეს კი არა მცალია!

მე კი პონტის ჭმევა არასოდეს მწყინდება. ძალიანაც მიყვარს. უფრო მეტად იმიტომ, რომ ჩემი დანახვა ასე უხარია. ერთხელ ლასეს და ბოსეს ვკითხე, როგორ ფიქრობთ, პონტის თავისი დედა ხო არ ვგონივარ-მეთქი?

ლასემ მაშინვე მომახალა:

_ ეგონები, აბა რა იქნება, ისე მაგრა ჰგავხარ ცხვარს.

რამდენიმე ხნის მერე მამამ თქვა: დროა პონტის პატარა ვედრიდან ვასწავლოთ რძის დალევა. ამხელა ცხვარია და სირცხვილია, ისევ საწოვარას წოვდესო.

პირველად პონტი ვერაფრით ვერ მიხვდა, საწოვარას მაგივრად რაზე მჩრიან ცხვირში ამ ვედროსო. ცხვირით მეხახუნებოდა, საწოვარას ეძებდა და საცოდავად ბღაოდა.

ბოსემ უყურა, უყურა პონტის და უთხრა:

_ რატომ არა სვამ, ჰა? ამაზე ადვილი რაა, სულელო!

გული დამწვა პონტის ლანძღვამ.

_ თვითონ ხარ სულელი! როცა ბატკნებისა არაფერი გაგეგება, გაჩუმდი!

პონტი ისევ ისე ყნოსვდა ვედროს და საწყალობლად ბღაოდა.

ბოლოს და ბოლოს, მაინც მოვიფიქრე, როგორ მესწავლებინა პონსტისათვის რძის ვედროდან სმა, იმიტომ რომ ბატკნებს ბოსეზე უკეთ ვიცნობ. ავდექი, ჩავაწე ხელი რძეში და პონტის თითები გავალოკინე. მერე ისევ ჩავყავი ვედროში ხელი და ისევ გამლოკა. ასე ვაკეთებდი, სანამ რძე არ გათავდა. თუმცა ცოტა მიწაზეც დამეღვარა.

პონტი რამდენიმე დღე მილოკავდა თითებს. მაგრამ ერთხელ ისე მოშივდა, რომ რძეში ხელის ჩაყოფა აღარ მაცალა, სტუცა თავი ვედროში და დაიწყო რძის სმა. ისე ამოსვლიპა, წვეთი არ ჩაუტოვებია. ჰოდა, ახლა უჩემოდაც იოლას გადის. მე კი გული მწყდება, ძალიან რომ აღარ ვჭირდები.

როცა დათბა, ცხვრები ბაკში შერეკეს და პონტი სხვა ბატკნებთან ერთად მიეჩვია ბალახის ძოვას. მაგრამ რძეს მაინც ყველანი სვამდნენ. ამიტომ ყოველდღე მივდიოდი ბაკთან რძიანი ვედროთი. მივადგებოდი შემოღობილს და ვყვიროდი: «პონტი! პონტი!» ბაკის მეორე ბოლოში კი აბღავლდებოდა პონტი და კუნტრუშ-კუნტრუშით, კუდის ქნევით მორბოდა ჩემკენ.

პონტი სკოლაში მიდის

ლასეს ძალიან უყვარს ჩემი გაჯავრება.

_ არა, ბატკანს მაინც ძაღლი სჯობს! _ თქვა ერთხელ.

ულე, რა თქმა უნდა, მაშინვე დაეთანხმა: ცხადია, ძაღლი სჯობსო! _ აბა, რას იტყოდა, იმას ძაღლი ჰყავს, ბატკანი კი არა.

_ ვითომ რატომ-მეთქი? _ გავნაწყენდი.

_ იმიტომ, რომ ძაღლის წაყვანა ყველგან შეიძლება, _ მიტხრა ულემ. _ ძაღლი ადამიანს სულ უკან დასდევს.

_ შენი პონტი კი ბაკიდან არ გამოდის, _ ნიშნი მომიგო ლასემ.

_ მაინც ბატკანი სჯობია! _ ჩემს გასამხნევებლად თქვა ანამ.

სკოლიდან რომ გამოვდიოდით, ასე ვლაპარაკობდით გზადაგზა.

დილით, ჩვეულებისამებრ, ბაკში წავედი პონტისათვის რძის დასალევინებლად. ჩემთან რომ მოირბინა, ისეთი თეთრქულა და ლამაზი იყო, ვიფიქრე, ათას ძაღლშიც არ გავცვლი-მეთქი. მერე დამენანა, რომ ამრტოდმარტო უნდა ერბინა ბაკში, სადაც ვერავინ ხედავდა მის სილამაზეს.

ელვა ხშირად აცილებდა ულეს სკოლაში. მართალი თქვეს, ძაღლი ადამიანს სულ დასდევსო. ერთხელ მასწავლებელმა ელვა კლასშიც შემოუშვა და ნება დართო ულეს მერხის გვერდით დაწოლილიყო.

სანამ პონტი რძეს სვამდა, მე სულ იმაზე ვფიქრობდი, რატომაა ქვეყნად ასეთი უსამართლობა: ძაღლები, სადაც მოეპრიანებათ, იქ დარბიან, ბატკნები კი მარტო ბაკში-მეთქი. ჰოდა, გადავწყვიტე, ლასეს თვალის დასაყენებლად, პონტი სკოლაში წამეყვანა.

ბავშვები ჭიშკართან მიცდიდნენ.

_ ჩქარა, ლიზი, თორემ დაგვაგვიანდება! _ დამიძახა ბრიტამ.

მოვუბრუნდი პონტის და ვუთხარი:

_ გესმის, პონტი, ჩქარა, თორემ დაგვაგვინადება!

არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ბავშვებს ისე შეეძლოთ გაოცება, როგორც ლასე, ბოსე, ულე, ბრიტა და ანა გაოცდნენ პონტის დანახვაზე.

_ სად მიდის? _ აბლუკუნდა ლასე.

_ სკოლაში! _ მივუგე მე. _ იქნებ ამის მერე მაინც აღარ თქვათ, მარტო ძაღლები დაჰყვებიან ადამიანებსო.

_ ლიზი, შენ ცუდად ხომ არა ხარ? _ გაშტერდა ლასე.

_ დედამ და მამა იციან, რომ მოგყავს? _ მკითხა ბოსემ.

ცოტა არ იყოს შევცბი, იმიტომ რომ დედისა და მამისათვის კითხვა არ მომფიქრებია. მაგრამ ამ დროს ანამ სიხარულით შემოჰკრა ტაში და გამოაცხადა, თუ ელვას მისცეს გაკვეთილზე დაჯდომის ნება, პონტის უფრო არ დაუშლიანო.

სწორედ ისა თქვა, რასაც მე ვფიქრობდი. ლასეს გაეცინა:

_ კარგით, კარგით. წამოვიდეს, ოღონდ მასწავლებელს კი გულს შემოეყრება!

გავიქეცით ყველანი სკოლისაკენ, პონტიც უკან დაგვედევნა. ოღონდ ზოგჯერ წამით შეჩერდებოდა, თითქოს უკვირდა, რატომ გავრბივართო. მაგრამ დავუძახებდი: «პონტი! პონტი!» და ისიც «ბეე»-ს ბღავილით ისევ დამეწეოდა ხოლმე.

იმ დღეს სკოლაში, რასაკვირველია, დაგვაგვიანდა. ზარი დარეკილი იყო და ბავშვები უკვე კლასში ისხდნენ.

კართანას საფეხურებზე პონტიმ წაბორძიკა და ხელში აყვანა მომიწია.

_ ცოტა ადრე ხომ არაა მაგის სკოლაში სიარული? _ შეყოყმანდა ლასე.

თვითონ ლასე, პირველად სკოლაში რომ მივიდა, მერხზე ისე წრიალებდა, მასწავლებელმა თქვა, ცოტა ადრეა მაგისი სკოლაში სიარული, ეტყობა, თამაშით გული არ მოუჯერებიაო. ლასეს ის ნათქვამი აქამდე არ დავიწყებია, ამიტომაც თქვა, ადრე ხომ არაა პონტის სკოლაში სიარულიო.

ბრიტამ საკლასო ოთახის კარი გამოაღო.

_ ბოდიში, ცოტა დაგვაგვიანდა, _ უთხრა მასწავლებელს.

ულე ახითხითდა. ჩვენ ვიდექით და ჩუმად ველოდით, როდის მოგვცემდა შესვლის ნებას. ულე კი ხითხითებდა და ხითხითებდა, თითქოს ვინმე უღიტინებსო.

_ რატომ ხარ ასე მხიარულად? _ ჰკითხა მასწავლებელმა.

პონტი ჩემს უკან იდგა და ვერავინ ხედავდა. უცებ თავი წინ გამოყო და «ბეეო», დაიბღავლა.

მოულოდნელობისაგან მოწაფეებიც შეხტნენ და მასწავლებელიც.

_ ღმერთო ჩემო! _ წამოიძახა გაკვირვებულმა მასწავლებელმა. _ მგონი, ბატკანი გყავთ მოყვანილი.

_ ლიზიმ მოიყვანა... _ თქვა ბოსემ და გაჩუმდა: შეეშინდა, მასწავლებელი არ გამჯავრებოდა.

მეც გული ამიკანკალდა.

_ წინებზე შინაურ ცხოველებზე ვკითხულობდით, _ ვთქვი წყნარად, _ და მე...

_ რა შენ? _ მკითხა მასწავლებელმა.

_ გადავწყვიტე, რომ კარგი იქნებოდა, ცოცხალი ბატკანი მეჩვენებინა... _ ვთქვი პირველივე, რაც თავში მომივიდა.

გაეცინა მასწავლებელს. აუტყდათ სიცილი ბავშვებს. ყველაზე მეტად ულე იცინოდა, ისე იცინოდა, მუცელი უბუყბუყებდა.

პონსტი მასწავლებლის მაგიდასთან მივიყვანეთ. ბავშვები სათითაოდ მიდიოდნენ და ხელს უსვამდნენ. მერე ხმამაღლა წავიკითხეთ წიგნში ცხვრებზე, მე კი მოვყევი, როგორ გამოვკვებე პონტი საწოვარათი. პონტი ყველას მოეწონა და ვუმღერეთ კიდეც. მაგრამ, მგონი, ხმაურით დავღალეთ და თავისი ბაკი მოენატრა. თუმცა წესიერად იქცეოდა, გაკვეთილის ბოლომდე მშვიდად იდგა ჩემს მერხთან, თითქმის მშვიდად. ოღონდ ხანდახან წყნარად ბღაოდა და მაშინვე სიცილი უტყდებოდა ულეს. დდებდა თავს მერხზე და ისე გადამდებად იცინოდა, მთელი კლასი აჰყვებოდა ხოლმე.

კარგ ამინდში დიდ დასვენებაზე სკოლის კართანაზე ვსაუზმობთ. იმ დღესაც ასე იყო. მე თან ერთი ბოთლი რძე მქონდა წამოღებული და ნახევარი პონტის ვუწილადე. ანამაც მისცა ნახევარი ბოთლი. მერე მასწავლებლის ბოსტანში ამოწვერილი სტაფილოთიც მოუნდა პირის ჩატკბარუნება... ვინ დაანება! იქაურობას მოვაშორე და წესიერად მოიქეცი-მეთქი, ვუთხარი.

გაკვეთილები რომ დამთავრდა და შინ წასასვლელად გავემზადეთ, ლასემ თქვა:

_ ხვალ მსხვილ რქოსან საქონელს გავდივართ, რა მაგარი იქნება, ჩვენი ხარი რომ მოვიყვანო!

ულეს სიცილისაგან სლოკინი აუტყდა.

_ ოღონდ მეშინია, რომამ მერხებს შუა ცოტა ვიწროობამ არ შეაწუხოს.

მაგრამ მასწავლებელმა გაგვაფრთხილა, სკოლაში ცხოველები აღარ მოიყვანოთ, თუნდაც ბუნებისმეტყველებაში გავდიოდეთ. ეს უკვე მეტისმეტიაო.

_ ჰო, განსაკუთრებით, როცა ნიანგზე გადავალთ, _ თქვა ანამ.

სიცილსაგან აღმუვლებულმა ულემ ძლივს ამოილუღლუღა:

_ მაშინ მე მოვიყვან ნიანგს.

შინ რომ მივდიოდით, პონტი დაიღალა და ფერდობზე რიგრიგობით ვიტატებდით ხელში. ბაკში რომ შევუშვით, ერთი ხმამაღლა დაიბღავლა და სწრაფად გაკუნტრუშდა ცხვრებისაკენ.

_ არა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ადრეა მაგისი სკოლაში სიარული, _ თქვა ლასემ.

რას ვაკეთებთ გზაში, როდესაც სკოლიდან შინ ვბრუნდებით

სკოლიდან რომ შინ ვბრუნდებით, ყოველთვის მხიარულ გუნებაზე ვართ. ვლაპარაკობთ სკოლაზე, ვყვებით ზღაპრებს, ვოცნებობთ, რა უნდა გამოვიდეთ, როცა დიდები გავიზრდებით დავძვრებით ხეებზე, ვისვენებთ გზის პირას და, რა ვიცი, როგორ აღარ ვირთობთ თავს.

დედას სულ უკვირს, ვერ გამიგია, რატომ გჭირდებათ სკოლიდან დაბრუნებისათვის უფრო მეტი დრო, ვიდრე სკოლაში წასვლისთვისო. მე თვითონაც ვერ ვხვდები, რატომ გვემართება, მაგრამ ასე კი გამოდის.

ერთხელ, როცა მეტისმეტად გვიან დავბრუნდით, დედამ მთხოვა, მომეყოლა, რას ვაკეთებდით იმ დღეს გზაში.

მეც ავდექი და ყველაფერი, როგორც იყო, ისე მოვუყევი.

თავდაპირველად დუქანში შევედით და ბაბუას შაქარყინული ვუყიდეთ. ბაბუას ძალიან უყვარს შაქარყინული და ხშირად ვყიდულობთ ხოლმე. დუქანში ბრიტა გაიქცა, დანარჩენები კი ველოდებოდით. სული მიგვდიოდა, ისე გვინდოდა თითო ცალი აგვეღო, მაგრამ ბრიტამ პარკი პორტფელში ჩადო და გვითხრა:

_ ყველამ რომ თითო აიღოთ, ბაბუას ცარიელი პარკიღა დარჩება.

_ სწორია, _ დაეთანხმა ლასე. _ ჩქარა ვიაროთ, თორემ რა იცი, რა მოხდება!

და ჩვენც გავწიეთ სახლისაკენ. ბოსემ კი, ის ხომ საშინელი სუსნიაა, თქვა:

_ ერთი კრონი მაინც რომ მქონდეს, იმითი სულ შაქარყინულს ვიყიდიდი.

_ საიდან უნდა გქოდნეს? _ გაეცინა ანას.

_ რატომ? არ შეიძლება შემთხვევით ვიპოვო? _ იკითხა ბოსემ.

_ შემთხვევით ვერ იპოვი! _ უპასუხა ბრიტამ. _ კრონები მიწაზე ყრია, შენ კი სულ ცაში იყურები!

ბოსეც ადგა და ფეხქვეშ დაიწყო ყურება. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ვერ მოვასწარით, რომ კრონი იპოვა.

სასწაული თუ გინდა, ესაა, არა?

ალბათ, გნომებმა გაიგონეს, რაზეც ვლაპარაკობდით და ბოსეს კრონი მიუგდეს: მონეტა გზის განშტოებაზე ეგდო. ბოსე ისე მიშტერებოდა, თითქოს თვალებს არ

უჯერებსო. მერე სტაცა ხელი და ისევ დუქანში გაიქცა შაქარყინულის საყიდლად. ჩვენ კი ვუცდიდით გზაგასაყარზე.

_ არც კი ვიცოდი, ასე ადვილი თუ იყო ფულის პოვნა! _ თქვა გაკვირვებულმა ბოსემ, როცა შაქარყინულით გაგვიმასპინძლდა. _ ვინ იცის, რამდენი ფული დავკარგეთ ტყუილად!

ახლ აყველამ ფეხქვეშ დავიწყეთ ყურება. უცებ ლასემ ინატრა:

_ ნეტა ერთი კრონი მომცა!

იფიქრა, გნომი ჩემთვისაც გაიმეტებს კროსო. გაგიგონია, ვერაფერი იპოვა. რას იზამდა, დათმობაზე წავიდა:

_ რა იქნება, ნახევარი კრონი მაინც მაპოვნინა.

მაგრამ ვერც ნახევარი კრონი იპოვა.

_ ათი ერე მაინც იყოს! _ თქვა ხვეწნით, ისე ძალიან უნდოდა თვითონაც ეპოვა ფული.

_ აი, ნახავთ, ერთ ერეს მაინც ვიპოვი! _ დაგვექადნა ლასე.

მაგრამ არც იმას და არც ჩვენ არაფერი გვიპოვია...

მივაბიჯებდით შინისაკენ და თან შაქარყინულს ვწუწნიდით. ძალიან ჩქარ-ჩქარა ვჭამთ შაქარყინულსო, გვითხრა ბოსემ და შემოგვთავაზა, ერთმანეთს შევეჯიბროთ, ვინ უფრო მეტხანს მოახერხებს მის წუწნასო. მართლაც, შაქარყინული ისე სწრაფად აღარ ქრებოდა. ასე მივდიოდით და ვეჯიბრეობდით ერთმანეთს. ყველას თითო შაქარყინლუ გვედო ენაზე და ნელ-ნელა ვწუწნიდით. რამდენიმე ხნის შემდეგ შევჩერდით, გამოვყავით ენები და დავიწყეთ დარჩენილი შაქარყინულის შედარება. ეს ხარაზის სახლის წინ მოხდა. მან ფანჯრიდან დაგვინახა და დაგვიყვირა, თქვენს შორის ერთი ნორმალური მაინც თუ არის, წაუღოს აგდას თავისი ფეხსაცმელები, რომლებიც ეს-ეს არის შევაკეთეო. მაშინვე დავმუწეთ პირი: არ გვინდოდა ჩვენი შაქარყინულისათვის გარეშე ხალხს ეჭვრიტა (ისე ამ შეჯიბრში ბრიტამ გაიმარჯვა). ლასემ გამოართვა ხარაზს ფეხსაცმელები და ჩანთაში ჩაიდო.

მერე ულემ და სხვა შეჯიბრი მოიგონა: ვინ უფრო მეტხანს გაძლებდა ჩაუსუნთქავად. დაივწყეთ ისევ შეჯიბრი, ოღონდ ხარაზის სახლს მოვცილდით. რა ვიცით, იქნებ იმას ეს შეჯიბრიც არანორმალური მოჩვენებოდა.

დიდხანს არ ვსუნთქავდით. თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამიტომ არ დაგვიგვიანია. ლასემ გამოგვიცხადა, მე გავიმარჯვეო, მაგრამ ულე არ დაეთანხმა:

_ არაფერიც, ბოსემ გაიმარჯვა, ის შენზე მეტად გალურჯდა! _ უთხრა ულემ და, გადაწიტებაში შევეჯიბროთ ერთმანეთსო, შემოგვთავაზა _ ოღონდ გოგოები ნუ ჩაგვერევიან, ამათ არ იციან გადაწიტებაო, _ დააყოლა.

გული მოგვივიდა მე, ანას და ბრიტას. აბა რა, იმათზე ნაკლებად კი არ ვიცოდით გადაწიტება. ბრიტამ უთხრა, იცოდეთ, თუ შეჯიბრს უჩვენოდ ჩაატარებთ, ხვალ ჩემს დაბადების დღეზე არც ერთი აღარ მოხვიდეთო. ჰოდა, ჩაგვრიეს ჩვენც შეჯიბრში. ამჯერად, რასაკვირველია, ლასემ გაიმარჯვა, სამაგიეროდ, ანამ ბოსეზე და ულეზე შორს გადააწიტა.

ამასობაში იმ მდელოს მივადექით, ხარაზს რომ ეკუთვნოდა. იქაურობა ნაღრუვალ წყალს დაეფარა და ტბას ჰგავდა, ხოლო შუაში დაგდებული ბრტყელი ქვა კუნძულივით ამოჩრილიყო წყლიდან.

_ მე ქვაზე ავდივარ! _ თქვა ლასემ.

ყველას მოგვინდა ქვაზე ასვლა. ლასემ ხარაზს მესერიდან ორი ლატანი გამოაძრო და ბოლოები ქვაზე გადო. გამოვიდა წანწალა და იმით რიგრიგობით გადავედით ქვაზე. პირველად, რა თქმა უნდა, ლასე გადავიდა.

მზე ანათებდა და ძალიან გვსიამოვნებდა დიდ თბილ ქვაზე ჯდომა.

_ რა კარგი იქნებოდა, რამე საჭმელიც რომ გვქონოდა! _ წაიწუწუნა ანამ.

მაგრამ არაფერი გაგვაჩნდა. შაქარყინულიც გაგვითავდა. ლასემ გახსნა თავისი ჩანთა. შიგ ფეხსაცმელები და ყველიანი ბუტერბროდი ედო, რომლის შეჭმაც სკოლაში ვერ მოასწრო.

და დავიწყეთ თამაში, თითქოს ქვა საჭემოშლილი ხომალდი იყო, ჩვენ კი მეზღვაურები და შიმშილით სიკვდილი გველოდა. ლასემ თავისი ბუტერბროდი ექვს ტოლ ნაწილად გაყო და ყველას ჩამოგვირიგა.

_ შვილებო! _ გვითხრა ნაღვლიანად. _ ეს ერთადერთია, რაც სიკვდილს გვაშორებს. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, მიბაძეთ თქვენს კაპიტანს, რომელიც არ კარგავს სულის სიმტკიცეს.

კაპიტანი, რა თქმა უნდა, თვითონ იყო. კაპიტანმა თავის ნათქვამს დაუმატა:

_ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ წყალი არა გვაქვს და შიმშილით კი არ მოვკვდებით, წყურვილით დავიხოცებით. ყველას ტანჯვით სიკვდილი გველის!

_ ჰო, მაგრამ წყალში არა ვსხედვართ? _ ჰკითხა ბოსემ სიცილით.

_ ნამდვილი სულელი ხარ! _ მიახალა ლასემ. _ ეს ხომალდი ოკეანეში მიცურავს და კაპიტანი საკუთარი ხელით მოუღებს ბოლოს, ვინც გაბედავს მლაშე წყლის დალევას. იმიტომ, რომ მლაშე წყლისაგან ადამიანები ჭკუიდან იშლებიან. _ ლასე გაწვა ქვაზე და ბორგვა დაიწყო, თითქოს შიმშილისა და წყურვილისაგან ბოდავდა.

_ მე მგონია, ცოტა მარიალინი წყალი მაინც ჩაეყლაპა. ხომ ხედავთ, შეიშალა, _ თქვა ბოსემ.

ლაე მუხლებზე წამოიწია და ხმამაღლა აღრიალდა:

_ მიშველეთ! მიშველეთ!

მის ყვირილს ექოც კი გამოეპასუხა.

და, როგორ გგონიათ, ვინ მოიჭრა ლასეს გადასარჩენად? რა თქმა უნდა, ხარაზი. ეგონა, ლასეს მართლა სჭირდება დახმარებაო. როცა მიხვდა, კი არ უჭირთ, თამაშობენო, საშინლად გაბრაზდა.

_ როგორც შეხვედით, ისევე გამოდითო! _ მოგვაყვირა, მაგრამ მაინც შემოტოპა წყალში და თითო-თითო გადმოგვიყვანა გზაზე.

თუმცა ხარაზი რეზინის ჩექმებში იყო და ძალიანაც გვლანძღავდა, ჩემი აზრით, მაინც კეთილშობილურად მოიქცა, ჩვენს საშველად რომ მოვარდა. მან ხომ არ იცოდა, დახმარება რომ არ გვჭირდებოდა.

ჩვენც ავჩქარდით, რომ დროზე გავცლოდით იქაურობს. ხარაზი უკან მოგვძახოდა, მომაძულეთ თავი ამ ბიულერბიუელმა ბავშვებმა. არ ვიცი, რას გიზამთ, მეორედ თუ გაბედეთ ჩემი მესერის ხელის ხლებაო.

წამოვედით იქიდან. გზაში შემთხვევით ლასეს ჩანთას შევავლე თვალი და შევამჩნიე, რომ ცარიელი იყო.

_ ფეხსაცმელები რა უყავი-მეთქი? _ ვკითხე.

ლასემ მხრები აიჩეჩა, ალბათ, ქვაზე დამრჩა, როცა ჩანთიდან ბუტერბროდს ვიღებდიო.

დავბრუნდით ისევ ქვასთან და გაზეთში გახვეული ფეხსაცმელები დავინახეთ. ოღონდ ლატანები წაეღო ხარაზს. ლასემ გვითხრა, მოდით, ფეხზე გავიხადოთ და პირდაპირ წყალში შევტოპოთო. ასეც მოვიქეცით. წყალი არც ისე ცივი იყო და თამაში დავიწყეთ: ქვა მეჩეჩზე გამორიყული ხომალდი იყო, ჩვენ კი მეკობრეები ვიყავით, რომელთაც ამ ხომალდიდან განძი, ესე იგი, ფეხსაცმელები უნდა გაეტაცნათ. მაგრამ ხომალდსაც და განძსაც სხვა მეკობრეები იცავდნენ. მარდად დავრბოდით ხომალდის

გარშემო და ვესროდით მტერს. მერე ლასემ გვიბრძანა და ხომალდზე პირში დანაგაჩრილები ავძვერით. დანები ჩვენი კალმისტრები იყო. ყველანი რომ დავდექით ქვაზე, ლასემ ფეხსაცმელები მაღლა ასწია და აყვირდა:

_ ვაშა! ნადავლი ჩვენია! სიკვდილი არ ასცდება, ვინც გაბედავს ჩვენთან მოახლოებას.

მოახლოება ხარაზმა გაბედა. აბა, იმ ადგილას სხვა ვინ მოვიდოდა! საწყალი ხარაზი! მართლა ძალიან შემეცოდა, როცა დაგვინახა და მიხვდა, რომ წეღან ტყუილუბრალოდ მოგვეშველა. საცოდავს, ჯერ ენა ჩაუვარდა, მერე კი დაგვიღრიალა:

_ აქედან დაიკარგეთ! მომშორდით, სანამ არ დამიხოციხართ!

მაშინვე ჩამოვხტით ქვიდან, ვტაცეთ ხელი ჩვენ-ჩვენ ფეხსაცმელს და მოვკურცხლეთ. აგდას ფეხსაცმელები კი ისევ ქვაზე დარჩა. ხარაზი დიდხანს მოგვძახოდა, ბიულერბიუში საკმარისი ადგილია, თუ ღრიალი და გადარევა გინდათო.

გზაში მეტი აღარსად შევჩერებულვართ, გარდა ერთი ადგილისა, სადაც ბოსემ ბუდე გვიჩვენა. რიგრიგობით ვძვრებოდით ხეზე და ვათვალიერებდით ბუდეს. ბუდეში ოთხი პაწაწკინტელა მოცისფრო კვერცხი იდო. ბოსეს აქვს ასეთები თავის კოლექციაში.

როცა მოყოლა დავამთავრე, დედამ მითხრა:

_ ახლა კი ვხვდები, რატომ ბრუნდებით სკოლიდან ასე გვიან.

ლასე კი აგდასთან წავიდა და უთხრა, ხვალ მოგიტან შენს ფეხსაცმელებს, რომლებიც ხარაზმა ეს-ეს არის შეაკეთა, ნუ გეშინია, ისინი საიმედო ადგილასაა შენახული და არ დაიკარგებაო. ერთი ხომალდის ნამსხვრევებზე აწყვია, მეკობრეები და გულბრაზიანი ხარაზი იცავენო.

როგორ ამოვაძვრეთ ულეს კბილი

ერთხელ მასწავლებელმა ჰკითხა ულეს:

_ სულ პირში რატომ გაქვს თითი?

ულე შეცბა:

_ კბილი მერყევა და იმიტომ...

_ სახლში რომ მიხვალ, ამოიღე, _ უთხრა მასწავლებელმა. _ ახლა არითმეტიკაში წავიმეცადინოთ, ხვალ კი ულე კბილს მაგივრად ღრმულს გვაჩვენებს.

გული გაუსკდა ულეს. როგორ მაგრადაც არ უნდა ერყეოდეს, მაინც ძალიან ეშინია კბილის ამოძრობა. მეც ძალიან მეშინია, მაგრამ ცოტა ულეზე ნაკლებად.

_ სისულელეა! სარძევე კბილის ამოღება სულ არაა მტკივნეული, _ ამბობს მამაჩემი.

შეიძლება არცაა, მაგრამ მაინც მეშინია! ყოველ ამოღებულ კბილში მამა ათ ერეს გვაძლევს. თვითონ, რა თქმა უნდა, მხოლოდ სარძევე კბილებს გვაძრობს. ჯერჯერობით ისინიც საკმაოდა გვაქვს. მე თუ მკითხავ, ადამიანს ყოველთვისა აქვს მოყანყალებული კბილები. აი, ბოსეს კი სულ არ ეშინია კბილის ამოღება. მოამბავს კბილზე აბრეშუმის ძაფს _ ერთი, ორი, სამი! _ და კბილი თითქოს არცა ჰქონია. ამიტომ, ჩემი აზრით, გასამრჯელოს არც უნდა უხდიდნენ. მამა კი მაინც უხდის _ სიმამაცისათვის.

შინ რომ ვბრუნდებოდით, ულემ ყვლას გაგვასინჯა კბილი. მართლაც ძალიან ერყეოდა.

_ გინდა, ისე ამოგიღებ, რომ ვერც გაიგებ, _ შესთავაზა ბოსემ.

_ არ მინდა! _ მოუჭრა ულემ და მთელი გზა მოღუშული მოდიოდა, ხმაც არავისთვის გაუცია.

_ შენცა ხარ რა, რაღაც სარძევე კბილისათვის ცხვირის ჩამოსვება შეიძლება? _ ვუთხარი ულეს.

როცა კბილი შენ კი არა, სხვამ უნდა ამოიღოს, სულ არ გეჩვენება საშიში.

_ მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ! _ თქვა ლასემ. _ შინ რომ მივალთ, კბილს ძაფს მივაბამთ, ძაფის მეორე ბოლოს კი მესერზე დავამაგრებთ. მერე გავახურებთ მავთულს და ცხვირში შეგიყოფ. შენ გვერდზე გახტები და კბილიც მოგძვრება.

_ მეტი საქმე არა მაქვს!_ შუბლი შეიკრა ულემ. ჭკუაში არ დაუჯდა ლასეს აზრი. მაგრამ სახლში რომ მივიდა, მაინც გამოიბა კბილზე აბრეშუმის ძაფი და ქაჩვა დაუწყო, უფრო მოყანყალდესო. ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ უნდა ამოეღო, რომ მეორე დღეს ყველასთვის ეჩვენებინა ღრმული. არ იზამდა და მასწავლებელი მიხვდებოდა, რომ შეეშინდა. ამისი კი უფრო მეტად ეშინოდა.

_ აი, ნახავ, ხვალ მასწავლებელს შენი კბილი არც გაახსენდება, _ მის დამშვიდებას შეეცადა ანა.

მაგრამ ყველამ მშვენივრად ვიცოდით, რომ ჩვენს მასწვლებელს არასდროს არაფერი ავიწყდება.

_ სასწაული მეხსიერება აქვს, _ ამბობს ხოლმე ლასე.

საღამოობით, ჩვეულებისამებრ, გზაზე ჩოგბურთს ვთამაშობდით. ულე კბილზე ძაფმობმული გამოვიდა. ძალიან სასაცილო იყო: მირბოდა და უკან ძაფი მისთრევდა. დაავიწყდებოდა ცოტა ხნით თავისი კბილი და დაიწყებდა მხიარულ სიცილს, მერე უცებ მოიქუფრებოდა, შეშინებული დაქაჩავდა ძაფს და ოხრავდა.

_ უკვე შვიდი საათია, შენი კბილი კი ისევ თავის ადგილასაა. _ უთხრა ლასემ. _ მოდი, გავახუროთ მავთული!

ბოსემ გააღებინა პირი და ჩაიხედა.

_ უჰ, ბეწვზე გკიდია, საცაა მოგძვრება.

ულე შეკრთა _ ბეწვზე ჰკიდია, მაგრამ მაინც საშიშია.

_ რას ჩამაცივდით! _ გაბრაზდა ბოლოს. _ ეს ოხერი ჩემი კბილია, თქვენი ხომ არა!

_ რა თქმა უნდა, შენია! ჰოდა, გვითხარი, როდის ამოიძრობ, _ საქმეში ჩაერია ბრიტა.

ულემ მოქაჩა და მოქაჩა ძაფი.

_ შეიძლება ხვალ დილით მოვიძრო, _ თქვა საბრალომ და შინისკენ გაიქცა.

_ ძალიან მეცოდება, გვითხრა ლასემ, _ და მოვიფიქრე კიდეც, როგორ უნდა ვუშველო! როცა დაეძინება, იმის ოთახში გადავძვრები და ამოვძრობ კბილს!

_ არაფერი გამოგივა! _ ვუტხარით უიმედოდ.

_ მაგასაც ვნახავთ! კბილის ექიმი ლარს ერიქსონი ნარკოზით იღებს კბილს.

ყველანი ლასეს და ბოსეს ოთახში გავიქეცით და დავიწყეთ ლოდინი. კარგად გვესმოდა, რა ხდებოდა ულეს ოთახში. ბოლოს ლასემ დაუძახა:

_ ულე, რატომ არ წვები?

_ შენ თვითონ დაწექი, თუ გინდა! _ უპასუხა ულემ.

_ უკვე ვწერვარ! _ დაუყვირა ლასემ. აგვიტყდა ფხუკუნი, იმიტომ, რომ ლასე იატაკზე იყო გაწოლილი.

_ ულე, გძინავს? _ ახლა ბოსემ დაუძახა რამდენიმე წუთის შემდეგ.

_ ვინ მაძინებს, რო! _ დაუღრინა ულემ.

მაშასადამე, უკვე ლოგინში იწვა.

_ ულე, ჩააქრე შუქი! _ დაუყვირა ლასემ.

_ შენ თვითონ ჩააქრე! _ გამოეპასუხა ულე.

ლასე ასეც მოიქცა. ახლა სიბნელეში ველოდით ულეს დაძინებს. მალე იმანაც ჩააქრო შუქი.

_ მგონი, მე თვითონ დამეძინება, _ მთქნარება აუტყდა ანას.

უცებ ვიგრძენით, რომ ულე ცაცხვზე მოძვრებოდა. მე, ანა და ბრიტა კარადაში შევიმალეთ, ლასე და ბოსე ტანსაცმლიანად შეწვნენ ლოგინში და ნიკაპამდე დაიმალნენ საბნებში.

_ ბოსე, გძინავს? _ თავი შემოყო ფანჯარაში ულემ. _ იცი რა, ხვალ შეიძლება ავად გავხდე და სკოლაში ვეღარ წამოვიდე. ამიტომ ნუ დამელოდებით.

_ ავად რა გაგხდის? _ ჰკითხა ლასემ. _ დროზე დაიძინე და არავითარი ავადმყოფობა არ მოგერევა.

_ მუცელი მტკივა! _ წაიკვნესა ულემ და უკანვე გაბობღდა. დარწმუნებული ვარ, მუცელი შიშისაგან ასტკივდა.

იმდენ ხანს ველოდით, კინაღამ თვითონ დაგვეძინა.

_ ახლა კი ნამდვილად სძინავს, _ თქვა ლასემ და ცაცხვზე გადაძვრა.

_ ულე, გძინავს? _ ჰკითხა ჩურჩულით.

_ მძინავს, _ გამოეპასუხა ულე.

ცოტა კიდევ მოვიცადეთ. ბოლოს და ბოლოს, ლასემ გამოგვიცხადა, თუ ულეს კიდევ არ დაუძინია, მაშასადამე, მართლა ავადაა და ექიმის მოყვანაა საჭიროო. ჩუმად, ცოცვა-ცოცვით მივყევით ლასეს. მას თან ფარანი ჰქონდა. აანთო ფარანი და მაშინვე დავინახეთ, რომ ულეს ეძინა, პირიდან კი ძაფი ჰქონდა გამოჩრილი. ისეთმა შიშმა შემიპყრო, თითქოს კბილი ჩემთვის უნდა ამოეძროთ.

ლასემ ჩაავლო ძაფს ხელი და თქვა:

ერთი, ორი, სამი,
არ დაკარგო წამი,
აბა, ჩახმახს, მიდი,
გამოჰკარი თითი!

«გამოჰკარი თითი» რომ თქვა, მოქაჩა ლასემ ძაფი და ყველამ დავინახეთ ზედ მოქანავე კბილი. ულე არც განძრეულა, მხოლოდ წაიბუტბუტა:

_ ოჰ, როგორ მტკივა მუცელი!

ბოსეს უნდოდა გაეღვიძებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. ლასემ თქვა, ასე უკეთესიცაა, დაე, იფიქროს, კბილი მოჩვენებამ ამომძროო კბილგამობმული ძაფი კი ნათურაზე ჩამოკიდა.

დილით ულე საღ-სალამათი წამოდგა. თავის ჭიშკართან იდგა და, ჩვეულებისამებრ, გველოდა. თან ყურებამდე იღიმებოდა, რომ ამოღებული კბილის ღრმული დაგვენახა.

_ ეს შენ ჰქენი? _ ჰკითხა ლასეს.

ჩვენც ვუამბეთ, როგორ ამოაძრო ლასემ ძილში კბილი. ულე ჩაკუჭკუჭდა, როცა გაიგო ძილში ვლაპარაკობო. მერე სულ ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა და ფეხს ურტყამდა გზაზე დაყრილ კენჭებს.

_ თურმე არ ყოფილა ძნელი კბილის ამოძრობა! _ ამბობდა გახარებული.

_ რა თქმა უნდა, თუ ნარკოზით იღებ, _ უპასუხა ლასემ.

ჰოდა, გადავწყვიტეთ ერთმანეთისთვის კბილები ყოველთვის ძილში ამოგვეღო. ოღონდ მარტო სარძევე კბილები.

სკოლაში ულე მასწავლებელთან მივიდა და უთხრა:

_ ნახეთ, კბილი ამოვიძვრე!

_ კი, შენ ამოიღე ზუსტად! _ ჩაიდუდღუნა ლასემ, მაგრამ მასწავლებელს არ გაუგონია.

ჩვენ თვითონ არ ვიცით, რას ვშვრებით

მე და ანას ერთი საყვარელი ადგილი გვაქვს სამრეცხაოს უკან, სადაც პირველი იები ამოდის ხოლმე. მეორე ადგილიცა გვაქვს. აქ კიდევ პირველი ჩიტისთავა ჰყვავის. ენძელა კი ყველგან იმდენია, თვალები აგიჭრელდება. ხანდახან ვკრეფთ ენძელას, იასა და ჩიტისთავას და ლამაზ თაიგულებს ვკონავთ. ასეთ თაიგულს თუ დავყნოსავ, თვალები დახუჭული რომ გქონდეს და ვერაფერს ხედავდე, მაინც მიხვდები, რომ გაზაფხული მოვიდა.

მე და ანას სხვა საყვარელი ადგილებიც გვაქვს, რომელიც გაზაფხულობით ძალიან ლამაზია. ერთი ასეთი ადგილი ღრმა ხევშია. იქ ხის ორი ყუთიც მივათრიეთ. ხევის ძირას ნაკადული მოჩუხჩუხებს, მაგრამ, ჩვენ რომ ვთამაშობთ, ის ადიგლი თითქმის მშრალია. ირგვლივ ხშირი შოთხვნარია და, ასე გვგონია, მწვანე დარბაზში ვსხედვართ. ბრიტა კი ამას ვერა ხვდება. ერთხელ, ხევში რო ვისხედით, ჩვენთან მოვიდა, თავი ბუჩქებში შემოყო და გვკითხა:

_ აქ რას შვრებით?

მე და ანამ ერთმანეთს გადავხედეთ.

_ თვითონაც არ ვიცით, რას ვშვრებით, _ ვუპასუხე ორივეს მაგივრად.

ასე იმიტომ ვუპასუხე, რომ მართლა არ ვიცოდით, რას ვაკეთებდით. ბრიტამ კი გვითხრა: თუ ადამიანმა არ იცის, რას შვრება, მაშასადამე, არაფერსაც არ აკეთებს და აჯობებს, რამე საქმე გამოძებნოსო. მაგრამ მე და ანა მაინც ხევში დავრჩით. ჩვენს ირგვლივ თეთრყვავილა ღაღანებდა. მე უცებ მივუბრუნდი ანას და პრინცესა თეთრყვავილა მქვია-მეთქი, ვუთხარი.

_ მე კი პრინცესა ფურისულა, _ არ ჩამომრჩა ანა.

_ ეს ჩემი მწვანე სასახლეა! _ ვთქვი ნაზად.

_ შენი კი არა, ჩემია! _ შემედავა ანა.

ჰოდა, კინაღამ წავიჩხუბეთ იმ სასახლის გამო. მერე მოვიგონეთ, ვითომ პრინცესა თეთრყვავილა და პრინცესა ფურისულა ტყუპები იყვნენ და ერთად ცხოვრობდნენ მწვანე სასახლეში.

_ ოჰ, ჩემო მწვანე სასახლევ! ოჰ, ჩემო ჩუხჩუხა ნაკადულო! _ თქვა ანამ ისეთი ხმით, როგორითაც ლაპარაკობს, როცა ვთამაშობთ ხოლმე.

მეც ანასავით გავიმეორე:

_ ოჰ, ჩემო მწვანე სასახლევ, ოჰ, ჩემო ჩუხჩუხა ნაკადულო! _ მერე თმაში შოთხვის შტო ჩავიმაგრე. ანაც ასე მოიქცა.

_ ოჰ, ჩემო თეთრო-თეთრო ყვავილებო! _ ვთქვი და დაველოდე, როდის გაიმეორებდა ანა.

მაგრამ მას ჩემი სიტყვები არ გაუმეორებია.

_ ოჰ, ჩემო თეთრო-თეთრო... ბოცვრებო! _ თქვა ანამ.

_ რომელ ბოცვრებზე ლაპარაკობ? _ გამიკვირდა ძალიან.

_ მოჯადოებულებზე, _ მიპასუხა ანამ.

და დაამატა, ჩემთან მწვანე სასახლეში ოქროს გალიაში ორი მოჯადოებული თეთრი ბოცვერი ცხოვრობსო.

სიცილი ამიტყდა, სადა გაქვს გალია-მეთქი.

უცებ ბაყაყი დავინახე.

_ ოჰ, ჩემო პატარა მოჯადოებულო ბაყაყო! _ ვუთხარი და იმავ წუთს ხელი ვტაცე. ყველამ იცის, რომ ბაყაყების უმრავლესობა მოჯადოებული პრინცებია. ყოველ

შემთხვევაში, ზღაპრებში ასეა. ანამ, რასაკვირველია, იცოდა ეს და ცოტა შეშურდა კიდეც, რომ მე მყავდ აბაყაყი, იმას კი _ არა.

_ დამაჭერინე რა ცოტა ხანს! _ შემეხვეწა ანა.

_ შენი თეთრი ბოცვრები დაიჭირე! _ ვუპასუხე მე.

მაგრამ ანა ისე შემომიჩნდა, რომ დავუთმე და მივეცი ბაყაყი.

_ გავიხედოთ და მართლა მოჯადოებული პრინცია! _ თქვა ანამ.

_ შენ, მე მგონი, შოთხვმა გამოგაშტერა, _ ვუთხარი ანას და ჩავფიქრდი.

ალბათ, მეც გამომაშტერა იმ შოთხვმა, იმიტომ რომ ასე ვფიქრობდი: «ვინ იცის, იქნებ მართლა მოჯადოებული პრინცია. იქნებ ოდესღაც უბრალო ბაყაყად ჩათვალეს და ვერც ერთმა პრინცესამ ვერ მოიფიქრა ეკოცნა მისთვის. მერე მიავიყწდათ და დარჩა ბაყაყად. ჰოდა, ცხოვრობს მას მერე ამ ხევში».

ჩემი ნაფიქრი ანას გავანდე: წარმოგიდგენიათ, თურმე ისიც ამასვე ფიქრობდა.

_ მაშ, კარგი. რაკი ასეა, მისი კოცნა მოგვიწევს, _ ვუთხარი ანას.

_ უჰ, რა საზიზღრობაა! _ დაიღრიჯა ანა.

მე დავუტიე: ძველად რომ ყველა პრინცესა შენსავით სულელი ყოფილიყო, ჩვენს თხრილებში ახლაც იქნებოდნე მოჯადოებული პრინცები-მეთქი.

_ ჩვენ ხომ ნამდვილი პრინცესები არა ვართ, _ შეეცადა თავის მართლებას ანა.

_ დიდი საქმე! მაინც უნდა ვცადოთ, _ ვთქვი გადაჭრით.

_ პირველი ხარ! _ წამოიძახა ანამ და მოჯადოებული ბაყაყი გამომიწოდა.

გამოვართვი ბაყაყი და შევხედე. იმის გაფიქრებზე, უნდა ვა

??

??

_ და ბაყაყს შეხვდა მთელი სამეფო და ნახევარპრინცესა სართად! _ წაიწრიპინა ულემ და ხარხარით გაგორდა მიწზე.

წამოავლო ანამ ცარიელ ქილას ხელი, აავსო წყლით და შეასხა ცხვირ-პირში.

_ შენ გაგიჟდი! _ აღრიალდა ულე. _ რას შვრები?

_ მე თვითონაც არ ვიცი, რას ვშვრები! _ უპასუხა ანამ.

ბრძენთა ზარდახშა

ულე ისე უფრთხილდებოდა თავის კბილს, რომელიც ლასემ ამოაძრო, თითქოს სარძევე კი არა, ოქროს კბილი ყოფილიყო. სულ თან დაჰქონდა ასანთის კოლოფით და უყურებდა და უყურებდა.

მერე ბოსეს მოერყა კბილი. წინათ მაშინვე ამოიძრობდა, ახლა კი, ძილში ამომძვრეო, მოსთხოვა ლასეს. ძილის წინ მან გრძელი ძაფის ერთი ბოლო კბილზე გამოიბა, მეორე ბოლო კი კარს მიამაგრა ლასემ. დილით აგდა ბიჭების გასაღვიძებლად მივიდა, გამოაღო კარი და ამოაძრო ბოსეს კბილი, ბოსე წამში გამოფხილდა, გაღვიძებაც არ დასჭირვებია.

_ ჩვენ კი არც ვიცოდით, როგორ უნდოდა კბილის ამოძრობა _ გვეუბნეობდა, სკოლაში რომ მივდიოდით.

თავისი კბილი ბოსემაც კოლოფში ჩადო და ის და ულე წარამარა უდარებდნენ კბილებს ერთმანეთს და თავს იწონებდნენ.

ლასეს ცოტა არ იყოს, შეშურდა და მაშინ გაახსენდა, რომ სადღაც შენახული ჰქონდა უკანა კბილი, რომელიც შარშან ამოუღო კბილის ექიმმა.

საღამოთი გადაქექა კამოდი და უამრავი ისეთი ძვირფასი ნივთი ნახა, კარგა ხანია დაკარგული რომ ეგონა. სიგარის კოლოფში იდო რამდენიმე წაბლი, სანადირო თოფის ნასროლი მასრები, გატეხილი სასტვენი, ხუთი გატეხილი კალის ჯარისკაცი, გაფუჭებული საათი, დამტვრეული მუდმივი კალამი, ასევე დამტვრეული ჯიბის ფარანი და თავისი უკანა კბილი1 კბილიც ჩამტვრეული იყო, თორემ ისე ვინ ამოუღებდა.

ლასემ დაათვალიერა თავისი საუნჯე და, ყველაფერს შევაკეთებ, როცა დრო მექნებაო, ჩაილაპარაკა. რასაკვირველია, ეს კბილს არ ეხებოდა. კბილი ცალკე ჩადო ასანთის კოლოფში.

ლასემ, ბოსემ და ულემ მთელი საღამო აგიკლეს თავიანთი კოლოფების ჩხარუნიტ და ისე გაყოყოჩდნენ, ჩვენთან ჩოგანბურთის თამაშიც არ ინდომეს. მე, ანა და ბრიტა კლასობანას ვთამაშობდით და ყურადღებასაც არ ვაქცევდით ბიჭებს.

_ თავი მომაბეზრეს თავიანთი კბილებით, _ თქვა ბრიტამ, _ ეგეც განძია რა, თითქოს ჩვენ არა გვქონდეს კბილები!

ბიჭები მოგვიახლოვდნენ. მათ უკვე მოესწროთ ლასეს და ბოსეს ოთახში საიდუმლოდ მოთათბირება და შეთქმულებს ჰგავდნენ.

_ ოღონდ გოგოებს არ უთხრათ, რა გვაქვს! _ თქვა ლასემ.

_ ეგღა გვაკლია! _ აღშფოთდა ბოსე.

_ არავითარ შემთხვევაში! _ თავი გააქნია ულემ.

კინაღამ გავსკდით ცნობისმოყვარეობისაგან, მაგრამ თავი ისე გვეჭირა, ვითომ ოდნავაც არ გვაინტერესებდა.

_ შენი რიგია, _ ვუთხარი ანას და გავაგრძელეთ კლსობანა.

ლასე, ბოსე და ულე შორიახლო ჩამოსხდნენ. ოღონდ ცალი თვალი ჩვენკენ ეჭირათ.

_ საიმედოდ დამალე? _ ჰკითხა ბოსემ.

_ შეგიძლია მშვიდად იყო, _ უპასუხა ლასემ. _ ბრძენთა ზარდახშას მხოლოდ საიმედო ადგილას მალავენ.

_ კიდევ კარგი, თორემ გოგოები იპოვიან და ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება.

ლასემ შეშფოთებული სახე მიიღო.

_ ნუ მაშინებ, _ უთხრა ულეს. _ თუ გოგოებმა მიაგნეს...

_ ლიზი, შენი ჯერია! _ დაიყვირა ბრიტამ.

გამწარებული ვხტოდით და თავს ვიკატუნებდით, თითქოს არაფერი გვესმოდა.

ბიჭები ისხდნენ, ისხდნენ, მერე ადგნენ და წავიდენენ. ანამ თითი გაიშვირა მათკენ და აკისკისდა:

_ შეხედეთ, სამი ბრძენი მიდის, ხა-ხა-ხა!

მე და ბრიტასაც სიცილი აგვიტყდა. ლასე შემობრუნდა და გვითხრა:

_ იცინეთ, იცინეთ, მე თქვენს ადგილას კი არ ვიცინებდი, ვიტირებდი!

??

??

თქვა, ეს ათასჯერ სჯობია ზარდახშის აწაპვნას. ნუ იფიქრებენ, ჩვენი მოგონილი ყოველგვარი სისულელე სჯერათო.

ავდექით, აგდას ჩასასმელი კბილები ბრძენთა ზარდახშაში ჩავდეთ და ზარდახშა ისევ სამალავში ჩავაბრუნეთ. მერე ბიჭების სანახავად წავედით, გვაინტერესებდა, რას აკეთებდნენ. ისინი რიკ-ტაფელას თამაშობდნენ. იქვე ჩამოვსხედით. და დავუწყეთ ყურება.

_ რა ბრძენები ხართ, უბრალო რიკ-ტაფელას თუ თამაშობთ? _ ჰკითხა ბრიტამ.

მათ ხმა არ ამოუღიათ. ლასეს ხელში ტაფელი ეჭირა.

_ მე მგონია, ეს რიკ-ტაფელა ბრძენთა ზარდახშაში უნდა შეინახოთ, _ დავუმატე ბრიტას ნათქვამს.

ისევ არ უპასუხიათ, ოღონდ ლასემ მძიმედ ამოიოხრა. მის ოხვრზე მივხვდით, რომ ურჯულეობი დღეს ჩვეულებრივზე უფრო სულელები ეჩვენებოდა.

_ არა, მაინც რა ზარდახშაა? _ ლასეს იდაყვი ჰკრა ანამ.

ლასემ უპასუხა, გოგოებთან ასეთ რამეებზე არ ლაპარაკობენ. ოღონდ იცოდეთ, რომ ბრძენთან ზარდახშას ჯადოსნური ძალა აქვს და სასწაულების მოხდენა შეუძლიაო.

_ ზარდახშა საიმედო ადგილასაა შენახული, _ თქვა ლასემ და დაუმატა, _ მაგრამ სად, ამას თქვენ ვერასოდეს გაიგებთ. მხოლოდ ზარდახშის მფლობელმა საიდუმლო ძმობამ იცის ის ადგილი. გარეშე ხალხმა რომ დაინახოს, სასწაულმოქმედი ძალა დაეკარგება.

_ საიდუმლო ძმობა შენ, ბოსე და ულე ხართ? _ ჰკითხა ბრიტამ.

ლასე გაჩუმდა და იდგა შეუვალი სახით. ჩვენ გულიანად ავხარხარდით.

_ გშურთ არა, რომ არ იცით, სადაა ჩვენი კოლ... ბრძენთა ზარდახშა? _ მოგვიბრუნდა ბოსე.

_ როგორ არ ვიცით, კარადაში გიდევთ! _ უპასუხა ბრიტამ.

_ ამბობთ რაღა! _ გაეცინა ბოსეს.

_ სხვენზე გექნებათ, ცალფიცრის ქვეშ, _ თქვა ანამ.

_ არაფერი შეგეშალოს! _ ერთხმად წამოიძახეს ლასემ, ბოსემ და ულემ. მაგრამ გვარიანად შეშფოთდნენ და რიკ-ტაფელის თამაშსაც კი მიანებეს თავი.

_ ბოსე, წამო, შენი კოლექცია დავათვალიეროთ! _ აფუცხუნდა ლასე.

გვნახა რა სულელები, ეგრევე დავიჯერებდით, ლასეს უცებ ბოსეს შეგროვებული ჩიტის კვერცხების დათვალიერება მოუნდაო. რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდით, რომ სურდა შეემოწმებინა, ადგილზე იყო თუ არა ზარდახშა. მაგრამ ბოსე ხომ ჩვენნაირი მიხვედრილი არაა, ამიტომ წამოაყრანტალა:

_ ამბობს რა, ასჯერ მაინც გაქვთ ნანახი@!.. _ ლასემ ისე შეხედა, რომ ბოსე უცებ გამოერკვა. _ ჰო, კარგი, თუ მართლა გინდა, წავიდეთ და განახებთ.

და ცვენ რომ ეჭვი არ აგვეღო, ნელი ნაბიჯით გაემართნენ სახლისაკენ. თვალს მოეფარნენ თუ არა, დეიდა ლიზისთან გავიქეცით და ვუთხარით, რაღაც გვინდა ავიღოთ ულეს ოთახშიო. მან, რა თქმა უნდა, შეგვიშვა.

ულეს ოთახიდან გადავძვერით ცაცხვზე, ჩავხტით ლასეს და ბოსეს ოთახში, იქიდან გავცვივდიტ სხვენზე და დავიმალეთ პალტოების უკან. მაშინვე კიბეზე ბიჭების ხმები გაისმა.

_ როგორ ფიქრობთ, რატომ ახსენა ანამ სხვენ? ნუთუ მიხვდნენ რამეს? _ შეფიქრიანდა ბოსე.

_ მიხვდნენ არა! _ უპასუხა ლასემ. _ ვერაფერსაც ვერ მიხვდნენ, უბრალოდ, რაც პრიველად თავში მოუვიდა, ის წარმოროშა. მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ზარდახშა მაინც გადავმალოთ.

ლასემ ასწია ცალფიცარი. ჩვენ მხოლოდ მათ ზურგებს ვხედავდით.

_ გააღე, ჩემი კბილი მინდა ვნახო, _ სთხოვა ულემ.

_ მეც მინდა! _ თქვა ბოსემ.

_ ბრძენნო, გახსოვდეთ, რომ ურჯულოებმა თვალით ვერ უნდა ნახონ, რა დევს ზარდახშაში, _ მიმართა ლასემ ბოსეს და ულეს. _ მათი ყურება მარტო ჩვენ შეგვიძლია!

ჩამოვარდა სიჩუმე და მივხვდით, რომ ლასე ზარდახშას ხსნიდა. მერე შეკვილება გაისმა _ მათ აგდას კბილებ დაინახეს და ჩვენ სიცილით გამოვცვივდით სამალავიდან.

_ აი, ასე, ახლა მთელი წელი გეყოფათ ჯადოსნური ძალა! _ ვუთხარი ნიშნის მოგებით.

ლასემ იატაკზე მოისროლა ჩასასმელი კბილები და აჯუჯღუნდა, ასე იციან გოგოებმა, ყველაფერს ჩაგამწარებენო.

??

??

ნა. ექვსი ნაჭერი ხორციანი რულეტი, თითოსთვის თითო ნაჭერი. მაგრამ მურაბიანი მაჭკატების შემდეგ აღარავის მოუნდა ცივი რულეტის ჭამა. ბოსეს საშინლად უყვარს კრენდელები და გვთხოვა, უკანასკნელი კრენდელი მე მომეცითო.

ულე კი გაბღუზული იჯდა, ჩემს რულეტს რატომ არავინ გაეკარაო. ბრიტას შეეცოდა და ბოსეს უთხრა:

_ იცი რა, ბოსე, თუ რულეტს გაათავებ, კრენდელი შენია!

და ბოსე, თუმცა მაძღარი იყო, შეუდგა ჭამას. პრიველი ნაჭერი სწრაფად გადასანსლა, მეორე მთლად ისე ვეღარ, მესამე _ ძლივძლივობით. ბრიტამ გასამხნევებლად კრენდელი დააყნოსვინა. ბოსემ ამოიოხრა და აიღო მეოთხე ნაჭერი, თანაც დააყოლა:

_ უკვე მეთხეა!

_ სულელო, მეთხე კი არა, მეოთხეა! _ შეუსწორა ლასემ.

_ ჩემსავით რომ გაზეზილიყავი, შენც დაგავიწყდებოდა, როგორ არის სწორი, _ უპასუხა ბოსემ.

ანა კი ასკინკილა დახტოდა ბოსეს გარშემო და ყვიროდა:

ერთი, ორი, სამი,

არ დაკარგო წამი,

აბა, ჩახმახს, მიდი,

გამოჰკარი თითი!

_ ახლა მუცელი გამისკდება! _ აკვნესდა უცებ ბოსე და ცივი უარი განაცხადა, თუნდაც ერთი ლუკმა რულეტი ჩაეყლაპა.

_ კრენდელი მაინც შენია! _ უთხრა ბრიტამ.

ბოსემ ხელები გაასავსავა, არ მინდა, კრენდელსაც და ხორციან რულეტს ჩემს სიცოცხლეში ზედ აღარ შევხედავო.

ნასაუზმევს გამოქვაბულში წავედით. ლასემ თქვა, ქვის ხანაში აქ, ალბათ, ადამიანები ცხოვრობდნენო. წარმომიდგენია, როგორ სციოდათ ზამთარში. ქვებს შუა დიდი ხვრელებია და იქიდან უთუოდ ნამქერს შემოყრიდა.

ბრიტამ შემოგვთავაზა, მოდით, ვითამაშოთ, ვითომ ქვის ხანის ადამიანები ვართო. ლასეს მოეწონა ეს აზრი და საქმე ასე გაანაწილა: მე, ბოსე და ულე დომბების დასაჭერად წავალთ, ხოლო შენ, ანა და ბრიტა გამოქვაბულში დარჩით და კერიაში ცეცხლი არ გააქროთო. ასე იციან ბიჭებმა, რაც უფრო საინტერესოა, თავისთვის ყოველთვის იმას ირჩევენ.

ბრიტამ თქვა, ჩვენ ხის ტოტებს დავამტვრევთ, გამოქვაბულს გამოვგვით და ყვავილებით მოვრთავთო.

_ რაც გინდათ, ის ქენით, _ გვითხრა ლასემ. _ წავედით, ბიჭებო, დომბები გვყავს დასაჭერი!

ხორციანი რულეტით გასისინებულ ბოსეს რა ედომბებოდა. ნადირობა კი არა, ფეხზე წამოდგომა აღარ შეეძლო.

_ მაშ, დარჩი სახლში, _ უთხრა ლასემ. _ თუ მოგესურვება, შეგიძლია, დედაკაცები და ბალღები მიბერტყო.

_ აბა, ერთი გაბედოს! _ დაიქადნა ბრიტა.

ბოსეს განძრევაც აღარ შეეძლო. ვიდრე ლასე და ულე ნადირობდნენ, ის იწვა, ჩვენ კი გამოქვაბულს ვასუფთავებდით.

ნადირობიდან მობრუნებული ლასე და ულე ხმამაღლა ღმუოდნენ, რათა წინდაწინ გაგვეგო, ნადირობამ წარმტებით ჩაიარაო. მრავალგზის გვსმენია ლასეს ღმუილი, მაგრამ

ასეთი შემაძრწუნებელი _ არასოდეს! ლასესთვის რომ გეკითხა, ეს იყო პირველყოფილი ღმუილი, სწორედ ასე ღმუოდნენ პირველყოფილი ადამიანები, როცა დომბებზე ნადირობდნენო.

_ დომბებზე ნადირობა ძალიან ძნელია, _ გაიბღინძა ლასე და წაიტრაბახა, დომბები ბლომად დავხოცეო.

თუმცა ჩვენ ერთი დომბაც არ გვინახავს.

წამოწვიმა, ყველანი გამოქვაბულს შევეფარეთ. ცა ისე ჩაშავდა, კაცი იფიქრებდა, ამინდი მთელი დღით გაფუჭდაო. მაგრამ მოულოდნელად ღრუბლებიდან მზემ გამოიჭყიტა. გამოვცვივდით გამოქვაბულიდან და განცვიფრებულები შევდექით _ ისეთი ლამაზი იყო ტბა წვიმის შემდეგ. ტბის შუაგულში მოჩანდა კუნძული და დიდი ქვა, რომლის გვერდითაც გვიყვარდა ბანაობა.

_ წავედით კუნძულზე საბანაოდ! _ წამოიძახა ლასემ.

ორი დღის წინ მან დედას ჰკითხა, შეიძლება თუ არა ჯერ ბანაობაო. დედამ უპასუხა, სჯობს ცოტა ხანს კიდევ მოვიცადოთო.

_ მე მგონია, უკვე საკმაოდ მოვიცადეთ, _ გვითხრა ლასემ და დავეშვით ნავისაკენ, მალე კუნძულთანაც მივცურდით. ჯობნაზე დავიწყეთ ტანსაცმლის გახდა. წყალში ჩახტომა ყველას ბოსემ მოასწრო, ეტყობა, ხორციანი რულეტი უკვე მოენელებინა.

წყალი ყინულივით ცივი აღმოჩნდა. ყველანი მაშინვე ნაპირზე ამოვცვივდით და პირდაპირ ქენია ცხვარს _ ულრიკს შევეჩეხეთ. დიდი, დაგრეხილრქებიანი თავი მოედრიკა და გველოდა. ულრიკს ??

??

როგორც ლასემ გვითხრა, ისე მოვიქეცით. საერთოდაც ყოველთვი სვუჯერებთ.

ტბაზე რომ მივცურავდით, ულრიკი ნაპირზე იდგა და ისე გვიცქეროდა, თითქოს ენანებოდა ჩვენთან გაშორება.

_ აბა, რას იტყვით, შემიძლია თუ არა, დომბის დაჭერა? _ იკითხა ლასემ. _ ერთსაც დავიჭერ, თუ საჭიროა!

მაგრამ დომბებზე ნადირობა უკვე აღარავის უნდოდა, ძალიან დავიღალეთ და მოგვშივდა.

_ ვკითხო ერთი, იქნებ დედასაც აქვს ხორციანი რულეტი, _ თქვა ბოსემ.

როგორ ვერთობით ავდარში

ერთხელ ცუდ ხასიათზე გამეღვიძა. საძაგელი დღე იდგა. წვიმა შხაპუნობდა, ქროდა ქარი და ქუჩაში თამაში შეუძლებელი იყო. მე ბრიტასთან და ანასთან წაჩხუბებული ვიყავი. წინა დღეს კლასობანას ვთამაშობდით, ბრიტამ და ანამ შარი მომდეს, ხაზს ფეხი დაადგიო, მე კი არ დამიდგამს.

_ რადგან ასეთი უსინდისოები ხართ, აღარ მსურს თქვენთან თამაში! _ მივახალე გაჯავრებულმა.

_ კი ბატონო, ნუ ითამაშებ, _ მითხრა ბრიტამ.

_ ნეტა ვინ გეხვეწება! _ დაუმატა ანამ.

მეც ავდექი და წამოვედი სახლში. ბრიტამ და ანამ კი კიდევ დიდხანს ითამაშეს კლასობანა. ფანჯარასთან ვიდექი და, რომ არ დავენახე, ფარდას ამოფარებული ვუყურებდი მათ თამაშს. ვფიქრობდი, ანას და ბრიტას ჩემს სიცოცხლეში აღარ ვეთამაშები-მეთქი.

წვიმდა და წვიმდა, მომწყინდა და აღარ ვიცოდი, რა მექნა. ლასე და ბოსე გაცივდნენ და უკვე მესამე დღე იყო, ლოგინში იწვნენ. წავედი, ცოტას წავიქაქანებ-მეთქი, მაგრამ, წიგნებს კითხულობდნენ და ჩემთვის არ ეცალათ. ისევ ანასთან და ბრიტასთან მერჩია წასვლა, მაგრამ გამახსენდა, როგორი უსინდისოებიც არიან, ისიც გამახსენდა, რომ გადავწყვიტე მათთან ჩემს სიცოცხლეში აღარ მეთამაშა, და ისევ დედასთან ჩავედი სამზარეულოში.

_ ძალიან მომწყინდა!

_ რას ამბობ? _ გაუკვირდა დედას. _ შენც ადექი და საქმე გააკეთე.

_ რა გავაკეთო? – ვკითხე გაოცებულმა.

_ რა და, მაგალითად, ღვეზელი გამოაცხვე.

_ რომ არ ვიცი?

დედამ გადამაცვა თეთრი წინსაფარი, თმა თეთრი ხილაბანდით წამიკრა და დამიწყო სწავლება, ღვეზელი როგორ უნდა გამომეცხო. ის მეუბნებოდა, მე კი ვაკეთებდი.

დედამ რომ ღვეზელი ქურიდან გამოიღო და სუფთა ტილოზე დადო, გავოცდი, თურმე რა ლამაზი ღვეზელის გამოცხობა მცოდნია!

დედამ მითხრა, ლასეს და ბოსეს გაუმასპინძლდიო. ასეც ვქენი. იმათ ძალიან გაუხარდათ და პირველად არც კი დამიჯერეს, რომ თვითონ გამოვაცხვე.

მართალია, ბრიტამ და ანამ შარი მომდეს, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მეპატიებინა და ღვეზელის საჭმელად დამეპატიჟა. დავწერე წერილი, ჩავდე სიგარის კოლოფში და დავუსტინე, რომ გოგოებისთვის გამეგებინებინა, წერილს გიგზავნით-მეთქი. წერილში კი ეწერა: «მე თვითონ გამოვაცხვე ღვეზელი. მოდით და ვჭამოთ».

ორ წუთში მოირბინეს ბრიტამ და ანამ. ოღონდ დიდხანს იმათაც არ სჯეროდათ, ღვეზელი ჩემი გამომცხვარი რომ იყო.

ბოლოს ვუთხარი:

_ დამიჯერეთ, რომ ძალიან ადვილია, ღვეზელის გამოცხობა ყველას შეუძლია!

ღვეზელის გამოცხობა ბრიტას და ანასაც მოუნდათ და შინ გაიქცნენ. მე ისევ მოვიწყინე და ისევ დედასთან მივედი.

_ დედა, მომწყინდა! _ დავიწყე წუწუნი. _ მოიგონე, კიდევ რა გავაკეთო.

_ შენს ადგილას იმ მაგიდას შევღებავდი, ვერანდაზე რომ დგას, _ მირჩია დედამ.

თითქოს რამე მესმოდეს შეღებვისა!

მაგრამ დედამ ქილაში გახსნა მწვანე საღებავი, მომცა მწვანე კობინეზონი და მაჩვენა, როგორ უნდა შემეღება. ბოლოს და ბოლოს, ნახელავი კარგი გამომივიდა.

მაშინვე გავიქეცი ლასეს და ბოსეს ოთახში და ვუამბე მაგიდის შეღებვის ამბავი. წამოხტდნენ ბიჭები საწოლიდან და გაიქცნენ ??????????????????????????????????????
??

«კუნძულზე განძია დამალული. მე იქ დავდევი ნამდვილი მარგალიტები. ეძიეთ კუნძულის შუაში. წარსული დროის ბინადარი».

_ უჰ, რა საინტერესოა! _ აჭყიპინდა ანა. _ ოღონდ შეცდომებია!

_ ეგ შეცდომები არაა, _ უპასუხა ლასემ. _ ძველად ასე წერდნენ.

_ წარმოგიდგენიათ, ნამდვილი მარგალიტებიო! _ ვთქვი გაკვირვებულმა. _ აუცილებლად უნდა მოვძებნოთ და მილიონერები გავხდებით!

ბრიტას ხმა არ ამოუღია.

_ მოდით, ხვალ დილით გავემგზავროთ კუნძულზე! _ შემოგვთავაზა ლასემ.

_ ეგრე იყოს! _ დაეთანხმნენ ბოსე და ულე.

ბიულერბიუში მხოლოდ ერთი კუნძული იყო _ ერთი პატარა კუნძული, რომელზეც გაზაფხულობით ცხვარი _ ულრიკი დაჰყავდათ საბალახოდ.

წვიმიანი დღე არც ისე მოსაწყენი გამოდგა. მით უმეტეს, რომ წვიმამ გადაიღო და ჩვენც ბაბუასთან გავიქეცით გაზეთის წასაკითხად.

ანა ბაბუას უყვებოდა განძსა და ნამდვილ მარგალიტებზე, მაგრამ ბრიტამ შეაწყვეტინა:

_ აი, სულელები! ნუთუ ვერა ხვდებით, რომ ეს ბიჭების ახალი ოინია?

_ შენ საიდან იცი? _ თვალები დავაჭყიტეთ მე და ანამ.

_ რა მიხვედრა უნდა! წერილი რომ მართლა ისეთ ადამიანს დაეწერა, რომელიც ოდესღაც ცხოვრობდა ბიულერბიუში, ასე კი არ მოაწერდა ხელს. იმისთვის ხომ ის დრო აწმყო იყო და არა «წარსული».

მე და ანას კი ამაზე არ გვიფიქრია! მაგრამ ბრიტამ დაგვარიგა, თავი ისე გეჭიროთ, თითქოს არაფერი შეგვიმჩნევია, წავიდეთ განძის საძებნელად და იქ ვიყაროთ ბიჭების ჯავრიო.

ჩვენ განძს ვეძებთ

დილით ჩავსხედით ნავში და გავცურეთ კუნძულისაკენ. ნიჩბებს ლასე უსვამდა. ბიჭები მარტო განძზე ლაპარაკობდნენ.

_ თუ განძი ვიპოვეთ, მარგალიტები გოგოებს მივცეთ, ამათ უფრო უხდებათ, _ თქვა ლასემ.

_ კარგი, _ დაეთანხმა ბოსე. _ მართალია, შეიძლებოდა გაგვეყიდა და ფული ბლომად აგვეღო, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, გოგოებს იყოს.

_ აბა რა, _ თქვა ულემ. _ მეც თანახმა ვარ!

_ დღეს რაღაც ძაან კეთილები ხართ! _ ვერ დავმალეთ გაოცება.

_ ოღონდ განძი თვითონ ეძიეთ, მე, ბოსემ და ულემ უნდა ვიცურაოთ, _ გვითხრა ლასემ, როცა კუნძულს მივადექით.

ბიჭები მაშინვე გასაშავებლად წამოწვნენ ქვაზე.

_ არ დაგავიწყდეთ, რომ კუნძულის შუაგულში უნდა ეძიოთ! _ შეგვახსენა ლასემ. _ თუ იპოვით, დაგვიძახეთ, გვინდა ვნახოთ, როგორ გახსნით თუნუქის ქილას.

_ შენ რა იცი, რომ მარგალიტები თუნუქის ქილაში აწყვია? _ ჰკითხა ბრიტამ, _ წერილში ხომ ამაზე არაფერია ნათქვამი.

ლასე ცოტა არ იყოს შეცბა.

_ განძს ყოველთვის თუნუქის ქილაში ინახავენ, _ გვითხრა ცოტა ხნის მერე.

ბიჭებმა ბანაობა დაიწყეს, ჩვენ კი განძის საძებნელად გავწიეთ.

_ მაცალონ, მოვაგონებ მაგათ თუნუქის ქილას! _ დაექადნა ბრიტა.

კუნძულის შუაგულში ქვავნარია, რომელზეც რამდენიმე ახალი ქვა შემოედოთ. იმწუთას მივხვდით, აქ რატომ დააწყვეს. მათ ქვევით კი თუნუქის ჟანგიანი ქილა იყო დამალული. გავხსენით ქილა, შიგ წერილი აღმოჩნდა:

«ხა-ხა-ხა! გოგოებო, სულელები ხართ, ყოველგვარ სისულელეს იჯერებთ! წარსული დროის ბინადარი!»

გახსოვთ, ალბათ, ამ კუნძულზე ცხვარი ულრიკი ბალახობდა, ერთხელ რომ კინაღამ დაგვგლიჯა. ულრიკის წამოყვანის შემდეგ კუნძულზე ბლომად დარჩა მისი შავ-შავი მრგვალ-მრგვალი კენჭები. ავიღეთ რამდენიმე ცალი, ჩავდეთ ქილაში და დავწერეთ ახალი წერილი:

«აი, თქვენ ნამდვილი მარგალიტები! მაგრად შეინახეთ! იმიტომ, რომ ის აქ წარსული დროის ბინადარმა დატოვა».

მერე ქილა ისევ ქვების ქვეშ ჩავჩურთეთ, დავბრუნდით ბიჭებთან და შევჩივლეთ, განძი ვერ ვიპოვეთო.

_ ახლა თქვენ მოძებნეთ, ჩვენ კი ვიბანავებთ! _ უთხრა ბიჭებს ბრიტამ.

მათ ჯერ არ უნდოდათ უჩვენოდ წასვლა. ბოლოს მაინც იკადრეს და გაილალნენ. ეტყობა, იფიქრეს, ქილას ადგილს შევუცვლით, უფრო ადვილი საპოვნელი რომ იყოსო. ნამდვილ ინდიელებიფვით ცოცვა-ცოცვით მივყევით უკან.

ბიჭები მივიდნენ ქვავნართან და ლასემ ქვების გროვიდან ქილა ამოაძვრინა.

_ აი, სულელები! ცხვირწინ უდევთ და... _ თქვა ლასემ და ქილა გააქან-გამოაქანა.

_ შიგ რაღაც რახრახებს! _ უთხრა ბოსემ.

ლასემ ახადა ქილას სახურავი და წაიკითხა ჩვენი წერილი. მერე თუნუქის ქილა შორს მოისროლა და წამოიძახა:

_ ამისთვის შური უნდა ვიძიოთ!

მაშინ კი გამოვცვივდით ბუჩქებიდან სიცილ-ხარხარით და ერთიმეორეს აღარ ვაცლიდით ლაპარაკს. ვეუბნებოდით, მაშინვე მივხვდით, ყველაფერი ლასეს ოინები რომ იყოო. ლასემ გვითხრა, ჩვენც მაშინვე მივხვდით, თქვენ რომ მიხვდით, ეს ჩემი ოინები რომ იყოო. რა თქმა უნდა, ცრუობდა, მაგრამ ჩვენ, ყოველი შემთხვევისათვის, ვუთხარით, ჩვენც ვმიხვდით, თქვენ რომ მიხვდით, ჩვენ რომ მივხვდით, ეს ლასეს ოინებიაო. ჰოდა, ამაზე ბიჭებმა გვითხრეს...

თვითონ არ ვიცი, რამდენჯერ ვთქვით სიტყვა «მივხვდით», ის კია, რომ მე თავბრუ დამეხვა და აღარაფერი მესმოდა.

მერე ვბანაობდით ჩვენი ქვის გვერდით და ვწუწავდით ერთმანეთს.

ბანაობის შემდეგ ლასემ ყაჩაღობანა ვითამაშოთო, შემოგვთავაზა. ყაჩაღების ბუნაგი ძველ სათივეზე მოვაწყვეთ, სადაც ლასე ძლივს გადაურჩა ულრიკს. წინამძღოლი, რასაკვირველია, ლასე იყო. მე რობინ ჰუდი ვარო, გამოგვიცხადა, ბოსე მისი თანაშემწე იყო და რინალდო რინალდი ერქვა. ლასემ გვიბრძანა, რომ მდიდრებისათვის წაგვერთმია ქონება და ღარიბებისთვის მიგვეცა. დავფიქრდით, მაგრამ ვერ მოვიგონეთ, ვინ იყო მდიდარი, არც ღარიბებს ვიცნობდით, თუ კრისტინს არ ჩავთვლით.

ლასეს ბრძანებით რიგრიგობით ვძვრებოდით სათივეს გვერდით მდგარ ფიჭვზე და ვუთვალთვალებდით, რომ კუნძულს მტრის ფლოტილია არ მოსდგომოდა. ფიჭვზე ასასვლელად ჯერ სათივეს გახვრეტილ სახურავზე უნდა ამძვრალიყავი. ფიჭვი ისეთი მაღალი იყო, რომ მე, ბრიტა და ანა კენწეროზე ასვლას ვერა ვბდავდით. ლასეს, ბოსეს და ულეს კი არაფრისა ეშინოდათ.

მაგრამ მტრის ფლოტილია კენწეროდანაც არა ჩანდა.

სადილის დრო რომ მოახლოვდა, ლასემ მე და ანას გვიბრძანა, მატერიკზე გადაგვეცურა და ვინმესთვის საჭმელ-სასმელი წაგვერთმია.

_ ოღონდ გახსოვდეთ, რომ მხოლოდ მდიდრების გაძარცვა შეიძლება! _ გაგვაფრთხილა წამოსვლისას და ჩვენც გამოვცურდით.

მაგრამ მაინც არ ვიცოდით, ვინ უნდა გაგვეძარცვა. ამიტომ მივედი დედასთან და ვთხოვე, მე, ლასე და ბოსე სადილად შინ დაბრუნებას არ ვაპირებთ და საკუჭნაოდან საჭმელს წავიღებ-მეთქი. დედამ, რა თქმა უნდა, დამრთო ნება. ავიღე ლორის ნაჭერი, ძეხვი და მოხარშული კარტოფილი. კიდევ ყველიანი ბუტერბროდები. დედამ ცხელ-ცხელი ფუნთუშები და ერთი დიდი ბოთლი რძეც მომცა.

გავიქეცი ანასთან, იმასაც მთელი კალათა აევსო საჭმელით.

ყაჩაღთა ბუნაგში რომ დავბრუნდით და ნადავლი ამოვალაგეთ, ლასემ შეგვაქო:

_ ჩინებულია! დარწმუნებული ვარ, ამ ნადავლის საშოვნელად საკუთარი სიცოცხლე ჩაიგდეთ საფრთხეში!

მართალია, მე და ანა დარწმუნებული არ ვიყავით, რომ ჩვენ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის დავეთანხმეთ _ სწორია, მცირეოდენი ხიფათი კი გველოდაო.

_ ჩინებულია! _ გაიმეორა ლასემ.

მოტანილი საჭმელი ბრტყელ ქვაზე დავაწყვეთ და მუცელზე გაწოლილები ვჭამდით. შუა ლხინში ბოსემ წამოიძახა:

_ ეი, რობინ ჰუდ! ხომ ამბობდი, ყველაფერი ღარიბებს უნდა მივცეთო, რაღას იყორავ საკუთარ მუცელს?

_ ღარიბი სწორედ მე ვარ! _ უპასუხა ლასემ და ლორის ნაჭერი დაითრია.

რძიანმა ბოთლმა წრე შემოიარა. ვისაც რამდენი სურდა, იმდენს სვამდა.

დიდებული დღე იყო. ბევრი ვიბანავეთ, ვიცოცეთ ხეებზე; ვიომეთ ორ ბანაკად გაყოფილებმა. ერთ მხარეს გოგოები ვიყავით, მეორე მხარეს _ ბიჭები. გოგოები სათივეში გავმაგრდით და ვიცადით ბიჭებისაგან. ბრიტა კარებში იდგა გუშაგად. ანა სარკმელში იცქირებოდა, ჩემი სათვალთვალო პოსტი გამოხვრეტილ სახურავზე იყო. გამიჭირდა სახურავზე დიდხანს ჯდომა, ჩავედი ქვევით და ფანჯარასთან ანას გვერდიტ დავიკავე ადგილი. ბიჭებმა, რა თქმა უნდა, ისარგებლეს ამით, ამოცოცდნენ სათივეს უკანა კედელზე, აძვრნენ სახურავზე და ჩამოხტნენ სათივეში. მათ ყველანი ტყვედ ჩაგვიგდეს და უნდოდათ დავეხვრიტეთ, მაგრამ ვეღარ მოასწრეს. ლასემ ყვირილი ატეხა:

_ ნაპირს მტრის ფლოტილია უახლოვდება!

ეს გახლდათ ოსკარი, რომელიც ჩვენს წასაყვანად გამოგზავნა დედამ კუნძულზე. ოსკარმა შეგვარცხვინა, უკვე ცხრა საათია და ისეთი ტუტუცები როგორა ხართ, რომ თქვენით ვერა ხვდებით, შინ როდის უნდა დაბრუნდეთო!

_ თქვე კაი ხალხო, არ მოგშივდათ მაინც? _ გვკითხა წყრომით.

და ყველამ ვიგრძენით, რომ მართლა მაგრა მოგვშიებოდა.

დედას და მამას უკვე კარგა ხანია ევახშმათ, ჩვენ კი სამზარეულოში რძე, კვერცხი და ბუტერბროდები გველოდა.

ივანობა

ახლა გიამბობთ, როგორ ვიზეიმეთ ივან კუპალას დღე _ გაზაფხულის პირველი დღესასწაული. მწვანე მინდორზე მაღალი სვეტი აღმართეს. მთელი ბიულერბიუ რთავდა. ჯერ ურმით შორს წავედით ტყეში და ბლომად დავჭერით ტოტები. ჩერსტინიც კი ჩვენთან

იყო. ულემ პატარა ტოტი მისცა ხელში და ისიც აქნევდა. ულე კი ღიღინებდა ძველებურ სიმღერას:

ოქროს ეტლში რომ ზის,
ციცქნა ჩერსტინს დახეთ,
ოღრო-ჩოღრო გზაზე
როგორ მიჯაყჯაყებს.
იქნევს ოქროს მათრახს,
ტკაც-ტკუც, ტკაც-ტკუც, ტკაც-ტკაც!

ყველა მღეროდა, ყველა თავის ჭიას ახარებდა. აგდა ასე მღეროდა:

ზაფხული დადგა,
კაშკაშებს მზე,
ყვავილთა სურნელი
მოედო გზებს.

ლასე კი ასე:

ზაფხული დადგა,
კაშკაშებს მზე
და ნეხვის სურნელი
მოედო გზებს.

მართალიც იყო. მინდორზე ნამდვილად იდგა ნეხვის სუნი. მაგრამ აუცილებელი ხომ არაა ამაზე სიმღერა.

მე, ბრიტა და ანა წავედით და შეშის ფარდულის უკან რომ იასამნის ბუჩქი გვიდგას, იმას ტოტები დავამტვრიეთ. ის ტოტები მინდორში წავიღეთ. სვეტი მზად დაგვხვდა. მას ჯერ იასამნის ტოტები შემოვაკარით, მერე კი იასამნის ორი გვირგვინიც ჩამოვკიდეთ.

სვეტი მინდორში ჩაასვეს და საღამოთი მთელი ბიულერბიუ მის გარშემო ცეკვავდა. ძია ერიკი შესანიშნავად უკრავს გარმონზე. უკრავდა ნაირ-ნაირ საცეკვაოს, ჩვენ კი

ვცეკვავდით, ყველა, ბაუბას და ჩერსტინის გარდა. ბაბუა სკამზე იჯდა და უსმენდა მუსიკას. ჩერსტინი ჯერ კალთაში ესვა, მაგრამ წვერებზე ისე ექაჩებოდა, რომ ძია ნილსმა გამოართვა, მხრებზე შეისვა და დაბზრიალდა მასთან ერთად. ბაბუას ცეკვა არ შეეძლო, თუმცა, ასე მგონია, ამას დიდად არა წუხდა. მარტო ესა თქვა:

_ ე-ჰე-ჰე! იყო დრო, როცა მეც ვცეკვავდი ასეთი სვეტის გარშემო!

ცეკვის მერე დახუჭობანა და სხვა რამეები ვითამაშეთ! ძალიან გვიყვარს დედებთან და მამებთან თამაში, მაგრამ ისინი მარტო ივანობა დღეს გვეთამაშებიან.

იმ საღამოს ნება დაგვრთეს, გვიან დაგვეძინა. აგდამ თქვა, თუ ძილის წინ მესერზე ცხრაჯერ გადაძვრები და ბალიშის ქვეშ ცხრა სხვადასხვანაირ ყვავილს დაიდებ, სიზმარში საქმროს ნახავო.

მე, ბრიტას და ანას ძალიან მოგვინდა ჩვენი საქმროების ნახვა, თუმცა ისედაც ვიცოდით, ვინ ვის გაჰყვებობდა. მე ულეს უნდა გავყოლოდი, ბრიტა და ანა _ ლასეს და ბოსეს.

_ შენც აპირებ მესერზე გადაძვრომას? _ ჰკითხა ლასემ ბრიტას. _ შენი ნებაა, გინდა გადაძვერი, გინდ გადმოძვერი, მაგრამ გაფრთხილებ, სიზმარშიც რომ მნახო, მაინც არ შეგირთავ. ეგეთი რამეები არა მჯერა.

_ მე, იმედია, არც ერთს არ დავესიზმრები! _ თქვა ბოსემ.

_ არც მე! _ აჰყვა ულე.

აი, სულელები, არ უნდათ ჩვენი შერთვა!

აგდამ გაგვაფრთხილა, მესერზე უმზრახად უნდა გადაძვრეთ _ არც სიცილი შეიძლება, არც ლაპარაკიო.

_ მაშინ სჯობს ლიზი ახლავე დასაძინებლად დაწვეს, _ გაიცინა ლასემ.

_ ვითომ რატომაო? _ აღვშფოთდი მე.

_ იმიტომ, რომ ორ წუთზე მეტხანს მარტო მაშინ იყავი ჩუმად, როცა ყბაყურა გქონდა. ორ წუთში კი მესერზე ცხრაჯერ ვერ გადაძვრები.

ჩავიქნიეთ ხელი ბიჭებზე და გადავძვერით მესერზე.

მესერის იქით მაშინვე იწყება ხშირი ტყე. ღამით ტყე იდუმალებითაა მოცული, თუნდაც ღამე ნათელი იყოს. საოცარი სიწყნარეცაა, რადგან ჩიტებს სძინავთ. საამო სურნელს აფრქვევენ ხეები და ყვავილები. ჩვენ პირველ გადაძრომაზევე შევაგროვეთ ცხრა-ცხრა სხვადასხვანაირი ყვავილი.

ალბათ, შეგიმჩნევითა _ ყველაზე მეტად მაშინ გეცინება, როცა სიცილი არ შეიძლება. ჩვენც, მესერზე რომ ავძვერით, ძალიან გვეცინებოდა, ბიჭები კიდე განგებ გვაცინებდნენ.

_ ანა, ფრთხილად, ნეხვში არ ჩავარე! _ უთხრა ბოსემ.

_ აქ საიდან... _ დაიწყო ანამ და უცებ გაახსენდა, რომ ლაპარაკი არ შეიძლებოდა.

ავხითხითდით ჩუმად, ბიჭებმა კი გადაიხარხარეს.

_ ხა-ხა-ხა! ჩვენთვის შეიძლება სიცილი, თქვენთვის კი არა! ფრთხლად, მკითხაობა არ ჩაგეშალოთ! _ ნიშნს გვიგებდა ლასე.

მოვუმატეთ და მოვუმატეთ ხითხითს. ბიჭები გარს გვირბენდნენ და გვიღიტინებდნენ, რომ უფრო მეტად გავეცინებინეთ.

_ უბე-ლიბუ-ბელი-მუკი! _ წამოიძახა ლასემ.

ახლა კი ვეღარ შევიკავეთ თავი, თუმცა სასაცილო არაფერი იყო. მე ცხვირსახოცი ჩავიჩარე პირში, მაგრამ სიცილი მაინც ვერ შევიმაგრე და წვრილი ხმით ამოვიკიკინე. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ როგორც კი უკანასკნელად გადავძვერით ღობეზე, გაცინება აღარავის უნცოდა. ძალიან გავბრაზდით ბიჭებზე, ასე რომ, ჩაგვიშალეს მკითხაობა.

ყვავილები მაინც შევაწყვე ჩემი ბალიშიც ქვეშ. აქ იყო ბაია, კესანე, ენდრონიკა, მაჩიტა, გვირილა, ქვატეხია, მზეყვავილა და კიდევ ორი ყვავილი, ოღონდ იმათი სახელები არ ვიცი. მაგრამ არც საქმრო დამსიზმრებია და არც არაფერი. ალბათ, იმიტომ, რომ ბიჭებმა გაგვაცინეს.

სულ ერთია, მაინც ულეს გავყვები ცოლად!

მე და ანას გადიობა გვინდა... მაგრამ ჯერ მთლად არ გადაგვიწყვეტია

ერთხელ დიდი სოფლის პასტორმა თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად ზეიმი მოაწყო. ზეიმზე ბიულერბიუს ყველა მცხოვრები მიიწვია. ოღონდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ უფროსები. ბაბუას დაპატიჟა. დეიდა ლიზი ძალიან დაღონდა, ფიქრობდა, ჩერსტინს რა ვუყო, ვერ წავალო. ჩერსტინი ხომ მხოლოდ წლინახევრისაა და მისი მარტო დატოვება არ შეიძლება. მაგრამ მე და ანამ დავამშვიდეთ, სიამოვნებით მოვუვლით ჩერსტინს, იმიტომ, რომ გადიობა გვაქვს გადაწყვეტილი და, რაც უფრო ადრე გავვარჯიშდებით, მით უკეთესიაო.

_ მერე აუცილებლად ჩემს დაზე უნდა ივარჯიშოთ? _ აბუზღუნდა ულე.

ის თვითონაც არ იტყოდა უარს ჩერსტინის გადიობაზე, მაგრამ იმ დღეს ძროხები უნდა მოეწველა, ქათმებისათვის საკენკი დაეყარა და ღორებისთვისაც ეჭმია.

დეიდა ლიზის, რასაკვირველია, გაუხარდა. ჩვენ კიდევ უფრო მეტად. ანას ხელზე ვუჩქმიტე და ვუთხარი:

_ რა კარგია, არა?

ანამაც მიჩქმიტა და, ნეტა მალე წავიდნენო, მითხრა.

მაგრამ დიდები დიდხანს დაზოზინებენ ხოლმე, როცა სტუმრად წასვლას აპირებენ, ყველა, ბაბუას გარდა. ბაბუა ექვს საათზე უკვე მზად იყო, თუმცა წასვლას ათ საათამდე არავინ აპირებდა. ბაბუამ ჩაიცვა თავისი შავი კოსტიუმი, ლამაზი პერანგი და, როგორც კი ძია ერიკმა ცხენი შეაბა, მაშინვე ჩაჯდა ეტლში, თუმცა დეიდა გრეტა ჯერ კიდევ იცვამდა თავის ყველაზე კოხტა კაბას.

_ ბაბუა, გიყვარს სტუმრად სიარული? _ ჰკითხა ანამ.

ბაბუამ უპასუხა, მიყვარსო, მაგრამ მოეჩვენა, რომ მაინცდამაინც ხალისიანად არ თქვა, ისე ამოიოხრა და დაუმატა:

_ რაღაც გამიხშირდა სტუმრად სიარული!

ძია ერიკმა უთხრა, უკანასკნელად სტუმრად ხუთი წლის წინ იყავი და ცოდვაა ამაზე ჩივილიო.

როგორც იქნა, მამა, ძია ერიკმა და ნილსმა დაძრეს ცხენები და უფროსები გზას გაუდგნენ.

დეიდა ლიზიმ გვითხრა, ჩერსტინს რაც უფრო მეტ ხანს ასეირნებთ, მით უკეთ მოიქცევაო. შუადღეზე ასადილეთ, საჭმელს მხოლოდ გაცხელება დასჭირდება, და მერე დააძინეთო.

_ უჰ, რა საინტერესოა! _ წამოიძახა ანამ.

_ ჰო, _ კვერი დავუკარი მაშინვე. _ მორჩა, ნამდვილად გადია გამოვა., როცა გავიზრდები.

_ მეც ეგრე გადავწყვიტე, _ მითხრა ანამ. _ ბავშვების მოვლა ხომ ძალიან ადვილია. თუ წყნარად და ალერსიანად ელაპარაკე, ყველაფერს დაგიჯერებენ. ასე ეწერა გაზეთში.

_ თავისთავად ცხადია, ბავშვებს წყნარად და ალერსიანად უნდა ელაპარაკო, _ დავეთანხმე მე.

_ სადღაც წავიკითხე, რომ ზოგიერთები ბავშვებს უყვირიან კიდეც, ჰოდა, ბავშვები ჯიუტები და ურჩები ხდებიან, _ მითხრა ანამ.

_ აბა, ვინ უყვირებს ასეთ საყვარელ ბაიას! _ ჩერსტინს ქუსლზე მოვუღიტინე.

ჩერსტინი იჯდა მწვანეზე გაშლილ საბანზე და იცინოდა. ძალიან ლამაზი ბავშვია. წინწამოწეული შუბლი და ცისფერი თვალები აქვს. უკვე რვა კბილი ამოუვიდა _ ოთხი ზევით, ოთხი ქვევით. კბილები ბრინჯის მარცვლებს მიუგავს. ლაპარაკი ჯერ არ იცის. მარტო ეი! ეის! გაიძახის. შეიძლება ამ წამოძახილს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით.

ჩერსტინს აქვს ეტლი, რომლითაც ასეირნებენ ხოლმე. ანამ მითხრა, მოდი, გავასეირნოთო. მეც დავეთანხმე.

_ წავიდეთ, ჩემო გოგო, წავიდეთ, ჩემო ჩერსტინ, _ ეალერსებოდა ანა და ეტლში სვამდა. _ ახლა ჩერსტინი სასეირნოდ წავა!

ანა ძალიან წყნარად და ალერსიანად ელაპარაკებოდა, ისე როგორც უნდა ელაპარაკო ბავშვებს.

_ დაჯექი, ასე უფრო კარგად იქნები!

მაგრამ ჩერსტინს დაჯდომა არ ნებავდა. მას ფეხზე დგომა სურდა, ხტოდა და ეი! ეიო! გაიძახოდა. შეგვეშინდა, ნამდვილად ჩამოვარდებაო.

_ მე მგონია, ჯობს ეტლზე მივაბათ, _ ვურჩიე ანას.

ავიღეთ მსხვილი თოკი და ჩერსტინი ეტლზე დავაკარით.

ჩერსტინი როგორც კიმიხვდა, ვერ წამოვდგებიო, ღრიალით გააყრუა იქაურობა. ბოსლიდან ულე მოქანდა.

_ რას შვრებით? რატომ სცემთ? _ გვიყვირა გაბრაზებულმა.

_ გაგიჟდი, ვინ სცემს? _ დავეტაკე ულეს. _ თუ სიმართლე გინდა, წყნარად და ალერსიანად ველაპარაკებით.

_ მიფრთხილდით! _ დაგვემუქრა ულე. _ რაც უნდა, ის აკეთოს და აღარ იტირებს.

რა თქმა უნდა, ულემ ჩვენზე უკეთ იცოდა ჩერსტინის ხასიათი. ბოლოს და ბოლოს, მისი და იყო, ჩვენი ხომ არა. ამიტომ ნება დავრთეთ ჩერსტინს ფეხზე ამდგარიყო. მე ეტლს მივაგორებდი, ანა გვერდით მოსდევდა და ჩერსტინს ხელს აშველებდა, რომ არ წაქცეულიყო. ასე მივაღწიეთ თხრილს. ჩერსტინმა თხრილი რომ დაინახა, ეტლიდან გადმობობღდა.

_ მოიცა, ვნახოთ, რა უნდა, _ მითხრა ანამ.

დავუწყეთ ყურება, რა სიზამსო. რატომღაც ფიქრობენ, რომ პატარა ბავშვები ჩქარა ვერ დარბიანო. ეს შეცოდმაა. პატარა ბავშვებმა თუ მოინდომა, კურდღელზე სწრაფადაც გაიქცევა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჩერსტინს ეს შეუძლია. თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით, რომ თხრილის პირას აღმოჩნდა, წაიბორძიკა და პირდაპირ თავით გადაეშვა წყალში. მართალია, ულემ გვირჩია, ჩერსტინი ნებაზე მიუშვით, თუნდაც თხრილში ჩაწოლა მოისურვოსო, მაგრამ თხრილიდან მაინც ამოვათრიეთ. მთლად სველი იყო, ღრიალებდა და გაჯავრებული გვიყურებდა, თითქოს ჩვენ ვიყავით დამნაშავეები, ის რომ თხრილში ჩავარდა. მაგრამ მაინც წყნარად და ალერსიანად ველაპარაკებოდით. ჩავსვით ეტლში და შინ წავიყვანეთ ტანსაცმლის გამოსაცვლელად. ულე კინაღამ გადაირია, სველი ჩერსტინი რომ დაინახა.

_ ეს რა გიქნიათ? _ გვიღრიალა გაცეცხლებულმა. _ ბავშვის დახრჩობა გინდოდათ?

ანა მიუბრუნდა და უთხრა, შენც მოთმინება გმართებს, წყნარად და ალერსიანად უნდა გველაპარაკო, რადგან ჩვენც, მართალია, უფრო მოზრდილები, მაგრამ მაინც ბავშვები ვართო.

ჩერსტინი მივიდა ულესთYან, ფეხებზე შემოეხვია და ისე უნუგეშოდ ქვითინებდა, თითქოს მე და ანას მართლა მისი დახრჩობა გვინდოდა.

ულემ მოგვაძებნინა ჩერსტინის სუფთა კაბა და ისევ ბოსელში გაიქცა.

_ ჯერ ქოთანზე დასვით, მერე კაბა გამოუცვალეთ! _ გვითხრა წასვლის წინ.

ნეტავი გამაგებინა, თვითონ თუ უცდია როდისმე ჩერსტინის ქოთანზე დასმა. საინტერესო იყო გვენახა, ამას როგორ მოახერხებდა. მე და ანა, რაც ძალა და ღონე გვქონდა, ვცდილობდით, მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა. ჩერსტინი ჯოხივით გაშეშდა და ბთავილით აიკლო იქაურობა.

_ აი, სულელი ბავშვი! _ წამოვიძახე და მაშინვე გამახსენდა, რომ ასე არ შეიძლება პატარა ბავშვებთან ლაპარაკი.

ვერ დავსვით ჩერსტინი ქოთანზე და დავუწყეთ კაბის გამოცვლა. მე ხელში მეკავა, ანა კი სუფთა თეთრეულს აცმევდა. ჩერსტინი თევზივით სხმარტალებდა და ღრიალებდა. მთელი ნახევარი საათი მოვუნდით ამ საქმეს. რომ ჩავაცვით, მე და ანმ ნახევარი საათი შევისვენეთ. სანამ ჩვენ ვისვენებდით, ჩერსტინი შეძვრა სამზარეულოს მაგიდის ქვეშ და ტბა დააყენა. ემრე გამოძვრა, მისწვდა მუშამბას და დაითრია. რაც მაგიდაზე ფინჯნები ეწყო, რა თქმა უნდა, ძირს გადმოცვივდა და დაიმსხვრა.

_ რა საძაგელი ხარ! _ უთხრა ანამ, რაც შეეძლო წყნარად და ალერსიანად. მოწმინდა გუბე და მოაქუჩა ნამსხვრევები, მე კი ჩერსტინს ძველი საცვალი გავაძვრე. სანამ მშრალს ვეძებდი, ჩერსტინი ქუჩაში გაგვექცა. როგორც იყო, ბოსელთან დავეწიეთ. ულემ თავი გამოყო და დაგვიყვირა:

_ თქვენ გაგიჟდით? რატომ გამოუშვით ბავშვი შიშველი?

_ არაფერიც არ გამოგვიშვია! _ უპასუხა ანამ. _ თუ სიმართლე გინდა, ჩვენთვის ნებართვა არც უთხოვია.

შევათრიეთ ჩერსტინი შინ და ჩავაცვით მშრალი საცვალი, თუმცა საშინლად იგრიხებოდა და ბღაოდა.

_ გეხვეწები... დამიჯერე... _ თითქმის წყნარად და ალერსიანად ეუბნებოდა ანა.

ჩერსტინს ჩავაცვით ყველაზე ლამაზი კაბა, იმიტომ, რომ სხვა ვერ ვიპოვეთ. ძალიან კარგი კაბა იყო, ნაკეცებიანი და ფურჩალებიანი.

_ ფრთხილად იყავი, კაბა არ გააჭუჭყიანო! _ ვუთხარი ჩერსტინს, თუმცა ის ბაიბურშიც არ იყო, რას ეუბნებოდნენ.

მაშინვე ღუმელთან მიირბინა და ნაცარში ამოიგანგლა. მართალია, ნაცარი ჩამოვფერთხეთ, მაგრამ კაბამ სითეთრე და ლაზათი დაკარგა. სანამ კაბას ვუფერთხავდით, ჩერსტინი გულიანად იცინოდა, ეგონა, მეთამაშებიანო.

_ თორმეტი საათია! _ წამოიძახა უცებ ანამ. _ ამის ჭამის დროს.

ჯერ გავაცხელოთ ისპანახი, რომელიც ქვაბით იდგა ქურაზე. მერე დავისვი ჩერსტინი მუხლებზე, ანა კი აჭმევდა. ჩერსტინი ფართოდ აღებდა პირს. ანამ თქვა:

_ მაინც ძალიან კარგი გოგოა!

აიმს პასუხად ჩერსტინმა ისე ჰკრა ხელი კოვზს, რომ ისპანახი პირდაპირ თვალებში შემეყარა. ანა ისე ახარხარდა, კინაღამ გაუვარდა თეფში ხელიდან. ცოტა მეწყინა კიდეც, რა აცინებს-მეთქი. ჩერსტინიც გულიანად იცინოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ესმოდა, რაზე იცინოდა ანა. ეგონა, ასე უნდა ისპანახი შიგ თვალებში უნდა ტყვლიპო ხალხსო.

ჩერსტინი რომ გამოძღა, კბილი კბილს დააჭირა და კოვზი აღარ მიიკარა. ისპანახის ნარჩენები კაბაზე დაეყარა. მერე კომპოტი რომ დალია, ჩერსტინის ლამაზ კაბას ვეღარ იცნობდით _ ახლა თეთრი კი არა, ჭრელი იყო.

_ კიდევ კარგი, სადილობის მერე რომ უნდა დაიძინოს, _ მითხრა ანამ.

_ აბაა! _ ამოვიოხრე მე.

დიდი წვალებით გავხადეთ ტანთ ჩერსტინს და ღამის პერანგი გადავაცვით. ამას მივალიეთ ჩვენი უკანასკნელი ძალა.

_ თუ ახლა ვინმეს სჭირდება დაძინება, ისევ მე და შენ, _ შევწუწუნე ანას.

წავიყვანეთ ჩერსტინი და ჩავაწვინეთ თავის საწოლში, რომელიც სამზარეულოს მომიჯნავე ოთახში იდგა. მერე გამოვედით და კარი გამოვიხურეთ. ჩერსტინი ატირდა. ჯერ ვითომ არ გვესმოდა მისი ტირილი, მაგრამ ის უმატებდა და უმატებდა ღრიალს. ბოლოს ანამ ვეღარ მოითმინა, შეყო თავი კარში და დაუყვირა:

_ ახლავე გაჩუმდი, შე საძაგელო!

ყველასათვის ცნობილია, რომ ბავშვებს წყნარად და ალერსიანად უნდა ელაპარაკო, ოღონდ ეს ზოგჯერ არ გამოდის. თუმცა გაზეთები არ ტყუიან _ ბავშვები უფრო აუტანლები ხდებიან, როცა უყვირიან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ჩერსტინს ასე დაემართა, პირდაპირ ჩაბჟირდა ტირილისაგან. მაშინვე შევცვდიდით ოთახში, ისე გაუხარდა, რომ საწოლში ხტუნვა დაიწყო.

ისევ დავაწვინეთ და შევეცადეთ საბანში შეგვეხვია. ჩერსტინმა მაშინვე გადაიხადა. როცა საბანი მეათედაც გადაიძრო, მოვეშვით მის ფუთნა და წყნარად და ალერსიანად ვუთხარით:

_ ძილის დროა, ჩერსტინ! _ და გამოვედით ოთახიდან.

ჩერსტინი აღრიალდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

_ გაუშვი, იღრიალოს, _ მითხრა ანამ. _ მე იქ შემსვლელი აღარა ვარ!

დავსხედით სამზარეულოს მაგიდასთან და შევეცადეთ საუბარი გაგვება. არაფერი გამოგვივიდა, ჩერსტინმა აუწია და აუწია ხმას. მისი ღრიალისაგან უკვე ცივი ოფლი გვასხამდა. ზოგჯერ ერთი-ორი წამით გაყუჩდებობდა, თითქოს ძალს იკრებს ღრიალისთვისო.

_ იქნებ რამე სტკივა? _ შევშინდი ძალიან.

_ ალბათ, მუცელი! _ თქვა ანამ. _ ვაითუ, აპენდიციტია!

ისევ გავიქეცით ჩერსტინთან. ის საწოლში იდგა დ ათვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მაგრამ დაგვინახა თუ არა, ხტუნვასა და სიცილს მოჰყვა.

_ არაფერიც არ სტკივა! _ გაბრაზდა ანა. _ არც მუცელი და არც თავი! წამოდი!

გამოვიხურეთ კარი და დავსხედით მაგიდასთან... ჩერსტინის ყვირილისაგან ისევ ცივ ოფლში დავიწყეთ ცურვა. მოულოდნელად ჩერსტინის ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა:

_ ოჰ, რა კარგია! ძლივს არ დაიძინა! _ ამოვისუნთქე შვებით.

ამოვიღეთ ლოტო და შევუდექით თამაშს.

_ ბავშვები მუდამ ლოგინში უნდა იყოლიო, ის მაინც გეცოდინება, სად არიან, _ მითხრა ანამ.

იმავ წუთას რაღაც საეჭვო ფაჩუნი გავიგონეთ.

_ ეს უკვე მეტისმეტია! ნუთუ ჯერ კიდევ არ დაუძინია! _ წამოვიძახე გაკვირვებულმა.

ფეხაკრეფით მივიპარეთ მე და ანა კართან და გასაღების ჭუჭრუტანაში შევიჭყიტეთ. საწოლი კი დავინახეთ, მაგრამ ჩერსტინი არა ჩანდა. გულგახეთქილები შევცვივდით ოთახში.

როგორ გგონიათ, სად ვიპოვეთ? ჩერსტინი იჯდა ბუხარში, რომელიც ახლხან გამოასუფთავეს და შეათეთრეს. ოღონდ ჩერსტინის შიგ შეძვრომის მერე თეთრი კი არა, შავი იყო. ჩერსტინს ხელში ეჭირა გუტალინიანი ქილა და თავიან-ფეხიანად შიგ ამოთხუპლიყო. თმა, სახე, ხელები და ფეხები ზანგივით გაშავებოდა. ეტყობა, ძია ნილსს წასვლის წინ ქილა თავახდილი დარჩენოდა.

_ რას წერენ ნეტა გაზეთებში, ბავშვების ცემა შეიძლებაო? _ შევეკითხე ანას.

_ არ მახსოვს, _ მხრები აიჩეჩა ანამ. _ სულ არ მედარდება, შეიძლება თუ არა.

ჩერსტინი გამოძვრა ბუხრიდან, მოგვიახლოვდა და ანს მოფერება დააპირა. ანა აღრიალდა:

_ ახლოს არ მომეკარო, შე საძაგელო!

მაგრამ ჩერსტინი ყურსაც არ უგდებდა, ანას ეპოტინებოდა და, თუმცა ანა ცდილობდა თავი აერიდებინა, პირი-სახე მაინც გუტალინით მოესვარა. ისეთივე სიცილი ამიტყდა, როგორც ანას, როცა ჩერსტინმა თვალებში ისპანახი მომატყვლიპა.

_ დეიდა ლიზის ეგონება, ჩერსტინი ზანგ ბავშვში გამიცვალესო, _ ვთქვი, სიცილით რომ გული ვიჯერე.

არც მე ვიცოდი და არც ანამ, რანაირად მოგვეშორებინა ჩერსტინისათვის გუტალინი, ამიტომ გადავწყვიტეთ, ბრიტასთან გვეკითხა, ანა უკვე ჭუჭყიანი იყო და ჩერსტინთან დარჩა, მე კი ბრიტასთან გავიქეცი. ის გაციებული იყო და ლოგინში იწვა. როცა ვუამბე, რაც დაგვემართა, ბრიტამ მითხრა:

_ ნა დადიები თართ!

ბრიტას უნდოდა ეთქვა, «რა გადიები ხართო», მაგრამ სურდო ჰქონდა და არ გამოუვიდა. ეს რომ გვითხრა, გადაბრუნდა კედლისკენ და ჩაიბუტბუტა, ავად ვარ და არა ვარ ვალდებული ვიცოდე, როგორ აშორებენ გუტალინსო.

ამასობაში ულე მოვიდა ბოსლიდან და შავი ჩერსტინი რომ დაინახა, საშინლად განრისხდა.

_ თქვენ სულ გადაირიეთ? _ აყვირდა გაცეცხლებული. _ რატომ შეღებეთ ბავშვი შავად?

შევეცადეთ გაგვეგებინებინა, რომ არ შეგვიღებავს. არც მოგვისმინა. ყვირო და ყვიროდა, ისეთი კანონი უნდა გამოსცენ, თქვენისთანებს ბავშვების მოვლა აეკრძალოსო. კიდევ გვითხრა, მორჩა, ამის შემდეგ ვინმე სხვა ბავშვზე ივარჯიშეთო.

მაგრამ მაინც სამივემ გავაცხელეთ ერთი ქვაბი წყალი და მდელოზე გამოვიტანეთ. მერე ჩერსტინი გავიყვანეთ. იატაკს მისი ფეხის პატარა შავი ნაფეხურები დააჩნდა. ჩავსვით როფში და გავსაპნეთ თავიდან ფეხებამდე. საპონი, რასაკვირველია, იმ წუთას თვალში ჩაუვიდა და ისე აჭყივლდა, რომ ლასემ და ბოსემაც მოირბინეს გასაგებად, გოჭს ხომ არა კლავენო.

_ არა, _ უპასუხა ულემ. _ ლიზი და ანა ვარჯიშობენ ჩვენს ჩერსტინზე.

ჩერსტინის გათეთრება მაინც ვეღარ შევძელით. რომ გავამშრალეთ, მთლიანად ნაცრისფერი იყო. სამაგიეროდ, მშვენიერ გუნებაზე იყო. ნაცრისფერი ჩერსტინი დარბოდა მდელოზე და ყვიროდა: «ეი! ეი!», თან იცინოდა და თავის ბრინჯისმარცვალა კიჭებს აჩენდა. ულე გულაჩუყებული უყურებდა.

ჩვენ გული დავიმშვდიეთ, ჩერსტინს ნელ-ნელა გადაუვა გუტალინი და ისევ ვარდისფერი გოგო გახდებაო. ლასემ კი გვითხრა, ზამთრამდე მაგისი იმედი არა გქონდეთო.

ბანაობის შემდეგ ჩერსტინი თვითონ ულემ ჩააწვინა დასაძინებლად. წარმოგიდგენიათ, ხმაც არ ამოუღია, ჩაიდო თითი პირში და მაშინვე დაეძინა.

_ ისწავლეთ, როგორ უნდა მოვლა! _ ამაყად გვითხრა ულემ და გოჭებისთვის საჭმლის დასაყრელად წავიდა.

მე და ანა კი პარმაღზე დავსხედით დასასვენებლად.

_ საწყალი დეიდა ლიზი, ყოველდღე ასე რომ იტანჯება, _ ვთქვი მე.

_ ალბათ, გაზეთებში ტყუილებს წერენ, _ თქვა ანამ. _ პაარა ბავშვებისათვის სულ ერტია, როგორ დაელაპარაკები. მაინც იმას აკეთებენ, რაც თვითონ უნდათ.

ორივენი გავჩუმდით.

_ როგორ ფიქრობ, როცა გაიზრდები, გადია გამოხვალ? _ ვკითხე ანას.

_ ვნახოთ, შეიძლება გამოვიდე, _ მიპასუხა ანამ. მერე ჩაფიქრდა, გახედა სათივის სახურავს და დაუმატა: _ მაგრამ ჯერ მთლად არ გადამიწყვეტია.

ალუბლის სააქციო საზოგადოება

ბიულერბიუში ალუბლის ხეები ბლომადაა. ჩვენს ბაღშიაც, ბრიტასთანაც და ანასთანაც. აი, ულეს კი არ უდგას, ყოველ შემთხვევაში ისეთი, რამედ რომ ღირდეს. სამაგიეროდ, ერთი მსხალი უდგას, ჯერ კიდევ აგვისტოში შემოდის. ორიც ქლიავი _ ყვითელ-ყვითელ გემრიელ ნაყოფს ისხამს.

ბაბუას ფანჯრის ქვეშ უზარმაზარი ბალი დგას. ალბათ, ყველაზე დიდი ბლის ხეა მსოფლიოში. იმას ბაბუას ბალს ვეძახით. ხის ტოტები მიწამდეა დახრილი და ყოველ წელს მსხვილ წვნიან ნაყოფს ისხამს. ბაბუა ნებას გვაძლევს, რამდენიც მოგვესურვება, იმდენი ვჭამოთ, ოღონდ გვთხოვს, ქვედა ტოტები არ გავუკრიფოთ. ქვედა ტოტები ჩერსტინისაა. ბაბუას უნდა, ჩერსტინმა თავისი ხელით მოწყვიტოს ბალი. ჩერსტინი ასეც იქცევა, მაგრამ ულე მაინც გაფაციცებული მიჩერებია, კურკეიც არ გადაყლაპოსო.

ჩერსტინის ბალს თითს არ ვაკარებთ არც ერთი. ჩვენთვს იოლზე იოლია ხეზე აძვრომა. იქ იმდენი უნაგირა ტოტია, გადაჯექი ზედ და ყლაპე ბალი, რამდენიც გინდა, სანამ მუცელი არ აგტკივდება. ყოველ წელს, ბალი შემოვა თუ არა, ცოტ-ცოტა ყველას გვტკივდება მუცელი. ქლიავი რომ შემოვა, მაშინ კი გაგვივლის ხოლმე.

ლასეს, ბოსეს და მე თითო საკუთარი ალუბლის ხე გვაქვს.

დდა ალუბალს ზამთრისთვის ახმობს. დაყრის ტაფაზე და შედგამს ფურნაკში. ალუბალი ხმება და ჭკნება. მერე ეს კერკი მთელ ზამთარს შეგიძლია შეინახო და აკეთო გემრიელი კომპოტი.

წელს ალუბლის უნახავი მოსავალი მოვიდა. ხეები ნაყოფით იყო დახუნძლული. ვჭამდით და ვჭამდით, მაგრამ არაფერი აკლდებოდა, თუმცა ბრიტა, ანა და ულეც პატიოსნად გვეხმარებოდნენ. ბოლოს ლასემ კერკად გახმობაც გადაწყვიტა. გაავსო ტაფა და შედგა ფურნაკში, თვითონ კი საბანაოდ გაიქცა. მისი ალუბალი, რა თქმა უნდა, დანახშირდა.

საღამოს ბაბუასთან ვისხედით და გაზეთს ვკითხულობდით. გაზეთში ეწერა, სტოკჰოლმში ქილა ალუბალი ორი კრონი ღირსო. ლასე ძალიან წუხდა, ჩემი ალუბალი სტოკჰოლმში რად არ მიდგასო.

_ დავდგებოდი გზაჯვარედინზე და გავყიდდი ალუბალს, _ თქვა ლასემ. _ ჰოდა, მეფესავით გავმდიდრდებოდი.

შევეცადეთ გვეანგარიშა, რამდენ ფულს ავიღებდით ჩვენი ხეები მართლა სტოკჰოლმში რომ მდგარიყო. საშინლად ბევრი გამოვიდა.

_ აბა, ჩვენი ტბა საჰარაში რომ ყოფილიყო და იქ მტკნარი წყალი გამეყიდა, რას გავმდიდრდებოდი! _ გაეცინა ბრიტას.

ეტყობა, ლასე მთელი ღამე ალუბალზე ფიქრობდა, იმიტომ, რომ დილას ადგა თუ არა, გამოგვიცხადა, დიდი სოფლის იქით რომ შარაგზაა, იქ უნდა გავყიდო ალუბალი, დილიდან საღამომდე მანქანები დაგრიალებენო.

_ რა იცი, იქნებ სტოკჰოლმელებმაც გამოიარონ, _ დაამატა ლასემ.

ალუბლის გაყიდვა მე და ბოსესაც მოგვინდა და სამივემ ერთად შევქმენით ალუბლის სააქციო საზოგადოება. იმ საზოგადოებაში ბრიტა, ანა და ულეც მივიღეთ, თუმცა იმათ საკუთარი ხეები არა ჰქონდათ. სანაცვლოდ ისინი დაგვპირდნენ, ალუბლის კრეფაში შეგეშველებითო.

მეორე დიალს ხუთ საათზე გავიღვიძეთ და ბაღში გავიქეცით. რვა საათამდე სამი დიდი კალათა გავავსეთ. მერე, ღონე რომ გვყოფნოდა, ფაფით გამოვიტიკნეთ და დიდი სოფლისკენ გავეშურეთ. იქ ძია ემილის დუქანში შევედით და ქაღალდის პაკეტები ვიყიდეთ. პაკეტების საყიდელი ფული ბოსეს ყულაბიდან ამოვიღეთ.

_ რად გინდათ ამდენი პაკეტი? _ გაუკვირდა ძია ემილს.

_ შარაგზაზე ალუბალი უნდა გავყიდოთ, _ უპასუხა ლასემ.

ჩვენი კალათები კართანაზე იდგა და ულე დარაჯობდა.

_ უზომოდ მიყვარს ალუბალი! _ თქვა ძია ემილმა. _ მოდით, ცოტა მეც მომყიდეთ!

ლასემ მოიტანა ერთი კალათა და ძია ემილმა აწყა თავისთვის ორი ქილა. თითო ქილაში თითო კრონი გადაგვიხადა, ასე ღირს ალუბალი აქეთო.

ჩვენ მაშინვე დავუბრუნეთ ბოსეს ყულაბიდან ამოღებული ფული და ცოტა კიდევ დაგვრჩა.

ძია ემილი, ჩვეულებრისამებრ, შაქარყინულით გაგვიმასპინძლდა. ულემ შემინული კარიდან თვალინ მოჰკრა შაქარყინულს, მაშინვე დატოვა თავისი პოსტი და დუქანში ისე

შემოვარდა, თითქოს ცოფიანი ძაღლები მოსდევდნენ. ძია ემილმა ულესაც მიართვა შაქარყინული და ისიც ტყვიასავით გავარდა უკან.

შარაგზა დიდი სოფლის ახლოს გადის. შემოდგომობითა და ზამთრობით იქ მარტო საბარგო მანქანები დადის. სამაგიეროდ, ზაფხულობით რომელ მანქანას არ ნახავ, იმიტომ, რომ ულამაზესი გზაა.

_ გზის სილამაზეს როგორ დაინახვენ, როცა გადარეულებივით მიაქროლებენ მანქანებს! _ თქვა ლასემ, პირველმა მანქანამ რომ ჩაგვიქროლა გვერდით.

ბიულერბიუდან ერთი პლაკატი მოვიტანეთ, ზედ მსხვილი აოსებით ეწერა ალუბალი». გამოჩნდებოდა თუ არა მანქანა, მაღლა ავწევდით ამ პლაკატს. ამაოდ, არც ერთი არ გაჩერდა. ლასემ თქვა, ალბათ, ვერ გაარჩიეს პლაკატზე რა ეწერა, «ალუბლის» მაგიერ «აბდალი» წაიკითხეს, განაწყენდნენ და ასე იმიტომ ჩაგვიარესო.

ცოტა ხნის შემდეგ თვითონ ლასე გაბრაზდა.

_ ახლავე ვასწავლი მაგათ ჭკუასო, _ დაიქადნა და შორიდან რომ მანქანა გამოჩნდა, პლაკატით შუაგზაზე გაჩერდა. ლასე ბეწვზე გადარჩა, მაგრამ მანქანა რომ გაჩერდა, გადმოვიდა იქიდან ბრაზიანი ძია, სტაცა ხელი და მაგარი გასაბერტყი ხარო, უყვირა.

_ მეორედ ასეთი რამე არ გაბედო, თორემ არ ვიციო! _ დაემუქრა ლასეს.

ლასე დაპირდა, აღარ ვიზამო. იმ ძიას გული მოულბა და ერთი ქილა ალუბალი იყიდა.

შარაგზაზე საშინელი მტვერი იდგა. კიდევ კარგი, მოვიფიქრეთ და კალათებს ქაღალდები მივაფართ. მაგრამ ჩვენი თავისთვის რითი უნდა გვეშველა. ყოველი მანქანის გავლისას მტვრის საშინელი კორიანტელი დგებოდა და ეს მტვერი სულ ზედ გვედებოდა. საზიზღარი რამე იყო.

_ ფუი, რა მტვერია! _ ვთქვი შეწუხებულმა.

ლასემ მკითხა, რატომ არ თქვი, «ფუი, რა მტვერია!» და არა, «ფუი, როგორ ანათებს მზე!» ანდა «ფუი, როგორ ჭიკჭიკებენ ჩიტებიო». ვინ დაადგინა, რომ მტვერი საზიზღარია, მზე კი საისამოვნო? ჰოდა, გადავწყვიტეთ, ამიერიდან მტვერიც სასიამოვნო რამედ ჩაგვეთვალა. ისევ რომ ჩაიქროლა მანქანამ და ისე გაბუქა იქაურობა, რომ ერთმანეთს ვეღარ ვხედავდით, ლასემ უცებ თქვა:

_ რა სასიამოვნო მტვერია!

ბრიტამ დაუმატა:

_ ჰო, აქ კარგად დგება მტვერი!

ბოსემ კიდევ თქვა:

_ მე კი მგონია, აქ ძალიან ცოტა მტვერია!

მაგრამ ბოსე შეცდა. შორიდან დიდი სარბარგო მანქანა გამოჩნდა და მტვრის ბურუსში გაგვხვია. ანა ხელები გაშალა და წამოიძახა:

_ რა მომხიბლავი მტვერია! _ მაგრამ ხველა აუტყდა და გაჩუმდა.

მტვერი რომ დაჯდა, ისეთი გამტვერილები და ჭუჭყიანები აღმოვჩნდით, რომ ერთმანეთი ვეღარ ვიცანით. ბრიტამ ცხივრი მოიხოცა და ცხვირსახოცი დაგვანახა. მთლად შავი იყო. ჩვენც დავიწყეთ ცხვირის ხოცვა და ყველას ცხივრსახოცი იმ დღეში ჩავარდა. მარტო ულეს არ მოუხოცავს ცხვირი, იმიტომ რომ ცხვირსახოცი არა ჰქონდა. ბოსემ თავისი გაუწოდა.

ბრიტა აწიწინდა, ეს არ ითვლება, იმიტომ რომ ბოსეს ცხივრსახოცი, სანამ მოიხოცავდნენ, მანამდეც შავი იყოო.

_ თავი გამანებე! _ გაჯავრდა ბოსე. _ შენს გულს კაცი ვერ მოიგებს.

ერთი სიტყვით, თუმცა შარაგზაზე მშვენიერი მტვერი იდგა, გული გვწყდებოდა, რომ მანქანები არ ჩერდებოდნენ. ბოლოს ლასე მიხვდა, ძალიან უხეირო ადგილი შევარჩიეთ, აქ მანქანები მთელი სისწრაფით მიქრიან და უჭირთ გაჩერებაო.

_ მოდით, მოსახვევში გავჩერდეთ, იქ უფრო ნელა მიდიან, _ გვითხრა ლასემ.

ასეც მოვიქეცით. ისეთი ადგილიც კი ვიპოვეთ, სადაც გზა ორჯერ უხვევდა. კიდევ გადავწყვიტეთ, ხელი ხელს ჩაგვეჭიდა და ისე აგვეწია მაღლა, რომ ადვილად შევემჩნიეთ.

_ აი, ნახეთ, ამან თუ არ გვიშველოს! _ თქვა ლასემ.

ასეც მოხდა. თითქმის ყველა მანქანა გაჩერდა. პირველში დედა, მამა და ოთხი ბავშვი იჯდა. ბავშვები ყვიროდნენ, ალუბალი გვინდაო. მამამ ბავშვებს სამი ქილა ალუბალი უყიდა, დედამ კი გვითხრა:

_ ბავშვებო, ეს რა კარგად მოგიფიქრებიათ, მეტისმეტად გვწყეროდა.

ყველას ძალიან მოეწონა ჩემი ალუბალი, მსხვილ-მსხვილი, სიმწიფისაგან ჩაშავებული და ტკბილზე ტკბილი. ბავშვების მამამ თქვა, შორს, უცხო ქვეყანაში მივდივართო. საოცარი მეჩვენა, რომ ჩემი ალუბალი უცხო ქვეყანაში გაემგზავრებოდა, მე კი აქ, ბიულერბიუში დავრჩებოდი. ლასემ წყალი გადამასხა:

_ უცხო ქვეყანაში არა, ის არ გინდა! მაგ შენს ალუბალს რამდენიმე კილომეტრის მერე შეჭამენ!

მე ჩემთვის მაინც ვიმეორებდი, სულ ერთია, მოხვდება საზღვარგარეთ, ისე თუ არა, მუცლებში ხომ ექნებათ-მეთქი.

ალუბლისთ ვაჭრობა გაჩაღდა. ერთმა ძიამ თითქმის მთელი კალათა იყიდა _ ბოსეს ალუბლიანი კალათა. იმ ძიამ თქვა, ამ ალუბლით ჩემი ცოლი კომპოტს გააკეთებს, რომელიც ძალიან მიყვარსო.

_ ოხ, რა საოცარია! _ გამომაჯავრა ბოსემ. _ ჩემი ალუბლით კომპოტს გააკეთებენ, ჩემგან კი ვერა!

ბოლოს და ბოლოს, გავყიდეთ ალუბალი. სიგარის კოლოფში, რომელიც ფულის ჩასადებად წამოვიღეთ, მთელი ოცდაათი კრონი იდო. ეს იყო ბრძენთა ზარდახშა, ახლა ან გაამართლა თავისი სახელი. ჩვენ ფული თანაბრად გავიყავით, თითოს ხუთი კრონი შეგვხვდა.

_ რადგან ალუბალი აღარ დაგრჩათ, ჩვენთან ჭამეთ, რამდენიც გინდათ, _ გვითხრა ბრიტამ.

_ მე კიდე ქლიავს მოგცემთ, როცა დამწიფდება, _ დაუმატა ულემ.

ყველაფერი სამართლიანად გადაწყდა.

დიდ სოფელში შვედით საშაქარლამოში და ტკბილეული და ლიმონათი მივირთვით. ახლა ხო ფული გვქონდა! ჩემი ტკბილღვეზელა მარციპანის მწვანე ფოთლებით იყო მორთული.

შინ რომ დავბრუნდით, დედამ ხელი ხელს შემოკრა, ასეთი ჭუჭყიანი სააქციო საზოგადოება ჩემს დღეში არ მინახავსო, და ახლავე დაიბანეთო, დაგვიტატანა. ამ დროს ანამ მოირბინა:

_ ჩვენთან წამოდით, ფინური აბანოა გახურებული! _ მიგვიპატიჟა ყველა.

იმათ ნამდვილი ფინური აბანო აქვთ, აბანო ტბის ნაპირას დგას.

დავავლეთ ხელი სუფთა თეთრეულს და გავცვივდით აბანოში. როგორც იქნა, ჩამოვიბანეთ ის გასაოცარი მტვერი. ნაბანი წყალი ყველასი ერთნაირად შავი ყო. მერე ავძვერით ხარიხებზე დასაორთქლავად. სანამ იქ ვიწექით, გადავწყვიტეთ, ქლიავობას ქლიავის სააქციო საზოგადოებაც შეგვექმნა.

ხარიხებზე ისე ცხელოდა, კინაღამ კანი დაგვისკდა. გამოვცვივდით აბანოდან და ტბაში მოვადინეთ ტყაპანი. უჰ, რა იყო! დიდხანს ვწუწაობდით, ვცურავდით და ვყვინთავდით, ახლა თმაშიც კი არ დაგვრჩა საოცარი მტვრის არც ერთი ნამცეცი.

ცხელი, ცხელი დღე იდგა. ამოვხტით ნაპირზე და ლასემ თქვა:

_ ფუი, როგორ ანათებს მზე!

_ ფუი, როგორ ჭიკჭიკებენ ჩიტები! _ აჰყვა სიცილით ულე.

მე და ანა სიხარულს ვანიჭებთ ადამიანებს

ერთხელ მასწავლებელმა გვითხრა, უნდა ეცადოთ ადამიანებს სიხარული მიანიჭოთო.

_ არასოდეს გააკეთოთ ისეთი რამ, რაც ვინმეს გულს ატკენს, _ თქვა მასწავლებელმა.

იმავე საღამოს მე და ანმ განვიზრახეთ აღარ გადაგვედო ადამიანებისათვის სიხარულის მინიჭება. მაგრამ არ ვიცოდით, პირველად ვინ აგვერჩია. ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტეთ აგდა გაგვეხარებინა და სამზარეულოში გავიქეცით. აგდა იატაკს რეცხავდა.

_ სველ იატაკზე ნუ დადიხართ! _ დაგვიტატანა აგდამ.

_ აგდა, სიხარული გვინდა მოგანიჭოთ და, რას გვეტყვი, რა გაგიკეთოთ? _ ვკითხე აგდას.

_ სამზარეულოდან გადით! _ მოგვიჭრა აგდამ. _ უფრო მეტ სიხარულს ვერაფრით მომანიჭებთ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გამოვედით. მაგრამ აბა, ვის ესიამოვნება ადამინაებისათვის სიხარულის ამგვარად მინიჭება? მასწავლებელს, ალბათ, რაღაც სხვა ჰქონდა მხედველობაში.

დედა ვაშლს კრეფდა ბაღში და ახლა იმასთან მივედით.

_ დედიკო, რა გავაკეთო, რომ სიხარული მოგანიჭო? _ ვკითხე მე.

_ შენ ისედაც მომანიწე სიხარული, _ მიპასუხა დედამ.

_ არა, ასე არ ითვლება! მე რამის გაკეთება მინდა!

_ არაფრის გაკეთება არაა საჭირო, _ მითხრა დედამ. _ კარგი და კეთილი გოგო იყავი. ეს სავსებით საკმარისია.

დავბრუნდი ანასთან და შევჩივლე, ალბათ, მასწავლებელმა არც იცის, რა ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომლისთვისაც სიხარულის მინიჭება შეიძლება.

_ მოდი, ბაბუასთვის ვცადოთ სიხარულის მინიჭება, _ შემომთავაზა ანამ.

გავიქეცით ბაბუასთან.

_ ჩემი მეგობრები მობრძანდნენ! _ თქვა ბაბუამ. _ რა მიხარია!

მე და ანას გულს შემოგვეყარა.

_ არა, ბაბუა, _ უთხრა ანამ. _ ჯერ ადრეა სიხარული. ჯერ რამე უნდა გავაკეთოთ შენთვის. მასწავლებელმა ადამიანებისათვის სიხარულის მინიჭება დაგვავალა, მაგრამ არ ვიცით, ეს როგორ უნდა.

_ მაშ, თუ გინდათ, გაზეთი წამიკითხეთ, _ ჭემოგვთავაზა ბაბუამ.

ჩვენ ხომ ისედაც ყოველდღე ვუკითხავთ გაზეთს! არა, ეს არ ივარგებს.

ანამ უთხრა:

_ ბაბუა, იქნებ ჩვენთან ერთად გასეირნება გესიამოვნოს? შენ ხომ სულ სახლში ზიხარ!

ჩვენი ნათქვამი ბაბუას დიდად არ გახარებია, ოღონდ სასეირნოდ მაინც წამოგვყვა. მთელი ბიულერბიუ შემოვიარეთ და, რც თვალში გვხვდებოდა, ყველაფერს ვეუბნებოდით. ის შუაში მოდიოდა, აქეთ-იქით მე და ანას გვქონდა ხელი ხელში ჩავლებული. ქარი ამოვარდა, წამოჟინჟლა, მაგრამ ყურდღებასაც არაფერს ვაქცევდით, გადაწყვეტილი გვქონდა, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ბაბუასთვის სიხარლუი მიგვენიჭებინა.

ბოლოს ბაბუამ გვითხრა:

_ საკმაოდ ვისეირნეთ, არა? ახლა შინ დაბრუნებას და დაწოლას არაფერი მირჩევნია.

წავიყვანეთ ბაბუა შინ, მაშინვე ლოგინში ჩაწვა, თუმცა ადრე იყო. ანამ აქეთ-იქიდან საბანი ამოუკეცა. ბაბუა ძალიან დაღლილი ჩანდა.

_ ბაბუა, რამ გაგახარა დღეს ყველაზე მეტად? _ ჰკითხა ანამ.

_ მართალი გითხრა, ყველაზე სასიამოვნო შინ დაბრუნება და ლოგინში ჩაწოლა იყო, _ უპასუხა ბაბუამ.

ვახშმის მერე მე და ანა გაკვეთილების სასწავლად დავსხედით, აღარ გვეცალა ხალხისთვის სიხარულის მისანიჭებლად. თანაც არ ვიყავით დარწმუნებული, რომ იმგვარად ვანიჭებდით, როგორც საჭირო იყო.

მეორე დღეს მასწავლებელს ვკითხეთ, რა უნდა ვქნათ, რომ ადამიანებს სიხარული მივანიჭოთო. მასწავლებელმა გვიპასუხა, ამისათვის ზოგჯერ სულ უბრალო რამ კმარაო. მაგალითად, შეიძლება უმღერო მარტოხელა ავადმყოფ ადამიანს ან ყვავილების თაიგული მიართვა იმას, ვისთვისაც ყვავილი არასოდეს უჩუქებიათ, ანდა სულაც მეგობრულად ესაუბროთ მორცხვ, მორიდებულ ადამიანსო.

გადავწყვიტეთ ერთხელ კიდევ გვეცადა ბედი. სადილობისას გავიგონე, აგდამ რომ დედას უთხრა, კრისტინი ავადააო. მაშინვე ანასთან გავიქეცი.

_ ბედმა გაგვიღიმა! _ ვახარე ანას, _ კრისტინი ავად გახდა, ჩქარა წავიდეთ და ვუმღეროთ.

კრისტინს, რა თქმა უნდა, გაუხარდა ჩვენი მისვლა, მაგრამ, მე გონი, ძალიან გაუკვირდა, მოსაკითხი რომ არ მივართვით. ახლა ვუმღერებთ და ალბათ, გაუხარდება-მეთქი, _ გავიფიქრე.

_ კრისტინ, უნდა გიმღეროთ, _ ვუთხარით მე და ანამ.

_ უნდა მიმღეროთ? _ გაუკვირდა კრისტინს. _ ეს რაღასთვის.

_ სიხარული რომ მოგანიჭოთ, _ აუხსნა ანამ.

და დავჭექეთ რამდენიმე სიმღერა. კრისტინის შემხედვარე ვერ იფიქრებდით, ძალიან უხარიაო. არ ეყოფაო და სამჯერ კიდევ ვიმღერეთ. დავოსდით, ხმა ჩაგვიწყდა, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტეთ, სანამ კრისტინს ნამდვილ სიხარულს არ მივანიჭებდით, იქაურობას არ მოვშორებოდით. ვინ გაცალა, კრისტინი საწოლიდან გადმოვიდა და გვითხრა:

_ ბავშვებო, თქვენ იმღერეთ, მე კი აგერ კართანაზე ჩამოვჯდები.

მაშინ კი მივხვდით, სიმღერა რომ აღარ ღირდა და კრისტინს გამოვემშვიდობეთ.

_ მოდი, ვინმეს ყვავილები ვაჩუქოთ, _ წამოიძახა ანამ.

ვიფიქრეთ, ვარჩიეთ, ვისთვის გვეჩუქებინა და ამ დროს ბოსელთან ოსკარი დავინახეთ. ურიკით ნაკელს ეზიდებოდა. მივირბინეთ მასთან და ვკითხე:

_ ოსკარ, შენთვის ოდესმე ყვავილები უჩუქებიათ?

_ ჯერ ხომ ისევ ცოცხალი ვარ! _ გაეცინა ოსკარს.

საწყალი! ასე ჰგონია, ყვავილები ადამიანთან მარტო დასაფლავებაზე მიაქვთ! როგორ გაუხარდა ანას: ძლივს არ ვიპოვეთ ადამიანი, რომლისთვისაც ყვავილი არასოდეს უჩუქებიათო. გავცვივდით. დავკრიფეთ ყვავილები და თაიგული შევკარით. ძალიან ლამაზი გამოვიდა.

ამ თაიგულით წავედით ბოსელში.

_ ოსკარ, აი, ყვავილები მოგართვით! _ გავუწოდეთ თაიგული.

ჯერ იფიქრა, დამცინიანო, და არაფრით არ უნდოდა ყვავილების გამორთმევა, მაგრამ ძალიან შევეხვეწეთ.

საღამოს, მე და ანა რომ დაკარგულ ბოცვერს ვეძებდით, დავინახეთ ჩვენი თაიგული ნაკელის შუაგულში ჩაერჭო ოსკარს.

_ ეტყობა, ყვავილებზე რაღაცა სწორად ვერ გვითხრა მასწავლებელმა, _ შეეჭვდა ანა.

და გადავწყვიტეთ ადამიანებისათვის სიხარული აღარასოდეს მიგვენიჭებინა.

სახლში რომ მივირბინეთ, სამზარეულოში დავინახეთ კაცი, რომელიც მორცხვად იჯდა სკამზე. ეს იყო სვენსონი. გოჭის საყიდლად მოვიდა ჩვენთან დიდი სოფლიდან. ლასე და ბოსე მამას დასაძახებლად გაქცეულიყვნენ. ის კი იჯდა და ელოდა. ანამ გვერდზე გამიყვანა და მითხრა:

_ შეხედე, რა მორცხვია! მოდი, ერთხელაც ვცადოთ, ჰა?!

ჰოდა, გადავწყვიტეთ, გვეცადა. ჩვეულებრივად ისე ვლაქლაქებთ, კაცი ვერ გაგვაჩერებს, ახლა კი სვენსონისათვის სიხარულის მისანიჭებმად საბურის გაბმა რომ გახდა საჭირო, სათქმელი არფრით არ მოგვაფიქრდა. ბოლოს ისევ მე გავბედე:

_ ხომ კარგი ამინდია დღეს? _ ვკითხე მორიდებით.

სვენსონს არ უპასუხია. ავდექი და გავუმეორე კითხვა:

_ დღეს კარგი ამინდია, არა?

_ ჰო, _ ჩაიბურტყუნა სვენსონმა და გაჩუმდა.

ერთი წუთის შემდეგ დავუმატე:

_ ახლა რა მშვენიერი ამინდი იყო გუშინ!

და ანას გადავხედე, მომეშველე-მეთქი. ანამაც დაამატა:

_ შეიძლება ხვალაც კარგი ამინდი იყოს!

_ ჰო, _ ისევ ჩაიბურტყუნა სვენსონმა.

ამ დროს ეზოში მამა გამოჩნდა და სვენსონი წამოდგა. წასვლისას გაგვიღიმა და გვკითხა:

_ გუშინწინ როგორიღა იყო ამინდი?

_ იქნებ ცოტაოდენი სიხარლუი მაინც მივანიჭეთ, ჰა? _ შეყოყმანდა ანა.

მე და ანას მალე მოგვეცა შესაძლებლობა მართლა მიგვენიჭებინა სიხარული ადამიანისათვის. მასწავლებელმა გვითხრა, თქვენი კლასელი მარტა მძიმედ გახდა ავად და დიდხანს მოუწევს ლოგინში წოლაო. ძილის წინ ვიწექი და სულ მარტაზე ვფქირობდი. გადვწყვიტე მისთვის ბელა, ჩემი ყველაზე ლამაზი თოჯინა, მეჩუქებინა. ვიცოდი, მარტას სათამაშოები არ ჰქონდა.

დილით ეს ანას ვუთხარი. ისიც ადგა და თავისი ყველაზე კარგი ზღაპრები მოიტანა. გაკვეთილების შემდეგ მარტასთან გავქანდით. ლოგინში იწვა და მიტკილისფერი ედო. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, საწოლზე თოჯინა და ზღაპრები რომ დავუდეთ. ორივე გულში ჩაიკრა და აკისკისდა. მერე დედას დაუძახა, მოდი, საჩუქრები ნახეო.

შინ რომ ვბრუნდებოდით, ანას ვუთხარი:

_ აი, სიხარული მაშინ მივანიჭეთ ადამიანს, როცა ამაზე არც გვიფიქრია!

ანას ძალიან გაუკვირდა:

_ უჰ, მართლაც! _ წამოიყვირა გახარებულმა. _ კიდევ კარგი, არ ვუმღერეთ. მე მგონია, ადამიანებს ყველაზე მეტად თოჯინებსა და ზღაპრების წიგნებს რომ აჩუქებენ, ის უხარიათ.

_ ჰო, ყოველ შემთხვევაში, ბავშვები ასე არიან, _ დავეთანხმე ხელად.

ტყის ტბაზე

ტყის სიღრმეში ერთი ტბაა, რომელსაც ასე ჰქვია _ ტყის ტბა. ამ ტბაში ბანაობა არ შეიძლება, ჭანჭრობია და იმიტომ. სამაგიეროდ, კიბორჩხალებს ბლომად დაიჭერ, ლასე ამბობს, შვედეთში მეორე ტბას ვერ ნახავ, შიგ ამდენი კიბორჩხალა იყოსო.

ხანდახან ანა მეუბნება:

_ მეცოდები, ლიზი! შენ არა გაქვს საკუთარი ტბა, მე კი მაქვს!

_ როგორ არ მაქვს, აბა ტყის ტბა ვისია? _ ვპასუხობ მაშინვე.

_ ხა-ხა-ხა! _ იცინის ანა. _ ის ხომ მარტო შენი არაა! ყველას ეკუთვნის, ვინც ბიულერბიუში ცხოვრობს. მაშასადამე, ჩემიც ისევეა, როგორც შენი. ხა-ხა-ხა! ესე იგი, მე ორი ტბა მაქვს!

მაგრად ვბრაზდები ანაზე და იმ დღეს აღარ ვეთამაშები. მაგრამ მეორე დღეს ისევ ვრიგდებით და ვამბობთ, სულ ერთია ტბები ვისია, მაინც ყველა ბრიტას და ანას ტბაში ვბანაობთ, ტყის ტბაში კი კიბორჩხალებს ვიჭერთ. ბიულერბიუელების გარდა იქ კიბორჩხალების დაჭერას ვერავინ გაბედავს და, ჩემი აზრით, ეს სამართლიანიცაა.

კიბორჩხალების დაჭერას მხოლოდ აგვისტოში იწყებენ. მოუთმენლად ველით იმ დღეს, იმიტომ, რომ ყველა, რასაკვირველია, ჩერსტინის გარდა, მამებთან ერთად ტბაზე მივდივართ კიბორჩხალების საჭერად.

საღამოს ტბაზე ფაცერებს ვდგამთ, მერე ტყეში ქოხებს ვშლით და ღამეს შიგ ვათევთ, ხოლო გარიჟრაჟზე ჩამოვუვლით და ვამოწმებთ ფაცერებს. ტყეში ღამის თევა _ აი, რაა ყველაზე საინტერესო. ტყის ტბა საკმაოდაა მოშორებული ბიულერბიუსაგან და რამდენიმე საათით შინ დაბრუნებას აზრი არა აქვსო, _ ამბობს ჩვენი მამა. კიდევ კარგი, ტყის ტბა ასე შორსაა ბიულერბიუდან, თორემ დედა შინ დაბრუნებას და დაძინებას მოგვთხოვდა.

_ მეშინია, ბავშვები არ დაცივდნენ, _ ერთსა და იმავეს იმეორებს დედა ყოველ წელს.

_ სისულელეა! _ პასუხობს მამა.

მამამ წელსაც უპასუხა, «სისულელეაო!» და გავუდექით გზას.

ტყის ტბამდე რომ მიხვიდე, მთელი ხუთი კილომეტრი ვიწრო, დაკლაკნილი ბილიკით სულ ტყე-ტყე უნდა იარო. თან ყოველთვის ბევრი ბარგი მიგვაქვს: ფაცერები კიბორჩხალების დასაჭერად, ზურგჩანთები, თხელი საბნები და ნაირ-ნაირი საჭმელი. მაგრამ ჩვენ არ ვწუწუნებთ, მაშინაც კი, როცა ქანცი გვიწყდება, თორემ მამა გვეტყვის, წუწუნებსა და ტირიებს კიბორჩხალების დასაჭერად და ტყეში ღამის გასათევად რა უნდათო.

ტბაზე რომ მივედით, ჯერ შარშანდელი ქოხების სანახავად გავიქეცით, მაგრამ ღვიის ხმელი ტოტების და გამხმარი წიწვის მეტი ვერაფერი ვნახეთ. ქოხს, რომელშიც მე, ანამ და ბრიტამ უნდა ვიცხოვროთ, ფართოტოტება ნაძვის ხის ქვეშ ვმართავთ. ნაძვის ტოტები მიწამდეა დახრილი. მამა და ძია ერიკი ჭრიან ღვიას და იმის ტოტებს გარს ვუწყობთ იმ ნაძვს. მარტო პატარა შესასვლელს ვტოვებთ.

ქოხი რომ გამზადდა, ბიჭების ღამის სათევის სანახავად წავედით. ისინი ნაპრალში იძინებენ ხოლმე. ამ ნაპრალს გარედან ტოტებს აფარებენ. ძილით იმათაც ნაძვის ტოტებზე სძინავთ.

_ კარგი იქნებოდა, გოგოებს აქ მაინც მოვისვენებინეთ, _ გვეუბნება ლასე.

ბოსემ და ულემ თუთიყუშებივით გაიმეორეს მისი ნათქვამი:

_ სიამოვნებით, _ უთხრა ბრიტამ. _ ჩვენი ქოხი თქვენსას ათასჯერ სჯობია.

ახარხარდნენ ბიჭები, გვეცოდებით, არც იცით ნამდვილი ქოხები როგორიაო. საწყენი უცბად ვერაფერი მოვიფიქრეთ და ამასობაში ძია ნილსმა დაგვიძახა, ფაცერები გავმართოთო.

კიბორჩხალების დასაჭერ ფაცერებს ბადიდან აკეთებენ, ამიტომ ყოველ წელს სჭირდება შეკეთება, კიბორჩხალები ნახვრეტებიდან რომ არ გამოძვრნენ.

ვისხედით ტბის ნაპირზე და ბაწრით ვბლანდავდით ნახვრეტებს. ძალიან მხიარულად ვიყავით. მზე ჩადიოდა და საოცრად ლამაზი იყო იქაურობა. ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა. რა თქმა უნდა, როცა ჩვენ არ ვლაპარაკობდით.

_ ლამაზი ტბაა! _ თქვა მამამ.

ძია ერიკმა ამოხაპა წყალი ორი ნავიდან, რომლებიც ტბაზე გვაქვს დატოვებული. მამა და ძია ნილსი კი ფაცერებში სატყუარას ალაგებდნენ. ყველაფერი რომ გამზადდა, ჩავსხედით ნავებში და გავცურეთ ნაპირის გასწვრივ, რომ შიგადაშიგ ფაცერები ჩაგვედგა. ჩვენ საგანგებო ადგილები ვიცით, სადაც მათ ყოველ წელს ვდგამთ ხოლმე.

როცა დაბნელდა, მამამ კლდეზე კოცონი გააჩაღა და სავახშმოდ ყველანი გარს შემოვუსხედით. ცეცხლის შუქი წყლის ზედაპირს ეცემოდა და, გეგონებოდა, ტბაა აალებულიო. ტყეში სიბნელე და სიჩუმე იდგა. უცებ ლასემ თქვა:

_ მესმის, ხეებს შუა როგორ დადიან ტროლები!

მე და ანას შეგვეშინდა, მაგრამ ანამ მაინც თქვა:

_ სისულელეა, არავითარი ტროლი არ არსებობს!

მაინც დავაყურადეთ, ჩვენც გვინდოდა გაგვეგონა, როგორ დახეტიალობდნენ ტყეში ტროლები. ჩქამიც ვერ გავიგონეთ და ლასეს ვუთხარით, ყველაფერი შენი მოგონილიაო.

_ იმათ ფეხის ხმას ვერ გაიგონებთ, იმიტომ, რომ ბანჯგვლიანი თითები აქვთ და ძალიან წყნარად დააბიჯებენ, _ მოგვიგო ლასემ. _ აგე, ხეების უკან დგანან და გვიყურებენ.

_ არაფერიც! იქ არავინ არ არის! _ არ დავუჯერე ლასეს, ოღონდ ყოველი შემთხვევისათვის ანასკენ მივჩოჩდი.

_ არის, როგორ არა! _ თქვა ლასემ. _ ტყე სავსეა ტროლებით და ყველანი ჩვენ გვიყურებენ. ახლოს მოსვლას კი ვერა ბედავენ _ ცეცხლის ეშინიათ.

მამამ დაუტია, ნუ აშინებ პატარა გოგოებს ტყუილებითო, და ცეცხლში ტოტები შეყარა. მხიარულად აბრიალდა კოცონი. მე არა მჯერა, რომ ტროლები მართლა არსებობენ, მაგრამ მაინც ავაცოცდი მამას მუხლებზე. ანა კი თავისი მამის მუხლებზე აცოცდა. ძია ერიკმა სტვენა დაიწყო. მართლაც მშვენივრად უსტვენს. თუ მოინდომა, რომელ ჩიტსაც გინდა, მიბაძავს.

მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ თუ ტყეში მართლა ცხოვრობენ ტროლები, ალბათ, ძალიან უკვირთ, რატომ ვსხედვართ ღამით კოცონის გარშემო და ვუსმენთ ძია ერიკის სტვენას.

მერე მამა, ძია ერიკი და ძია ნილსი სასაცილო ამბებს გვიყვებოდნენ, ჩვენ კი გულიანად ვიცინოდით. ლასემ, ბოსემ და ულემ აიღეს ჯიბის ფარნები და ტბასთან მივიდნენ კიბორჩხალების მოსახელად. ოცდასამი ცალი იპოვეს და ბიდონში ჩააწყვეს. ლასემ ბიჭებს უთხრა:

_ თუ გოგოები ჭკვიანად იქნებიან, ხვალ კიბორჩხალების ნადიმზე მივიწვევთ.

_ ჯერ ვნახოთ, როგორ მოიქცევიან, _ თქვა ბოსემ.

_ ჰო, ძაან უნდა ეცადონ, _ დაუმატა ულემ.

როცა კოცონი თითქმის ჩაიფერფლა, ძია ერიკმა გვითხრა, ძილის დროაო. ჩვენი მამები თავიანთთვის ქოხებს არ აგებენ. პირდაპირ ეხვევიან საბნებში და ცეცხლის პირას წვებიან. მე, ბრიტა და ანა ქოხში შევძვერით და საბნებში გავეხვიეთ. ჯერ ცოტა ხანს ვილაყბეთ, მაგრამ ტყეში ღამით საუბარი უსიამოვნოა, გეჩვენება, თითქოს სიბნელეში ვირაცაა მიმალული და გისმენს.

ბრიტას და ანას ჩემზე ადრე დაეძინათ, ხოლო მე დიდხანს ვიწექი სულგანაბული და ვუსმენდი ტყის ხმაურს. ტყე ჩუმად ხმაურობდა. ტალღები წყნარად ეშხაპუნებოდა ნაპირს. და საოცარი ის იყო, რომ უკვე ვეღარც ვხვდებოდი, მხიარულ გუნებაზე ვიყავი, თუ ნაღველი მაწვა გულზე. ვიწექი და ვფიქრობდი ამაზე, მიხვედრით კი ვერაფერს მივხვდი. ეტყობა, ადამიანი ცოტათი არანორმალური ხდება, როცა ტყეში ათევს ღამეს.

მამამ ოთხ საათზე გაგვაღვიძა ყველანი. სიცივისაგან კბილს კბილზე ვაცემინებდი, თუმცა მზე ჩახჩახებდა, გამოვძვერით ქოხიდან და დავძიძგილავდით, რომ ცოტა გავმთბარიყავით.

მალე გაიფანტა ტბის თავზე ჩამოწოლილი მსუბუქი ნისლი. მე, მამა, ლასე და ბოსე ერთ ნავში ჩავსხედით, ძია ერიკი, ძია ნილსი, ულე, ბრიტა და ანა _ მეორეში და გავცურდით ფაცერების ამოსაღებად.

მეცოდებიან ის ადამიანები, რომელთაც ღამის ოთხ საათზე ტბაზე ნავით არ უცურიათ და არ ამოუღიათ კიბორჩხალებიანი ფაცერები.

თითქმის ყველა ფაცერი სავსე იყო. ლასე და ბოსე ხელით იყვანდნენ ხოლმე კიბორჩხალებს, მე კი მეშინია. ბოსემ აიღო ერთი კიბორჩხალა და დიდხანს უყურა, მერე კი ისევ ტბაში მოისროლა

_ გაგიჟდი! _ უყვირა ლასემ. _ გინდა ყველა გაუშვა?

_ არა, ამას ძალიან ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, _ უთხრა ბოსემ.

_ ნამდვილი სულელი ხარ! _ აღშფოთდა ლასე. _ ახლა მთელ ტბას მოსდებს ჩვენს ამბავს და წელს ერთ კიბორჩხალასაც ვეღარ დავიჭEრთ. რატომ გაუშვი, რატომ?

_ ძალიან ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და იმიტომ, _ გაიმეორა ბოსემ.

ამ დროს ჩვენთან მეორე ნავი მოცურდა და ბრიტას, ანას და ულეს ვკითხეთ, კიბორჩხალები ბლომად თუ დაიჭირეთო.

_ მთელი ნავი სავსეა! _ აყვირდა ულე.

მერე დავბრუნდით ჩვენს სადგომში და კიბორჩხალები თეთრეულის თავსახურიან კალათებში ჩავყარეთ. მერე მოვკრიფეთ ჩვენ-ჩვენი ნივთები და შინისაკენ გამოვემგზავრეთ. ბალახს ცვარი დასდებოდა, ხეებზე ალაგ-ალაგ აბლაბუდა ეკიდა და ბრილიანტივით ბრწყინავდა. ჭამაც მინდოდა, ძილიც, ფეხებიც დამისველდა და მაინც ბედნიერად ვგრძნობდი თავს. აბა, რა სჯობია, როცა დაწალიკებული მიდიხარ ვიწრო ბილიკზე და შინ ორი კალათა კიბორჩხალა მიგაქვს. ერიკი უსტვენდა, ჩვენ კი ვმღეროდით.

უცებ ლასე აყვირდა:

_ კვამლს ვხედავ, კვამლს! ბიულერბიუში ღუმელები აანთეს!

ახლა ყველამ დავინახეთ კვამლის სამი სვეტი ტყის თავზე, მართლაც, ბიულერბიუში გააჩაღეს ღუმელები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენმა დედებმა გაიღვიძეს. ცოტა და სამივე სახლი დავინახეთ. ფანჯრებს მზე ელაციცებოდა და ლამაზი იყო ჩვენი სოფელი.

_ როგორ მეცოდება, ვისაც თავისი სახლი არა აქვს! _ ვუთხარი ანას.

_ მე კი ის მეცოდება, ვისაც ბიულერბიუში არა აქვს სახლი, _ თქვა ანამ.

ბაბუასაც გაეღვიძა და თელის ძირას მდელოზე იჯდა. ჩვენი დაბრუნება რომ გაიგონა, დაგვიძახა:

_ როგორაა საქმე, ისევაა კიბორჩხალები ტყის ტბაში?

ძია ერიკმა უთხრა, ამდენი ალბათ, შენც არასოდეს გინახავსო. ბაბუამ კიდე უპასუხა:

_ ოხო-ხო-ხო! ძაან ბევრს ვიჭერდი წინათ!

ჩამოვსხედით მწვანეზე ბაბუას გვერდით და მოვუყევით, რა მხიარულად გავატარეთ დრო. ლასემ გახსნა ბიჭების დაჭერილი კიბორჩხალებით სავსე ბიდონი, რათა ბაბუას გაეგონა, როგორ ფართხალებდნენ. როცა კიბორჩხალები ფართხალებენ, განსაკუთრებულ ხმას უშვებენ. აი, ასე: «კლირ-კლირ». ეს ხმა არაფერში აგერევა. ბაბუამ გაიცინა და გვითხრა:

_ ჰო, კიბორჩხალებია, ამას თქმა არ უნდა!

მაშინ ლასემ ჰკითხა:

_ ბაბუ, შეიძლება დღეს შენს ოთახში კიბორჩხალების ნადიმი მოვაწყოთ?

_ ოხო-ხო-ხო! რა თქმა უნდა, შეიძლება! _ უპასუხა ბაბუამ.

ბაბუას დაბადების დღე

კვირას ჩვენს ბაბუას ოთხმოცი წელი შეუსრულდა. ამ დღეს ბიულერბიუში ყველა ადრიანად ადგა. რვა საათზე უკვე ბაბუასთან ავედით: მამა, დედა, ლასე, ბოსე და მე, ოსკარი და აგდა, ძია ნილსი და დეიდა ლიზი, ულე და თვით პატარა ჩერსტინიც და, რა თქმა უნდა, ანა, ბრიტა და იმათი დედ-მამა. დეიდა გრეტას მოჰქონდა ლანგარი, რომელზეც ფინჯანი ყავა და ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები ეწყო. ყვავილები კი ბაბუას ყველამ მოუტანა. ჩვენი ლამაზი და გულღია ბაბუა, ჩვეულებისამებრ, სარწეველაში იჯდა. ბავშვებმა ვუმღერეთ, ძია ერიკმა კი სიტყვა უთხრა. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

_ ჩემნაირი მამა ქვეყანაზე არავისა ჰყავს!

ბაბუა ატირდა და ცრემლები დაეპკურა წვერებზე. ისე ამიჩვილდა გული, რომ კინაღამ მეც ავტირდი.

ბაბუას მთელი დღე მოსდიოდა წერილები, ყვავილები და ტელეგრამები.

_ ოხო-ხო-ხო! _ ბუბუნებდა ბაბუა. _ წარმოგიდგენიათ, ხალხს კიდევ ხსომებია ჩემნაირი ბებერი!

აღარ ვიცი, იმ დღეს რამდენჯერ გაიმეორა «ოხო-ხო-ხო!» იჯდა სარწეველაში და დროდადრო იმეორებდა:

_ ოთხმოცი წელი! წარმოგიდგენიათ, რა ბებერი ვარ! ოხო-ხო-ხო!

ეს სიტყვები რომ მეხუთედ გაიმეორა, ანამ მიირბინა მასთან, ხელი ჩასჭიდა და შეეხვეწა:

_ ბაბუ, პირობა მომეცი, რომ არასოდეს მოკვდები!

ბაბუას არაფერი უპასუხია, მარტო ლოყაზე მოუთათუნა ხელი და მოუალერსა:

_ ჩემი კარგი გოგო!

წერილები და ტელეგრამები რომ მოთავდა, ბაბუას გაზეთი წავუკითხეთ. ჰოდა, გაზეთშიც ჩვენი ბაბუას ამბავი არ ეწერა!

«კვირას, 18 ოქტომბერს, ოთხმოცი წელი უსრულდება ბიულერბიუელ მიწათმფლობელს ანდერს იუხან ანდერსონს».

ეს რომ ბაბუას წავუკითხეთ, თავი გაკვირვებით გადააქნია:

_ შეხედე შენ, გაზეთშიც არ მოვხვდი, ოხო-ხო-ხო!

მე კი არ მომეწონა მათი დაწერილი. უცებ ვერ მივხვდი, ვისზე წერდნენ. ასე კი არა, სულ უბრალოდ უნდა ყოფილიყო: «ბიულერბიუელ ბაბუას კვირას ოთხმოცი წელი უსრულდება!».

ბაბუას მთელი გაზეთი წავუკითხეთ, მაგრამ ის წარამარა იმას გვთხოვდა, ბიულერბიუელ მიწათმფლობეზე რაც წერია, ის წამიკითხეთო.

სხვა მხრივ, გაზეთი მოსაწყენი იყო. წერდნენ, მალე ომი დაიწყებაო და სულ ომზე ეწერა ყველაფერი.

ჩვენ შეგვეშინდა კიდეც, ბიულერბიუს რამე არ მოუვიდესო, ჩვენ ხომ მთელი სიცოცხლე იქ ვაპირებდით ცხოვრებას.

მე, ანამ და ბრიტამ უკვე მოვიფიქრეთ, როგორ ვიცხოვრებთ, როცა გავიზრდებით. ლასე ბრიტას შეირთავს და ჩვენს სახლში იცხოვრებენ, ბოსე _ ანას და ორივე ანას სახლში იცხოვრებენ. მე კი ულე შემირთავს და იმათ სახლში ვიცხოვრებთ. მაშინ ყველას შეგვეძლება ბიულერბიუში დარჩენა!

აქვე, ბაბუასთან, გავანდეთ ბიჭებს ჩვენი გეგმა, მაგრამ ლასე გაჯიუტდა:

_ ძაან არ მჭირდება! რა, ბირტაზე ლამაზ ცოლს ვერ ვიშოვი?

ბოსემ გვითხრა, როცა გავიზრდები, ამერიკაში წავალ, ინდიელთა ტომის ბელადი გავხდები და ცოლად იქაურ გოგოს შევირთავ, რომელსაც მოცინარი წყალი ან რამე ამის მაგვარი სახელი ერქმევაო.

_ ოჰ, რა სასაცილო იქნება, როცა დაუძახებ: «მოცინარო წყალო, ყავა მომიდუღე! ანდა «მოცინარო წყალო, მალე მოიხარშება კარტოფილი?» _ სიცილი აუტყდა ლასეს.

მაგრამ ბოსემ მოუჭრა, კარტოფილი არც მიყვარს და არც შევჭამთო.

ულემ თქვა, ბიულერბიუში დარჩენა და ჩერსტინთან ერთად ცხოვრება მინდაო.

_ ისე, თუ ცოლის შერთვა აუცილებელია, ლიზის შერთვაც შეიძლება. ოღონდ პირობას წინასწარ ვერავის მივცემ.

რა სულელები არიან, არა? მაინც ხომ ყველაფერი ასე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა! მე ნამდვილად ვიცი, რომ ულეს გავყვები ცოლად, თუმცა ლამაზი სულ არაა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ იქამდე კიდეც გალამაზდეს.

ბაბუამ გაიგონა ჩვენი ლაპარაკი და გაეცინა:

_ ოხო-ხო-ხო! რა ჯობია ბავშვობას! ნუ იჩქარებთ, შვილებო, დიდობას მერეც მოესწრებით!

ბაბუა რომ დაიღალა, საღამო მშვიდობისა ვუსურვეთ და ჩვენ-ჩვენი სახლებისაკენ გავეშურეთ. უკვე ბნელოდა და მე, ლასემ და ბოსემ ულე კართანამდე მივაცილეთ, ასეთ უკუნში მარტო რომ არ ევლო.

აი, ესა, მეტს ვერაფერს მოგიყვებით ჩვენს ცხოვრებაზე. უნდა დავიძინო, იმიტომ, რომ ხვალ ყველანი კარტოფილის სათხრელად მივდივართ. ამისთვის სამი დღით სკოლიდანაც კი გაგვათავისუფლეს.

ძალიან სახალისოა კარტოფილის თხრა. ტანზე ძველაძვულა სამოსს ვიცვამთ, ფეხებზე კი _ რეზინის ჩექმებს. მინდორში ხანდახან ისე ცივა, რომ თითები გვეკრუნჩხება.

ეს-ესაა ბრიტამ და ანამ სიგარის კოლოფით წერილი გამომიგზავნეს. აი, წერილში რა ეწერა:

«ლიზი, კაი რამე მოვიფიქრეთ! ხვალ მინდორში ბიჭები გავაპამპულაოთ, ხა-ხა-ხა! როგორ გამწარდებიან, ჩვენ კი ვიცინებთ და ვიცინებთ!»

ნეტა რა მოიფიქრეს? ძალიან მაინტერესებს, მაგრამ ხვალამდე ვერაფერს გავიგებ.